

ქართული

93415340
2102 114003

652 /
1380 / 2



6

1980




ჭოჯოში

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს მფარველთა კავშირისა
და აჭარის განყოფილების
ორგანო

გამოცემის 22-ე წელი



ბა მწეწიერი ზღა გვადეს, აჭარა,
ბა ზომავალი, ძვითდასი ზედიტ...
ქალაქი—ჩვენი ქვეყნის დანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

6

1980

ნომერი
დებერი



ბ ა თ უ მ ი

აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

3 შემოდგომის დღეები აჭარაში	32 რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა...
7 დედათბილისიდან ნათქვამი სიტყვები	37 რესპუბლიკის მთავარი ქირურგი
8 საქართველოს „ოქროს ლაფვარი“	41 ლექსები
9 მე არ ვიქნები შენი სტუმარი	45 ლექსები
11 ამავე უჩაბელი დედისა	47 ფრესკა (ლექსი)
16 ლექსები	50 აჭარის რევოლუციურ მოძრაობაზე წერდა
20 განთიადი მთებში	55 „იყო და მარად იქნება“
25 თბილისში, ახმეტელთან	59 თვალსაზრისი ქართული პუბლიცისტიკის შესახებ
28 ხელოვნების მსახურნი	70 ლადო კოტეტიშვილი
31 ბათუმური ვალსი	76 მამაპაპურთ ვენახო...
32 რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა...	82 საზოგადოებრივი ყოფის ისტორიიდან ზემო აჭარაში
37 რესპუბლიკის მთავარი ქირურგი	87 კაცად შერჩა ბოლომდე...
41 ლექსები	88 გასულ ორ თვეში
45 ლექსები	93 „ჭოროხის“ 1980 წლის ნომრების შინაარსი
47 ფრესკა (ლექსი)	
50 აჭარის რევოლუციურ მოძრაობაზე წერდა	
55 „იყო და მარად იქნება“	
59 თვალსაზრისი ქართული პუბლიცისტიკის შესახებ	
70 ლადო კოტეტიშვილი	
76 მამაპაპურთ ვენახო...	
82 საზოგადოებრივი ყოფის ისტორიიდან ზემო აჭარაში	
87 კაცად შერჩა ბოლომდე...	
88 გასულ ორ თვეში	
93 „ჭოროხის“ 1980 წლის ნომრების შინაარსი	

გარეკანის მე-2 გვერდზე — „ილია ჭავჭავაძე აჭარაში“ — მხატვარი გივი მგებრილია.

გარეკანის მე-3 გვერდზე — „შეჩაიე გოგონა“ — ამირან გაბნიძის ქელურობა.

გარეკანის მე-4 გვერდზე — „გაჩერებასთან“ — მხატვარი ხასან ინაიშვილი.

ყურნალი გააფორმა ავთანდილ ლომაქემ.

ნომერში დაბეჭდილია ნ. ანასტასიევისა და ა. ჩანტლაძის ფოტოები.

ტექნიკური ხელმძღვანელი შუშანა დარჩია.

შემოდგომის დღეები აჭარაში

წლევანდელმა შემოდგომამ ბევრი სიხარული მოგვითანა, ზეავითა და ბარაქით დააგვირგვინა მშრომელი კაცის ნაშრომ-ნაამაგარი. სულ ახლახან აჭარის სეჩაიეებმა, ჩვენი ლენინური პარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის რომ ემზადებიან, რეკორდული მოსავალი მოიყვანეს. ახლა მეციტრუსეების ჯერი დამდგარა, დაიწყო ოქროს რთველი. სოფლის მეურნეობის მშრომელებს ტოლს არ უდებენ მრეწველობის მუშაკები, დიდად განვითარდა მეცნიერება, კულტურა, მხატვრული სიტყვა...

თქმა არ უნდა. საამაყო და სასიხარულო ბევრი გვაქვს. აჭარის მშრომელებს ეამაყებათ, რომ საკუთარი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის არნაზულ წარმატებებში, წინასაყრილობო ნობათებით გაახარეს დედასა-ქართველო, დედათბილისი...

ბარაქიანი შემოდგომა დგას ჩვენს კუთხეში და ამ ლამაზ დღეებს კიდევ უფრო ალაპაზებს შესანიშნავი ზეიმი — თბილისის დღეები აჭარაში.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, სულითა და გულით მოგესალმებით, ძვირფასო სტუმრებო!

ამ საზეიმო წუთებში კიდევ ერთხელ გონების თვალთ გადავხედავთ განვლილ გზას, რანი ვიყავით და რანი ვართ...

ყოველი ერის ცხოვრებაში არის თარიღები, რომლებსაც ჭეშმარიტად ისტორიული თარიღები შეიძლება ვუწოდოთ, ისინი განსაზღვრავს ქვეყნის ბედს, მის მომავალს, წინსვლა-განვითარებას ათეული წლების მანძილზე. სწორედ ასეთი თარიღთაგანია ქართველი ხალხისათვის 1878 წლის აგვისტო, როდესაც რუსეთის ჯარების ძმური დახმარებითა და ქართველ მამულიშვილთა გმირული ბრძოლით შესაძლებელი შეიქმნა სამხრეთ საქართველოს ნაწილის — ყარსის, არტანისა და ბათუმის ოლქების დედასაქართველოსთან შეერთება, ოსმალთა 300-წლიანი ბატონობის შემდეგ აჭარის განთავისუფლება.

ისტორიამ შეგვინახა ჩვენი კუთხის მგზნებარე მამულიშვილთა სახე-
ლები, იმათი დღაწლი, ვინც საკუთარ სიცოცხლეს სამშობლოს
დღეობას ანაცვლებდნენ. უპირველესად ესენი იყვნენ სელიმ და შერიფ
ხიმშიაშვილები, ანმედ კიკნაძე, ილიას ხელაძე და მრავალი სხვა. განსა-
კუთრებით ტრაგიკული იყო სელიმ ხიმშიაშვილის ბედი. უთანასწორო
ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილ სელიმს, როდესაც თავს ჰკვეთდნენ, თურქე
ასე უთქვამს, თქვენ, შეიძლება, თავი მომკვეთოთ, მაგრამ აჭარა თავის დე-
დას — საქართველოს მაინც შეუერთდებაო. ეს სიტყვები მართლაც დიდ-
ბულად ახდა!

თუ თვალს გადავავლებთ იმ დროის ქართულ პერიოდულ პრესას,
გადავფურცლავთ ჩვენს გამოჩენილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა
ნაწარმოებებს, უფრო ნათლად წარმოვიდგენთ იმ დიდ აღფრთოვანებას,
რომელიც ქართველ ხალხში აჭარის დედასაქართველოსთან შეერთებამ
გამოიწვია, იმ დახმარებას, რომელიც დედათბილისმა აჭარას გაუწია.

დღის წესრიგში დგებოდა ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის
შეძღვრე გკონომიკურად და კულტურულად უადრესად ჩამორჩენილი კუთ-
ხისათვის ძმური დახმარების ხელის გაწევა. განსაკუთრებით საზრუნავი
იყო ხალხის სულიერა ცხოვრება, სწავლა-განათლების საკითხი.

მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დაუღალავი ზრუნვა აჭარისა-
დმი არც მომდევნო წლებში შენელებულა. შინაური თუ გარეშე მტრების
ცდებმა — კვლავ მოეწვევითა საქართველოსაგან აჭარა — მარცხი განიცა-
და. სამშობლო არასოდეს დაივიწყებს ამ კუთხის შვილთა — მემედ და
ჰაიდარ აბაშიძეების, გულოღა კაიკაციშვილის, მემედ ჭყონიასა და სხვა-
თა ღვაწლს, მათ პატრიოტულ საქმეებს. ისინი ყოველი საშუალებით
იბრძოდნენ ამ მხარეში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისა და გან-
მტკიცებისათვის, დედასაქართველოსთან განუყრელი კავშირისათვის.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, ისევე როგორც მთელს
საქართველოში, აჭარაში, კერძოდ, ბათუმში, ფართოდ გაიშალა მუშათა
მოძრაობა. ჩვენ გვკამყევა, რომ აჭარა მხარეა სახელოვანი რევოლუციური
ტრადიციებისა, რომელთაც მაღალი შეფასება მისცა ლენინურმა „იკარამ“.

ბათუმის მუშათა მოძრაობამ მტკიცედ ჩამოყალიბებული სოციალ-
დემოკრატიული ზასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც ი. ბ. სტალინის ხელ-
მძღვანელობით 1901 წლის დეკემბერში შეიქმნა რუსეთის სოციალ-დემო-
კრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტი. მან დიდი მუშაობა გას-
წია საბარეკადო ბრძოლებისა და, საერთოდ, შეიარაღებული აჯანყების
მოსამზადებლად. მართალია, ეს აჯანყება დამარცხდა, მაგრამ დიდად აამაღ-
ლა მუშათა პოლიტიკური შეგნებულობა და დარაზმულობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლა აჭარაში მეტად
რთულ პირობებში მიმდინარეობდა. ეს კუთხე საკმაო ხნით ოკუპირებულ
იყო უცხოელი დამპყრობლების — თურქების, გერმანელების, ინგლისელების

მეგრ, რომლებმაც აჭარა ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ
ბრძოლის პლაცდარმად გადაქციეს.

1921 წლის 18 მარტს ბათუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა,
მენშევიკური მთავრობა უცხოეთში გაიქცა, ქალაქში კი თურქეთის ჯარი
იდგა. ამ დროს ბათუმში შემოვიდნენ მე-11 წითელი არმიის ნაწილები,
მათი დახმარებით რევკომის მებრძოლმა რაზმებმა საბოლოოდ გაანთავი-
სუფლეს აჭარა ინტერვენტებისაგან, შეიქმნა ბათუმის საოლქო რევკომა
სერგო ქავთარაძის თავმჯდომარეობით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში კომუნისტური პარტიის ბრძნული
წინამძღოლობით, ლენინური იდეების განხორციელების შედეგად, აჭარა
ჩამორჩენილი კუთხიდან მოწინავე ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ
რესპუბლიკად გადაიქცა. ისტორიულად მოკლე დროში აჭარაში შეიქმნა
მძლავრი მრეწველობა, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, არნახუ-
ლად გაიფურჩქნა მეცნიერება. და კულტურა.

ამ დიდი წარმატებების სიმბოლოა სამი ორდენი ავტონომიური რეს-
პუბლიკის დროშაზე, აგრეთვე უკანასკნელ წლებში საკავშირო სოციალის-
ტურ შეჯიბრებაში გამარჯვების აღსანიშნავად მიექცეს მობოვებული
წითელი დროშა.

რანი ვიყავიო და რანი ვართ...

ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე ბათუმის სამხედრო ნაწილში მსახუ-
რობდა ოფიცერი დავით კლდიაშვილი, მომავალი დიდი მწერალი. აი, რას
წერდა იგი თავის მემუარებში:

„ბათუმი მაშინ პატარა ქალაქი იყო, ოთხიათასი მცხოვრებით. ქალა-
ქი, თუ კი შეიძლებოდა მისი ქალაქად წოდება, მდებარეობდა ზღვის პი-
რად, ზღვის ჰორიზონტზე იყო ბაზარი — პატარა დაბალი ქოხმახები, ვითომ
შალაზიები; რამდენიმე ქუჩა, ვიწრო და მოუკირწყლავი, ქალაქის გარშემო
გაშენებული ფაცხები.., ახლა რომ რკინიგზა მიდის ქალაქში, ეს ისეთი
მოშორებული ადგილი იყო, რომ მართოდ იქ წასვლა საშიშარი და სარი-
ფხველი იყო დღისით, საღამოთი კი პირდაპირ შეუძლებელი... სადაც ახლა
კათოლიკების ეკლესიაა, ის იყო განიერი ტბა, სავსე გარეული ფრინვე-
ლებით და იქ დადიოდნენ სანადიროდ“.

შეღარებისათვის მხოლოდ ერთ ციფრს მოვიშველიებთ: დღეისათვის
ბათუმის მცხოვრებთა რაოდენობამ 120 ათასს გადააჭარბა და ამრიგად იგი
საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქების რიცხვს შეემატა. სად, მსოფლიოს
რომელ ქვეყანაში არ იგზავნება ბათუმში დამზადებული პროდუქცია —
ნავთობპროდუქტები, წყალქვეშაფრთიანი კატარღები, ელექტროკარები...
სად, მსოფლიოს რომელ ნავსადგურში არ შედიან ხომალდები საქართვე-
ლოს საზღვაო სანაოსნოს აღმით, სანაოსნოსი, რომლის ცენტრი ბათუმი-
ა.

სახალხო მეურნეობაში მოპოვებულ წარმატებებთან ერთად განსაკუთ-

რებით თვალსაჩინოა მეცნიერებისა და კულტურის სფეროში მოპოვებული წარმატებები.

თუ რევოლუციამდე აღარაა სამაღსამი უმაღლესდამთავრებული კაცი იყო, ამჟამად ხულოს რაიონის ხიხაძირის სასოფლო საბჭოში სამა-სამდე კაცს აქვს უმაღლესი განათლება.


რანი ვიყავით და რანი ვართ...

ისევ დავით კლდიაშვილის სიტყვებს მოვიტანთ.

„ბათუმში არავითარი გასართობი არ მოიპოვებოდა... ღუნედ მამავალ-ცხოვრებას ასიცოცხლებდნენ ხანდახან ქართველი არტისტები, ისინი ჩა-მოდიოდნენ უფრო ზაფხულობით. მაშინ ბათუმში თეატრი არ იყო; წარმოდგენები იმართებოდა სამოქალაქო სასწავლებლის ეზოში მდგარ ერთ პა-ტარა შენობაში, სადაც იყო მოწყობილი სცენა, ასიოდე მაყურებელი თუ დაეტოვდა, მეტს ვერ იტევდა დარბაზი. სხვა უკეთესი ბინა წარმოდგენე-ბისათვის არსად მოიძებნებოდა, ამით კმაყოფილდებოდა საზოგადოება“.

ეს არც თუ ისე შორეულ წარსულში იყო. ჩვენს სინამდვილეში კი, ამ რამდენიმე წლის წინათ, ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელ-მწიფო თეატრი, რომელსაც, სხვათა შორის, 750-ადგილიანი დარბაზი აქვს, საგასტრილოდ იყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში და სხვა სპექტაკლებთან ერთად იქაურ მაყურებელს დავით კლდიაშვილის „დარბა-ზანის გასაჭირი“ უჩვენა.


აჭარის მშრომელთა სასახლო საქმეებზე კიდევ ბევრი შეგვეძლო გვეთქვა, მაგრამ, ვფიქრობთ, მათზე უფრო მეტ წარმოდგენას შეგიქმნით ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილი მასალები, ჟურნალისა, რო-მელიც ეძღვნება თბილისის დღეებს აჭარაში.



ს ი ტ ყ ვ ე ბ ი

ილია ჭავჭავაძე

ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენი „ერთად მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენი გმირობის ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა.



აპაკი წერეთელი

ჩვენა გვაქვს ერთი ისტორია, რომელიც საქართველოსადმი თქვენ უფრო დიდ წილს გიდებსთ, როგორც შემხებს, მოსაზღვრებს, — ის არ დაივიწყება უკუნისამდე, სანამ კი საქართველო არსებობს და სანამ ჩვენი დედა-ენა არ გამქრალა, ის ტკბილი ენა, რომელიც თქვენ აგრე მამაცურად და პატიოსნურად უცხოობაშიაც კი შეგინახავთ... როგორც ძველად, ისე დღესაც უთქვენოდ ჩვენი ჭირი ორკეცდება და ღხინი კი ნახევრდება. თუ თქვენ ცუდ მდგომარეობაში გვეგულებით, მაშინ ჩვენი კეთილდღეობაც აღარაფრად გვიდირს და თუ თქვენც ჩვენთან ერთად ჩვენი თანამგრძნობი და ერთად უღლის გამწევად გხედავთ, მაშინ ჭირსაც აღარ შევეუშინდებით.



პაპა-შუაველა

პირადად დამივლია აჭარა, ქობულეთი, კლარჯეთი, ტაო — დიდებული მესხეთი, ჩვენი დღევანდელი ძვირფასი სამუსლიმანო საქართველო. დიდებულია იგი ქვეყანა, იქ გაფანტული კულტურის ნაშთები სულა ჩვენი ერისა. წარსულში ჩვენი ძმობა იყო მტკიცე და შეურყეველი, როგორც სალი კლდე, ამიერიდან უნდა აღსდგეს იგი უფრო მტკიცე, უფრო შეურყეველი. ასინი და ჩვენ ხომ ერთი სისხლი და ხორცი ვართ, საერთო ქართველი წინაპრებისა.

„ოქროს ლაქვარდი“

ნოდარ დუმბაძე

აჭარის მთებში ნარინჯ-თურინჯად, ზურმუხტად, მარგალიტად და სიყვარულად გაბნეულო, სულზე უტკბესო, ჩემო ძმებო და დებო, ჩემო სისხლო და ზორცო!


თეთრი იალქანივით შავ ზღვაში აფარფატებული, შენ, ჩემო აჭარავ, ჩემი ქვეყნის ჯანო და საღ-სალამათო, ჯანმრთელობავ და სიცოცხლე!

ჩაუქრობელი იყოს შენი ოდის საკვამურიდან ამოსული ფუტი!

არ მოგკლებოდეს სტუმარი. იყავით მუდამ ხელგაშლილი, ბედნიერი და მზიარული მასპინძელი!

ბკერდს ოქროს ვარსკვლავი და თავს ჩაუქრობელი მზის შარავანდედი გინათებდეს უკუნითი უკუნისამდე.

მრავალყამიერ!..



ჯანსუღ ჩარკვიანი

თედო სახოკია გვამცნობს: „უნდა ახლოს გაიცნოს კაცმა აჭარელი, რომ მართლა დააფასოს მისი რაინდული ხასიათი. თუ კარგი გული უჩვენეთ, თქვენთვის თავის დადებას ნეტარებად ჩათვლის ეს მთისშვილი, მაგრამ თუ ერთი ბეწოც არას, მუხანათობა შეგატყვით, დაუნდობელია“. მარტო ამ სიტყვებით შეიძლებოდა ქვეყნისათვის გაგეცნო აჭარელი კაცის პირწმინდად ქართული ბუნება და ხასიათი.

მართლაც და რა ამაყად ჟღერენ სიტყვები: „შენთვის თავის დადებას ნეტარებად ჩათვლის“. თუ არ გავუჩნდებით და ხმამაღლა ვიტყვიით, დიანაც ასეა — სწორედ აჭარელმა დაღო თავი საყვარელ საქართველოში, რათა მხრებიდან გადაეგდო დამცირებისა და მონობის არგავონილი უღელი და დაბრუნებოდა დედასაქართველოს.

გაუმარჯოს თავისუფალ და დაუჩოქებელ აჭარას, მზიურს, ძლიერს, დიადს, მართალს და, რაიც მთავარია, დედასაქართველოს „ოქროს ლაქვარდს!“

აჭარა ეს ჩემი მეორე საყვარელია, ეს ჩემი სუნთქვაა და სახარული. ჯერ კიდევ ოხუთმეტი წლისა არც კი ვიყავი, პირველად აჭარაში რომ ჩამოვედი, ჩამოვედი და დამატყვევა.

არ არის ბილიკი აჭარის მთებში, რომ არ გამეგლოს.

აჭარაზე თითქმის 100-მდე სურათი მაქვს დახატული. მათ შორის „აჭარელი სარძლო“, „შეხვედრა მთებში“, „გულიკომ მოიხსნა ჩადრი“, „ძველი და ახალი“, „აჭარელი მესტვირე“ და სხვანი და სხვანი.

ბათუმი ეს ჩემი სულის მშვენებაა და გულის სიხარულიცა და სევდაც. აჭარის თემაზე ახლაც ვმუშაობ და სიკვდილამდე, მანამ, სანამ კიდევ შემეძლება მუშაობა, შევქმნი ახალ-ახალ ტილოებს.

აჭარა, შავი ზღვის ფერთა მესაიდუმლე, აჭარა, ფირუზის გუმბათის კარსკვლავი, ჩემი მესაიდუმლეცაა. ზღვა ეს ჩემი ტრფიალია, მისი ტალღების ჩურჩული ჩემი გულის ჩურჩულია.

დიდება ჩემს საყვარელ აჭარას!



ავლის ზურაბაშვილი

სულითა და გულით ვესალმები აჭარის მშრომელებს. საბჭოთა აჭარა არის საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უმდიდრესი კუთხე.

დღეს, ჩვენს ვითარებაში, განსაკუთრებულად გაიფურჩქნა აჭარა, გაძლიერდა იგი ყოველმხრივ და ასევე გაძლიერდა თავისი კულტურითა და შემოქმედებითი მიღწევებით.


მთელი ჩემი პატრიოტული გრძნობებით, გულწრფელად, ხმაძალდა მინდა განვაცხადო, რომ აჭარა ცხოვრობს ბედნიერების გრძნობით და აჭარაში მთელი თავისი ძალით გამარჯვებულია სინდისიერი შრომა და სინდისიერი გარჯა.

მაგრამ მე, როგორც ერთ-ერთმა მოხუცმა მეცნიერმა, სრული გულწრფელობით მინდა აღვნიშნო, რომ დღეს, ისე როგორც ყოველთვის, აჭარაში იგრძნობა განსაკუთრებული პატრიოტიზმი. მე ვაცნობ აჭარის მშრომელებს, აჭარელ მეცნიერ-მუშაკებს. ხშირად ვყოფილვარ აჭარაში, მის ბარში თუ მთაში და ყოველთვის აღფრთოვანებული გახლავართ იმ პატრიოტული სულით, ქართული გრძნობებითა და სამშობლოსადმი სიყვარულით, რომელიც აქ შეიგრძნობა.

დიდება და გამარჯვება აჭარის მშრომელებს!

მე არ ვიქნები შენი სტუმარი

ფრიდონ ხალვაში



თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,
სიყვარულივით ვიდექ მდუმარი...
მეც უნდა ღიჟო შენი პოეტი,
მე არ ვიქნები შენი სტუმარი!
ნუ დამიძახებ სტუმარს იმიტომ,
რომ უშენობა მწვაღდა ასწლობით,
შვილი მშობელთან ველარ მოვიდა.
ველარ იცნობდა ნაცნობს ნაცნობი.
მე მარადილში დამრჩა პარჯენა,
ზიხანის ციხედ ვიყავ ქცეული,
და შენი სიტყვის გადასარჩენად
ილეწებოდა ჩემი სხეული.
რა გლოვად ვიყავ, რა დასანახი,
ჭოროხს მეწამულ ფერში უვლია,
საქართველოში, ალბათ, კალმახი
მიტომ სისხლისფრად დაწინწკლულია.
გამომივლია ჭირი ყოველი,
ღიმილიც ვიცი, დარდის მოთმენაც...
მე ჭოროხგაღმა ორი სოფელი
დამრჩა ნახევარ ქართლის ოდენა.
ის უშენობა დედამ იტირა
და შენი წიგნი ხელში ეჭირა.
მე შენი მტკვარის ერთი ზვირთი ვარ
და შენი მიწის ერთი კენჭი ვარ.
მე შენი ჩანგის ერთი სიმი ვარ
და შენი ზეცის ერთი მერცხალი,
მე საქართველოს დიდი სიმღერა
გულში ჩავინთე, ვით ნაკვერცხალი.
თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,
სიყვარულივით ვიდექ მდუმარი...
შენი შვილი ვარ, შენი პოეტი,
მე არ ვიქნები შენი სტუმარი!..

სამბაგი უჩამბელი დედისა

სად არის უჩამბა?

იქ, სადაც მთებია მაღალი; იქ, სადაც ხშირად ნისლეები როკავენ; შორს კი შუბლ-შეგმუხვნილი ხიხანი გადმოჰყურებს ბარს და დამრეცილ ხევს, რა არის ხიხანი? — ერთი ძველთაძველი ციხე-სიმაგრეა ჩვენი მამა-პაპების ფიქრებით და დარდებით დამპყმებული. იგი პირდაპირ უცქერის შავშეთს... და ხშირად ცრემლები სდის.

ხიხანს რომ ახსენებ, არ შეიძლება არ მოგაგონდეს სელიმ ხიმშიაშვილი. ვინ იყო სელიმი? მოდი, მესტუმრე და მე მოგიყვები მის ამბავს; მოგიყვები, თუ რატომ მოკვდა თავი აქ, ხიხანში, ოსმალეთის სულთანმა... და ეს მოხდა 1815 წელს. მთელი აჭარა ფეხზე დადგა მაშინ, როგორ მოგვიტლეს მამაცი შეილიო?... მთელი აჭარა სტიროდა მაშინ... გეტყვი, გეტყვი ყველაფერს, მაგრამ ახლა გული სხვაგან მიმიწევს და რა ვქნა, რომ აქ უნდა დავსვა წერტილი. ისე კი, ვინ არ გაიამბობს თავდადებული პატრიოტის, სელიმის თავგადასავალს.

ეს იცის ყველა აჭარელმა, იცის ყველა კაცმა და ქალმა, მოხუცმა თუ ახალგაზრდამ.

ეს იცის ყველა უჩამბელმა... და იცის უჩამბელმა დედამ თენჯილელ თურმანიძემაც. ხიხანის ციხეს თვალს რომ მოჰკრავს, ცრემლებს ვერ იოკებს, თითქოს ფრწილივით ჰკორტნის სელიმის მოღალატეს და ავარვარებულ კოცონზე სწვავს. რა ქნას, მეტად გულჩვილია დეიდა თენჯილელ. ახლა, მგონი, სამოცდაათი წლის იქნება. იქნებ მეტიცაა. რა ტბილმოუბარია, რა მოყვასია, რა აღერსიანი! ნამდვილი დედაა, ღვთისნიერი დედა.

როგორ მიყვარხარ დეიდა თენჯილელ!

მე. მინდა, შენი ამბავი მზის სხივებივით მოვფინო ქვეყანას. ხომ არ გამიწყურები? აქაოდა, რა საინტერესოა ჩემი ცხოვრებაო, იტყვი შენ. არა, დედას გეფიცები, ჩემს ადრე გარდაცვლილ დედას, საინტერესოა ერთი შენი ამბავი, რომანიც კი დაიწერება შენზე. მაგრამ მე ამხელა წიგნის დაწერას არ ვაპირებ. მე მინდა ამ პატარა მართალ ამბავში ჩავდო შენი სულის მარგალიტები... და ვამცნო ქვეყანას — აჭარაში არის ისეთი ქალი, რომლის სახელი ყველამ უნდა იცოდეს! ხომ მრთავ ნებას, ქალბატონო თენჯილელ?

* * *

ქმარი ადრე გარდაგეცვალა. შავი კაბა ჩაიცვი, გული დაგეთანადრა. ყოველდღე სტიროდი. რა უნდა გექნა, აღარ იცოდი. შვილები გაყავდა გასაზრდელი; აბა, სულ დარდს ხომ არ გადაჰყვებოდი! შრომაში კაცი დარდებს იფიწყებს, უნდა გეზრუნა შვილებიხათვის, მძიმე იყო ოჯახის უღელი, მაგრამ ვინ გაქცევია წუთისოფლის ტანჯვა-წამებას და თავი მოუკლავს! გაურბის მხოლოდ სუსტი სულის ადამიანი. სად გექცევა მაინც? ბაწარს ჩამოაბამს იქვე ხის ტოტზე და თავს ჩამოიხრჩობს? ეს არის კაცობა და ადამიანობა?! უნდა მიაფუროხო ასეთ ადამიანს. უნდა შეეჭიდო წუთისოფლის ვეებას!..

და დეიდა თენწილეც შეეჭიდა წუთისოფელს. სამი შვილი ჰყავდა აღსაზრდელი და უკან დასახევი გზა არ ჰქონდა.

სოფელს მხარში ამოუდევო. სოფელიც მხარში ამოვიდგა ქვრივ ქალს. ნათქვამაა, მარტოხელა კაცი ქამაშიაც ბრალია... და შენ არ იყავი მარტო, შენს მხარიმხარს იყო მეზობელი, და განა ერთი და ორი? მთელი სოფელი. დაილოცოს შენი მშობლიური სოფელი — ის არ მიგატოვებს გაჭირვების უამს, არა...

ღღეშები ჩიტებს ჰგავდნენ — სწრაფად და სწრაფად მიფრინავდნენ. თანდათან იზრდებოდნენ შენი შვილები, დეიდა თენწილე, და შენს გულს უხაროდა და მერე როგორ! ხელოს, წიგნს არ მოაშორე. ისინიც მოწყურებული ეწაფებოდნენ წიგნს... და ბოლოს გაგახარეს შვილებმა. ახლა ზაქრო მილიციის მაიორია, ოთარი — ისტორიის მეცნიერი. ბათა კანდიდატია და ინსტიტუტში ლექციებს კითხულობს, ზურაბი კი ექიმი. მან დედაქალაქში, თბილისში, დაიღო ბინა... და ისიც წერს წიგნს, სურვილი აქვს მეცნიერების მწვერვალისაკენ გაბედული ნაბიჯი გადადგას. ზურაბი ნიჭიერი ახალგაზრდაა და გულსინდელს კიდევ აღისრულებს.

ღიახ, ბედნიერი დედა ხარ, ქალბატონო თენწილე, ბედნიერი! ეს მოკლედ ვთქვი, თორემ უველათერ ამას განა ორი სიტყვით გადმოსცემს კაცი?! მაგრამ ახლა ჩვენ სხვა ფიქრი დაგვფარავატებს თავს. შენი ერთი ამბავი მინდა მოვლო მთელ ქვეყანას, მე ამიტომ ავიღე ხელში კალამი, ამიტომ ვჩქარობ, საყვარელო დეიდა თენწილე! ხომ არ გაშიწყრები? ანდა, რატომ უნდა გამინაწყენდე? — კარგი ამბავი მინდა ვთქვა, რადგან მეც, პოეტს, მემამუება ეს. დაე, ეს პატარა ამბავი ხახსოვრად დარჩეს ჩვენს ქვეყანას და სიყვარულით მოგიგონონ მერცე. ზოგს ეს ამბავი მოგონილი ეგონება. რას იზამ, ვისაც რაც უნდა, ისა სთქვას, მე კი შენს ნამდვილ ამბავს ვაუწყებ მთასა და ბარს.

ღიახ, მინდა გავისხენო ის ამბავი, რაც მე მალეღვებს და იღუმალი ხმა ჩამჩურჩულებს ყურში: — დაწერე იმ მთიელი აჭარელი ქალის ამბავი, რომ იცოდეს ქვეყანამ... და შენც მომისმინე, მეგობარო. იქნებ ღირდეს გაგონება. წაიკითხე ეს ჩემი ფურცლები და უამბე სხვასაც, რომ აჭარაში, იქ, შორეულ მთებში, უჩამბაში, ცხოვრობს ერთი მთიელი აჭარელი ქალი თენწილე თურმანიძე. ამ პირმშვენიერმა ქალმა ერთი სამახსოვრო ამბავი დაუტოვა მშობლიურ ქვეყანას, ჩვენს საყვარელ საქართველოს...

აი, ვიწყებ... სმენა იყოს და გაგონება...

* * *

რადიომ მოულოდნელად აცნობა ქვეყანას — ჩვენი საყვარელი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე ვარდაიცვალაო. ზარმა უჩამბაშიც უწია.

თითქოს შეკრთნენ ჩემი მთები.

შეკრთა, ათრთოლდა დეიდა თენწილე.

— რაო, ჩვენი პოეტი მიიცვალა? — ხასოწარკვეთით ჰკითხა მასწავლებელს, რომელიც სკოლისაკენ მიიჩქაროდა.

— ღიახ, დეიდა თენწილე, გალაკტიონი ვარდაიცვალა, შენ რომ გიყვარდა მისი ლექსები, ზოგიერთი ზეპირადაც კი ისწავლე შვილების წაბაძვით, — უპახუხა მასწავლებელმა ქალმა.

— ო, როგორ მწყინს ეს ამბავი, ღმერთო, რას ერჩოდი ამ მადლიან კაცს! — ამოიხრა დეიდა თენწილემ. მერე დემშვიდობა მასწავლებელს, სახლში ასვლა იჩქარა.

ადრე დეიდა თენწილე თურმე გალაკტიონის ნახვას ნატრობდა, შვილებს თხოვდა თბილისში წამიყვანეთ და ერთხელ მაინც მანახეთ ის დიდი კაციო, ამის ჭავრი სამარეში არ ჩამაყოლოთო. ჰპირდებოდნენ შვილები, სურვილს აგისრულებთო, მაგრამ როდის? — ამაზე კი არაფერს ეუბნებოდნენ.

დეიდა თენჯილეს ძალიან უყვარდა აკაკის ლექსები. მერე მასწავლებელმა ქაღალდზე მასთან იყო მდგომარად, გალაკტიონის ლექსებიც შეაყვარა... და მერე სახლში გაიჩინა ამ შუბლნათელი პოეტების წიგნები... და ხშირად აკითხვინებდა ხან მასწავლებელს, ხან შვილებს. უსმენდა და უსმენდა, მერე გაიღიმებდა, წიგნს გამოართმევდა, ჩაყოცნიდა და იტყოდა: — ღმერთმა თქვენ გაგახაროთ, ნეტავ, ყმაწვილქალობაში ამომდგომოდით მხარში, მაშინ სხვა თენჯილე ვიქნებოდით, სხვა! — იტყოდა და გულში ჩაიკრავდა აკაკის და გალაკტიონის სურათებს. მერე დეიდა თენჯილემაც ისწავლა წერა-კითხვა... თაროდან ჩამოიღებდა აკაკის და კითხულობდა, უყვარდა „ციცინათელა“, „სულიყო“... გალაკტიონის გაგება უფრო უჭირდა, მაგრამ შვილები ეხმარებოდნენ... დეიდა თენჯილეს უყვარდა პოეზია... გამორჩეულად უყვარდა აკაკი და გალაკტიონი... ფიქრები მოეჭარა დეიდა თენჯილეს.

— სიცოცხლეში თუკი ვერ ვიხილე, მკვდარს მაინც ვნახავო, და გადაწყვიტა — წახულიყო თბილისს.

ბათუმში ჩამოაკითხა შვილებს — ზაქროს და ოთარს, გაუმხილა წადილი.

ზაქრო ჭიუტობდა, ამ ხნის ქალს მწერლებთან რა გესაქმება, რა უნდა უთხრა, ვინმე გიცნობს თუ რა, სირცხვილია, სახლში დაჯექიო...

ეწეინა დედას შვილის პასუხი. არა, სიტყვას არ გადავტყვამ. თქვენ თუ არ წამყვებით, მე მარტოდ წავალ და სირცხვილი თქვენიო!... ცრემლები მოადგა, შეეცოდათ შვილებს; გული რისთვის ვატყინოთ დედასო, და გადაწყვიტეს, წაეყვანათ თბილისში, ოთარი მიეაღერსა.

— ნუ ჯავრობ დედა, მე წაგიყვან თბილისში, მე, — დედას ხელები დაუკოცნა.

* * *

მე ისინი მაჩაბლის ქუჩაზე ვნახე. ქუჩა ხალხით იყო გაჭედილი და გავლა ჭირდა. საყვარელი მგოსანი მწერალთა სასახლეში ესვენა. იმ დღეს უნდა დაეკრძალათ, ამიტომ იყო ასეთი ხალხმრავლობა ქუჩებში, განსაკუთრებით მაჩაბლის ქუჩაზე. დეიდა თენჯილეს ტანსაცმლით ატყობდნენ, რომ ქალაქელი არ იყო, მთიელ ქალსა ჰგავდა. მაგრამ საიდან მოსულა, ვინ იცისო, ჩურჩულებდნენ... ჩურჩულებდნენ და გზას უთმობდნენ... მე და ოთარიც მას მივეყვით. ხალხის ტალღა ტორტმანებდა, ირწყოდა, მიდიოდა და თითქმის დიდ ტალღას მიაჩნდებოდა დეიდა თენჯილე.

აი, მწერალთა სასახლე. ნელა ავიარეთ მარმარილოს კიბეები, აქ მწერლები იდგნენ. მგონი, გუმანით მიხვდნენ, ვინ იყო ეს ქალი. ვიღაცამ მაინც იკითხა, ვინ არისო.

— აჭარელი ქალია, შუახევის მაღალმთიანი სოფლიდან, უჩამბიდან, თენჯილე თურმანშია... პატრუდებული დედა... გალაკტიონი უნდა დაიტყროს, ამიტომ ჩამოვიდა იგი იმ სიშორიდან, — ვუპასუხე მე.

მწერლებმა შეხედეს და ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს. კონსტანტინე გამხალხურდამ ნეტავ რა უთხრა ირაკლი აბაშიძეს? ბესარიონ უდენტი და დემნა შენგელია გაოცებით და აღერსიანი თვალებით უცქეროდნენ ამ უცხო მთიელ ქალს... მთიელ დედას გზა უტეის, მოეფერნენ, და პოეტის ცხედართან მიუშვეს. დეიდა თენჯილე შედგა ცხედართან ახლოს... და დაბალი ხმით მოთქმა დაიწყო...

და მე მომავონდა ქობულეთელი გულო კაიკაციშვილი, კეთილი, თავისი მამულ-დედულისათვის თავდადებული კაცი, გულომ აკაკი წერეთლის ცხედართან გულის დამთუთქველი სიტყვა თქვა. თვითონ ცრემლებს ჰღვრიდა თურმე მოსუცი და ხვებოდა აატრია. გული სტკიოდა იმ ღუზჭირი ცხოვრების გამო, რაც აქარაში სუფევდა მაშინ; მოსუცის გულს სევდა დასწოლოდა და სუნთქვა უჭირდა. დიდ მგოსანს ევედრებოდა: — დილო აკაკი! დაუბარე შენს ძმებს, ნუ მიგვატოვებენ ამ ტანჯვაში, ამ სიბნელებში;

ვიღუბებით, ჰოდა ჩვენ თუ აღარ ვიქნებით, აჰარაც ხომ აღარ იქნება, აღარ იქნება
თქვენი საყვარელი მხარე; შენ ხომ სწუხდი და ზრუნავდი მისთვის, რომ გეშველა რამე.
ახლაც მეტისმეტად გვიჭირს და დაუბარე ძმებს, რომ დაგვეხმარონ, ანთებული სანთლე-
ბი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვინათონ ბნელ გზებზე და გვიპატრონონ...

ღიან, ასე უთხრა გულდამწვარმა მოხუცმა გულმ კაიკაციშვილმა აკაკის ცხედარს.
რამდენი ტკივილი და ვაება ამ სიტყვებში!

აბა, ახლა რა უნდა უთხრას დეიდა თენწილემ დიდ მგოსანს? რაჟაღ გულმ ნატრობ-
და, იმას ერთიორად მოესწრო დეიდა თენწილე და რაღა აქვს სახვეწარი და სათქმელი!
აბა, დეიდა თენწილესაც აქვს თავისი გუმანი... და იტყვის კიდეც.

დეიდა თენწილე დასტიროდა ძვირფას ცხედარს... თუკი შეეძელი, მინდა აღვთქვა
მისი სიტყვები.

— მე აჰარელი ქალი ვარ, დიდო მგოსანო,

მე შუახვედელი მთიელი ქალი ვარ;

აქედან შორსაა ჩემი სოფელი, საყვარელო მგოსანო,

მე უჩამბელი დედა ვარ...

ჩემი ცხოვრება ტანჯვა და ცრემლი იყო, დიდო მგოსანო,

შეგბედი ერგო წილად აჰარელ ქალს, სულ ჩადრში იყო, უსწავლელი, საცოდავი,
ტინ მოუხმენდა აჰარელ ქალს; იგი მუნჯი იყო, დიდო მგოსანო.

ქართულ წიგნს ხელს არ დააქარებდა, ცოდვა არისო, ღმერთი გაგიწყრებაო, გოგო-
ბეთი არ აცდებო.

ღვინოს როგორ ახსენებდა, ცოდვა არისო,

სტუმარს პირს არ ანახებდა, ცოდვა არისო.

ქრისტიან ქალს გულს ნუ მიანდობო, შენ სხვა ხარ და იგი სხვააო.

წმინდა მუშამედის წმინდა ქაბე გიყვარდესო,

უფრანა გიყვარდესო, ლოცვა გიყვარდესო,

რამაჰანი იმარხე, თორემ გაგიწყრება ღმერთიო,

ყველა სიკეთეს ღმერთი გვანიჭებსო,

თაყვანი ვცეთ ღმერთსო...

ასე მასწავლიდნენ ჩემი საბრალო მშობლები.

და მე, ბეჩავი ქალი, უსწავლელი ქალი, ვმონებდი ყველას — ღმერთსაც და კაცსაც.
ახეთ ტანჯვის დღეში ვიყავი, ჩემო მგოსანო, ვნატრობდი ჩემი ქრისტიანი დების

ნათელ ბედს, რას არ ვნატრობდი, რა არ მქონდა მონატრებული!.. ჰოდა, მოვედი მე ამ
ნათელ დღემდე ოხვრით, გოდებით, მაგრამ მოვიტანე წმინდა ქართული მანდილი, მგო-
სანო,

ქართული ენა შევინახე, მგოსანო,

ქართველი დედის სახელი არ დავკარგე, მგოსანო,

ჩემს შვილებს ქართულად ავუდგი ენა, ავაჭიკჭიკე გულგასაზარად, მგოსანო.

სანი ვაჟი ობლად გავზარდე, დიდო მგოსანო, ჩვენი ქვეყნის ერთგულებად გავზა-
რდე, დიდო მგოსანო.

მეც ჩაივსუტე „დედა ენა.“ დიდო მგოსანო,

მეც შვილებმა შემაყვარეს შენი ლექსები, დიდო მგოსანო,

ჭირბა და ღბინში ჩემთან იყავ, დიდო მგოსანო,

შენი სიკვდილი, რომ გავიგე, დიდო მგოსანო,

მუწლები მომეკვეთა, სული ამიკანკალდა.

ცრემლები ვეღარ შევიკავე, დიდო მგოსანო,

სახლში ვეღარ გავძელი, დიდო მგოსანო,

თბილისში მოვედი შენს სანახავად და დახატირებლად,
მინდა გიტირო აჭარელმა ქალმა, დიდი მგოსანო,
სიტყვა არ მყოფნის, უსწავლელი ვარ, რა ვქნა,
გული რასაც მეუბნება, იმას ვამბობ, დიდი მგოსანო,
გულით დაგტირი, სულით დაგტირი, დიდი მგოსანო,
და თუ ღირსეულად ვერ დაგტირებ, მაპატიე.
გულამოხვენებით დახტიროდა პოეტის ცხედარს დეიდა თენჯილე. ვის არ მოგვარა
ცრემლები!

მეც ავტირიდი...

ცხედარს შუბლზე ეამბორა და განერიდა...

* * *

როცა ხალხის ნაკადი ტორტმანით დაიძრა მთაწმინდისაკენ, ჩვენც მას მივყევით.
ვარდ-ყვავილებით განათებული კუბო მიჰქონდათ ახალგაზრდებს თუ ჭარბაგებს წმიდა-
თაწმიდა სავანესაკენ. მიდიოდნენ ფრთხილად, თითქმის ღმერთს ეძინა კუბოში და ნაზად
მიჰყავდათ, რომ არ გაღვიძებოდა.

მუხლს არ მოგიკვეთს მთაწმინდის გზა. მიდინარე კი არა, თითქმის მიფრინავ... თუ-
მცა ნელ-ნელა მივყვებოდით ნაკადს. ახლაც ჩვენი მეგზური დეიდა თენჯილე იყო.
და როცა მთაწმინდაზე კუბო დაასვენეს, სტიროდა გულაზღვნივით, ნეტავ ვის ჰქონდა
ქვაგული, რომ ცრემლი არ დასდენოდა!

— ვინ იყო იგი ნეტავ, ვინ?! — იკითხავ შენ გაცივებით.

— ღია, იგი იყო უჩამბელი, აჭარელი დედა თენჯილე თურმანძე, — გიბასუნებ
მე... და შენ იტყვი:

— დიდება აჭარელ ქალს, აჭარელ დედას! ეს რომ ენახათ ჩვენს სათაყვანებელ
ერისკაცებს ილიას და აკაკის, აღტაცებით იტყუოდნენ:

— აღსრულდა ჩვენი დიდი ნატვრა! აჭარა აღსდგა საუკუნოდ ნათელმოსილად... და
შენ გიხაროდეს დედასაქართველო!

* * *

დეიდა თენჯილე და ოთარი ლენინის მოედნამდე ჩავაცილე. დეიდა თენჯილემ დამ-
შვიდობებისას მითხრა:

— აუცილებლად უნდა მესტუმრო უჩამბაში, ჩემი ოთარი წამოგიყვანს.

მე შევპირდი და თან დავუმატე: — გესტუმრებით მაშინ, როცა შენზე ერთ კარგ
რაიმეს დავწერ-მეთქი, მაღლობა გადამიხადა და დასძინა, მთაში ამოდი, და იქ დაწერე,
რაც გინდაო.

ასე დავშორდით ერთმანეთს...

მინაწმინდა: ახლა ვზივარ სახლში და ვფიქრობ... ვფიქრობ დეიდა თენჯილეს. მას
შემდეგ რამდენმა წელმა განვლო! ვწერ ამ სტრიქონებს და თვალწინ მიდგას ჩემი დეი-
და თენჯილე, — ტანადი, სანდომიანი ხახის ქალი. ახლა, აღმათ, ფუსფუსებს ევროში,
დამბალ სარს აცლის ღობეს და ახალს მიაგებს. ბაღში ჩაირბენს. ხან პიტნის და ხან
ქინძის ფოთლებს მოსრებს მუჭში და მისი წვენით დაცვარულ თითებს კალთაზე შეიმ-
შრალავს — მიუვარსო ქინძისა და პიტნის სურნელი. მეც მიუვარს... მოვალ, გესტუმრე-
ბი მთაში, დეიდა თენჯილე და შენს ბაღში ჩავიბრუნ, რომ საამო სურნელით სული
ამეფოს. მეგრე გეტყვი: — დეიდა თენჯილე, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, და შენი
პიტნის, და შენი ქინძის საამო სურნელი ღმერთმა ნუ მოგვაცლის! გამიდიმებ და დამ-
ლოცავ: — შენც დიდხანს გაცოცხლოს ღმერთმაო...

და ჩვენ ერთად გავხედავთ მშობლიურ მთებს, მზის ოქროს აღში რომ ელვარებენ...

წარწერა ქართული ერის

ისტორიის წიგნზე

ივანე ჯავახიშვილს

შენ აგიკინძავს ჯაჭვი აზმანთა
და მოგიცია სიგელ-გუჯარად.
ქართული მიწა მიტომ გადარჩა,
რომ ის გულივით ერთი მუჭაა.

ქართული სისხლი მიტომ გადარჩა,
რომ ის ზღვასავით არის მღელვარე.
არაგველების ხმლები არაგვთან
ახლაც კრწანისის ჯავრით ელვარებს.

ახლაც ჩხრიალებს თორი ბეჭებზე,
და ზართა-ზარი ახლაც ჟღრიალებს.
ახლაც ვარძიის კლდეთა ბეჭედზე
დიდი თამარის ფრესკა ბრიალებს.

კედელზე ლანდებს სძინაჯთ ამაოდ,
მომწვარ მუძუდან რძე მოთქრიალებს.
დავიგვიანე, ვწუხვარ, მამაო,
საბედისწეროდ დავიგვიანე.

რომ მომეტანა დედის პეშევებით
სიცოცხლე ჩემი მზის და მდელისი.
ციდან სიმღერის ხმები ეშვება —
ეს სიმღერაა საქართველოსი —

ეს შენ გახურავს ვით მუზარადი
სალამო,

მთვარე,

ცა,

ანგელოსი.

შენ ისტორია ვითქვამს მარადი
და გადარჩენა საქართველოსი.

შემომეყრება მგზავრს ნისლივით
კვლავაც ხევაზე,
ღელის ჭალარას მომაგონებს იმის
სიმკრთალე.

სად არის მიწა,
სამოსახლო და სავენახო,
ჩემი წარსული,
ჩემი ცრემლი,
ჩემი სიმწარე.
აგორებულა კლდეთაშუა მღვრიე ჭოროხი
და მოაქვს თავქვე
ჯავრიანი მთების სათქმელი.
ვათბება გული,
გამრთელდება ისევ მოოხვით,
ქართული რწმენით იამაყებს
კვლავაც ქართველი.
მაგრამ ამ ცოდვას,
ამ სატკივარს რა დააყუჩებს,
ამ გაჭრილ სხეულს,
ამ გაპობილ სულის იარას.
რა გააღვიძებს,
ვინაც ნატვრით თვალი დახუჭა
და ამ ნაომარ მიწის ბედი გაიზიარა.

კრწანისი

წვიმს,
ესველდებით,
ხარობს სული მიშვებული ნებაზე,
ველზე ვდგავართ და არ ვფიქრობთ
თავის შეფარებაზე.

წვიმს, ცას თითქო განუზრახავს
აქ სამოთხის აკლება,
ჩვენ მოვსულვართ კრწანისული ყვავილების საკრეფად.
ახლა წვიმა გალუმპავდა
მზით გათანგულ ტირიფებს,
ახლა ზეცა ჯავრს იყრიდა ხოხობისფერ თბილისზე.

ჩვენებრ არც მას დაინდობდა და მოღურჯო სერებთან
შლეგი წვიმა მოდარაჯე მხედარს დაასველებდა.
ღრუბელს შუად გაჰკვეთავდა მისი მძლე სატევარი,
სულს დაღევდა მცხეთის კართან შორზე-შორი მღევარი.

ო, ეგ მკერდი, კაბაშიგან ვედარ დასატევარი,
მწიფე, მწიფე, როგორც ვაზის ქარვისფერი მტევანი,
ჯერცა ცამან დავისეტყვოს, ნათლისვეტად მთოვარი,
მკერდი, მზით და მადლით სავსე,
ტყუბთა მოსაწოვარი...

გიკვირს?

შენი მაცქერალი ენების ზღვაში ვეშვები,
შეხე, წვიმით აუვსიათ ყაყაჩოებს პეშვები.

ახლა ქართლის დედის თასშიც წვიმა ჩაგუბდებოდა,
წყალს დაღევდა ბედის ჩიტი, წყურვილით რომ კვდებოდა.
შენს მაცქერალს მაგ წამწამთა ცეცხლი ისევ მკეიდა,
აწვეთებენ ვვირილები ცრემლებს წამწამებადან.

შენს მაცქერალს ცა რას მიზამს,
ანდა წვიმის ძაფები,
მოგეჭრები, ყაყაჩოსფერ ტუჩებს დავეწაფები.

წვიმს,
მეტეხი აღარ მოჩანს, ქარებმა თუ გამარცხეს,
წვიმს,
თბილისი შეეუწულა აქვე, ახლოს, ჭადარქვეშ...

ისე, უბრალოდ...

ტიციან ტაბიძეს

მოგწყინდა?

წამო, წამევე აზარტით,
მზეს ეგ ერთი ღლეც არ გაუხუნოთ.

ნუ დავლევთ,

ავერ,

აქვე, ბაზართან


დავდგეთ და ბოშა ქალებს ეუყუროთ.

მერმე დაუყვეთ დახლებს და დუქნებს,
ივენებურ სოფლის ვნახოთ ბარაქა.
გაგვაძლოს იქნებ იმის სიმსუქნემ,
ლაგვათროს იქნებ იმის არაყმა.

წამო,
ვიყნოსოთ ომბალოს ჯადო,
წამლად გვეყოფა ერთი დანახვაც.
იქნებ სოფლელის თვალთ დაცდით
ჯამში ქართული ქინძის დანაყვა,
შევზედოთ დიმილს სოფლელ გოგოსი
და გაუხდები სიკვდილს თანახმა.

მოგწყინდა?

წამო,
წამყევ აზარტით,
ეს დღეც უკავროდ დავაბუხუნოთ!
ისე,
უბრალოდ, ქართულ ბაზართან
დავდგეთ და ბოშა ქალებს ვუყუროთ...



შეუძღვრება აჭარაში

მხატვარი ზურაბ წულაძე.

შესახვედრად

ბანტიადი მთებში



„**ს**ულს რაიონში არაა რაიმე სარეწები, ტყის დამუშავებაც არ ხდება. სრულიად უფარგისია გზები, არავინ ზრუნავს ძვირფასი კულტურების გაშენებისათვის. მოსახლეობა, რომელსაც სძულს დამპყრობლები, ღარიბია, თუმცა ადრე აქ სამჯერ მეტი ხალხი ცხოვრობდა. ასე იქნება, ვიდრე სულთანის მთავრობა არ შეიცვლება“.

ასე წერდა 1867 წელს ინგლისელი დიპლომატი ჯიფორ პალგრევი.

რუსი ხალხის დახმარებით 1878 წელს აჭარა დედა-სამშობლოს დაუბრუნდა, მაგრამ ცარიზმის პირობებში თითქმის არაფერი გაკეთებულა კუთხის, განსაკუთრებით მისი მთიანეთის დაწინაურებისათვის. ამას გვიდასტურებს აჭარის მოჭირნახულე თედო სახოკია, რომელსაც ღორჯომელმა გლეხებმა შესჩივლეს თურმე: „მწირი მიწა გვაქვს, ნახევარზე მეტი მშვირვები ვართ, გადასახადი მაინც ბევრია. რუსის ხონთქარი შორსაა და ჩვენ ამბავს ვერ ვატყობინებთ, თვარა გადასახადებს ცოტას დაგვაწერდა“.

ასე იყო ყველგან, თვით რუსეთშიც. ამიტომაც აღსდგნენ მშრომელები ბედნიერი ცხოვრებისათვის საბრძოლველად და 1917 წელს ბოლშევიკების პარტიის, დიდი ლენინის ხელმძღვანელობით მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფო შექმნეს.

1921 წლის 18 მარტს აჭარაშიც ამობრწყინდა დიდი ოქტომბრის მზე და დაიწყო ახალი ცხოვრება, მაგრამ ადვილი როდი იყო წარსულის სავეალო შედეგების აღმოფხვრა, ახლის დამკვიდრება.

— მე კარგად მახსოვს, რას წარმოადგენდა ეს ხეობა წინათ. აქა-იქ დაინახავდი ქოხებს, რომლებსაც ზამთარში თოვლი ფარავდა. ზოგჯერ წერილის დასაწერად სოფელი უნდა შემოგველო, უგზოობის გამო ხილი ვერ გაგვქონდა გასაყიდად და გვიღპებოდა. ექიმო წელიწადში ერთხელ თუ გამოივლიდა. ურემი რაა, ისიც საძებარი იყო, — გვითხრა ზულოს რაიონის ხიხაძისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ასლან მიქელაძემ და შემდეგ დასძინა, — დღეს ჩვენს საბჭოში თექვსმეტი საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლაა. გვაქვს საავადმყოფო, შვიდი საფერ-შლო-საბებიო პუნქტი, კულტურის სახლი. ყველა სოფელშია კლუბი და ბიბლიოთეკა, რადიო და ტელევიზორი. მეზობელი სხალთისა და ჩვენი საბჭოს მშრომელთა თაოსნობით შარშან იშვა კიდევ ერთი ახალი დღესასწაული — ტბელობა, რომელიც მეცამეტე საუკუნის მწერლის, ასტრონომისა და ფილოსოფოსის ტბელ აბუსერიძის სახელთანაა დაკავშირებული. ამ დღესასწაულის დასკვნითი ღონისძიება იმ ტაძარში იმართება, რომელიც ტბელის წინაპრებს აუკიათ.

განა სამაყო არ არის ის, რომ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მესამოცე წლისთავზე ხიხაძისის საბჭოს ჰყავს სამასამდე უმაღლესდამთავრებული-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ონისე სურმანიძე თბილისის ერთ-ერთ უმაღ-

ლეს სასწავლებელში კითხულობს ლექციებს, ხოლო სერგო ღუმბაძე, ვლადიმერ ხალვაში, იოსებ აბაშიძე და აკაკი გაბაიძე — ბათუმის პედინსტიტუტში. ოთარ იმნაძე, ქემ, ეგნატე ღუმბაძე და ალექსანდრე ჯაბინძე კი ჩვენი ქვეყნის სამხედრო აკადემიებში დაამთავრეს და საყვარელი სამშობლოს თავდაცვის განმტკიცებას ემსახურებიან.

საბჭოთა ხელისუფლებამ მთიელი ქალებიც გამოიყვანა ცხოვრების ფართო ასპარეზზე. ყუყუნა გაბაიძე ბაკოს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეა, ნუშა მამულაძე და ნაზიმბროლა მიქელაძე აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები არიან, ხიხაძირში ახლა 36 გმირი დედაა, ყუყუნა გუნდაძეს კი 12 შვილი ჰყავს.

ასე ბედნიერად ცხოვრობენ და შრომობენ დღეს საზღვრისპირა ხიხაძირის სასოფლო საბჭოს მშრომელები და განა შეიძლება პარტიისა და მთავრობის ესოდენ დიდ ზრუნვას თავდადებული შრომით არ უპასუხო, ახალი წარმატებებით არ შეხედნენ პარტიის XXVI ყრილობას.

3 მთხოვებით გულთბილ მასპინძლებს, მეათე საუკუნის ხიხანის მიუვალ ციხე-სიმაგრეს, ასევე ძველი ვერნების ეკლესიას, სადაც არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს, სხალთის ტაძარს, თამარ მეფის წყაროს თაღოვან ხილთან, და ისევ გეზი აჭარისწყლის სათაფისაკენ გვიჟირავს, სადაც მეცხოველეობის მძლავრი კომპლექსი შენდება და პარტიის ხულოს რაიკომის პირველი მდივანი თამაზ ტუნაძე გვეგულება. მას ვთხოვთ გაგვაცნოს მეცხოველეობა საქმიანობა, ამ დარგში მომხდარი ის ძვრები, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის მეთვრამეტე პლენუმმა დაუდო სათავე, აგრეთვე მომავლის პერსპექტივები.

ამხ. თ. ტუნაძემ თქვა: ამ ბოლო წლებში მეცხოველეობის პროდუქტების, თამბაქოს, ყურძნის, კარტოფილის, ხილის წარმოების ზრდის ტემპმა ჩვენთან 41 პროცენტი შეადგინა, კაცდღის ანაზღაურება კი თითქმის ათი პროცენტით გაიზარდა. ეს მცირეძალადი და ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობების გამსხვილებამ და მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობამაც განაპირობა. მერძეული მიმართულების კომპლექსები აიგო ღორჯომის, ფუშრუკაულისა და ოქუაშვილების კოლმეურნეობებში, ხოლო სააშუაშე კომპლექსი — დიოენისსა და თხილვანში. ახლა კომპლექსები შენდება კორტოხში, დანისპარაულსა და სხვაგან. ამ სიახლემ საშუალება მოგვცა გავგეზოვარა ხორცისა და რძის წარმოება, შეგვემცირებინა დანახარჯები.

წელს არანახლბა გვალვებმა შეაფერხა საკვები კულტურების ზრდა, საძოვრებზე კი თითქმის გადახმა ბალახი. პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მშრომელებს სტიქიასთან საბრძოლველად.

დიდი დახმარება გავგიწია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ. კახეთისა და ჩრდილო კავკასიის რაიონებიდან შემოგვაცქეს საკვები დანაკლისის შესავსებად. ასე რომ, პირუტყვს ნორმალურად გამოვზამთრობთ.

მე-11 ხუთწლედში 13 ათასი ტონა რძე და ორი ათას ტონაზე მეტი ხორცი უნდა ვაწარმოოთ. საამისოდ ყველა სახეობის საკვების დამზადებას 24 ათას ტონამდე გავზრდით. ამას მივალწევთ ბუნებრივი სათიბებისა და სავაზაფხულო საძოვრების ძირეული გაუმჯობესებით. ეს სამუშაოები უკვე მიმდინარეობს და სულ 2 ათას რევას პექტარზე შესრულდება.

სამხრეთულ კულტურების განვითარებაზე რომ ელაპარაკობთ, მთავარ პრობლემად უნდა მივიჩნიოთ მიწების ეფექტიანი გამოყენება. აგროტექნიკურ-სამელიორაციო ღონისძიებების ზუსტი განხორციელება, ახალი ფართობების ათვისება. ამ საქმეში ხელს მოგვიმართავს ახლადშექმნილი სახკომსოფლტექნიკის რაიონული გაერთიანება. ეს დააჩქარებს აგრეთვე ფერმების მექანიზაციას, უბეში საკვების დასაქუცმაცებელი და დაამუშავებელი საამქროების მშენებლობასა და შეუფერხებელ ექსპლოატაციას. თავისა და ოქუაშვილებში გავიყვანთ სატრანსპორტო-საბაგირო გზებს. ავაგებთ ბაგა-ბაღებს,

თხუთმეტ მაღაზიასა და საზოგადოებრივი კვების ობიექტს, გაცხსნით ახალ სამკურნალო დაწესებულებებსა და სხვა.

ყოველივე ეს, ცხადია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის 1979 წლის თებერვლის იმ ისტორიული დადგენილებებიდან გამომდინარეობს, რომლის მიზანია მთიანი აჭარის სოციალურ-ეკონომიკური გახვითარება... ხულოში საძირკველი ჩაეყარა თანამედროვე სამკერვალო ფაბრიკას. აქ ორჯერ მეტი ქალი იმუშავებს, ვიდრე ახლა. დაიწყო აგრეთვე ხულო-გოდერძის გზატკეცილის რეკონსტრუქცია. აიგება რაიონული საავადმყოფო, მეყრაეთა, მასწავლებელთა და მუშათა საცხოვრებელი სახლები, კეთილმოწყობა აგარაკი ბეშუმში, მალე დამთავრდება რაიონის წითლიანი გაზიფიკაცია და სხვა. გვახარებს, რომ მესხეთის მშრომელები, იქაური რაიონების ხელმძღვანელები ხელსაყრელ პირობებს უქმნიან ჩვენი რაიონის იმ კოლმეურნეებს, რომლებმაც იქ დასახლება გადაწყვიტეს.

რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელი მზად არიან ძალისა და ენერგიის დაუზოგავად იზრომონ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად, ღირსეულად შეხედნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

მ ზღამ მდინარე აჭარისწყალს მიეყვებით, ამჯერად ბათუმისაკენ. წინ ნისლმოდებული მთებია, ფერდობებს ამშვენებს თამბაქოს პლანტაციები, შეყვითლებული ვაშლის ხეები, ზერები. შუახევის რაიონში შევიდით. ამ კუთხის შავი ბედის უტყუარი მოწამეა ნიგაზელის ციხე-სიმაგრე. აქ ცნობილი პატრიოტების — ხიმშიაშვილების ვაჟაყვი თავს სწირავდნენ, რათა მამა-პაპათა ადამი და რწმენა, მშობლიური ენა არ წაებოდათ ოსმალთა მომხდურებს.

სწორედ აქ შეგვგებნენ მთიელები გოდერძის უღელტეხილიდან მომავალ წითელარმიელებს, რომლებიც აჭარის მშრომელთა დასახმარებლად მოვიდნენ 1921 წლის სუსხიან მარტში. სწორედ მაშინ დაედო სათავე ახალი ცხოვრების შენებას. ნიგაზელელებს დღეს თავიანთი წარმომადგენელი საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოში — პარლამენტში ჰყავთ. ეს გახლავთ თამბაქოს უხვი მოსავლის ოსტატი ჟუჟუნა ხიმშიაშვილი.

— წელს რეაას კილოგრამ ხმელ თამბაქოს დაეშაადებ, — გვაცხობს თავის ვალებულებას ჟუჟუნა, — მთლიანად ჩვენი ზამლევის კოლმეურსება კი ას ორმოც ტონას.

ეს დარგი წამყვანია მთელს რაიონში. მემცენარეობიდან მიღებული შემოსავლის 90 პროცენტი მასზე მოდის. სახელმწიფო ყოველმხრივ გვეხმარება. ამიტომაც, რომ სულ უფრო იზრდება საპექტარო მოსავლიანობა, უმჯობესდება ნედლეულის ხარისხი.

როგორც ცნობილია, 1978 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმზე გააანალიზეს მეთამბაქოეთა საქმიანობა, დასახეს ამ დარგის გახვითარების პეოსაეუციები. ამას სოჰყვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1979 წლის სექტემბრის ცნობილი დადგენილება საქართველოში სუბტროპიკული და სამხრეთული კულტურების განვითარების თაობაზე.

ამიტომაცაა, რომ შუახეველი მეთამბაქოეები მიღწეულს არ ეჯერდებით. წელს ათას 120 ტონა ნედლეულს მიეყიდით სახელმწიფოს, ხოლო 1985 წლისათვის ბევრად მეტესოდენ დიდ ნახტომს მხოლოდ საპექტარო მოსავლიანობის გადიდებით მიეღწეეთ.

ჩვენი საუბარი თამბაქოსა თუ სხვა დარგების შესახებ, მშენებლობასა და მომავლის გეგმვებზე, მათი იდეოლოგიური უზრუნველყოფის საკითხებზე პარტიის შუახევის რაიკომის მეორე მდივან შოთა მაკარაძესთან გავაგრძელებთ. მან სიამაყით გვითხრა, რომ „საქქალაქმშენსახპროექტის“ თბილისის მეოთხე არქიტექტურული სახელოსნოს კოლმეტივი უკვე შეუდგა რაიონის გენერალური განაშენიანების პროექტის შედგენას 2.000

წლისათვის. მარტო მეთერთმეტე ხუთწლეულში აიგება 70 ობიექტი, რისთვისაც სახელმწიფო გამოჰყოფს 30 მილიონ მანეთზე მეტს. ზოგი რამ უკვე კეთდება. წელს, მეცხრეულში, თად, ოლადაურში საექსპლოატაციოდ გადაეცემა მაღალი ძაბვის ქვესადგური, რომელიც სამ სასოფლო საბჭოს მოემსახურება, ხოლო რაიონულ ცენტრში ამუშავდება ათასნობრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური, მთელი რიგი ობიექტები შეემატა მთის სოფელ წყაროთას.

...ავტომაქანამ ხიჭაურიდან მარცხნივ მოუხვია და ქვანისწყალს გაუყვა. წინ ბახ-მაროს მიმდებარე მთები გვედგა, გაღმა მხარეს კი ხეხილით დამშვენებული სოფლები მოჩაბნდნენ. ხიდზე რომ გავედით, მანქანამ გეზი იცვალა, ახლა უკვე მდინარეს დაჰყვა, წყაროთის გამსხვილებული კოლმეურნეობისაკენ.

მოსახვევთან დინჯი ნაბიჯით მიმავალი მოხუცი შევნიშნეთ და ავტომაქანა შევაჩერეთ, ჩაჯდომა შეეთავაზეთ.

— ყურადღებისათვის მადლობა, შვილებო... წვიმამ, ეტყობა, გადაიღო, ჩიტები გამოჩნდნენ, შეყვითლებულმა ფოთოლმა ცვენა იწყო... არე-მარე გულს მისარებს... ჰოდა, ფეხით გავყვები, — თქვა ბერეკაცმა და გზა დაგვილოცა.

იგი ასე, 65-70 წლისა გვეჩვენა. მძლოლმა უკან მიგვაბრუნა.

მოხუცმა გაიგო თუ არა ჩვენი დაბრუნების მიზეზი, გაგვეცნო, დურსუნ სურმანიძე ვარ, 83 წელი შემისრულდა...

სოფელ ქალასთან მასპინძლებმა შეჩერება გვთხოვეს. ჯერ სოფლის განაშენიანების გეგმას გვეცნოთო. „საქსოფლმშენსახპროექტის“ ბათუმის ფილიალის სპეციალისტების მიერ დამუშავებული განაშენიანების გეგმა ითვალისწინებს ორასადგილიანი კლუბ-კანტორის, ბაგა-ბაღის, საშუალო სკოლის, სავაჭრო ცენტრის, ამბულატორიის, აბანოს, მასწავლებელთა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გარაჟის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობას, ქუჩების გაყვანას, შინმოუსვლელთა ძეგლის აგებასა და სხვა. ყოველივე ეს არა თუ რევოლუციამდე, ორი ათეული წლის წინათაც კი მხოლოდ ოცნება იყო.

აღსანიშნავია, რომ მეორე რიგის სამუშაოთა დაჩქარების მიზნით მალე შუახვევში შეიქმნება სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მოძრავი-მექანიზებული კოლონა.

ჩვენი კოლმეურნეობა ამ რამდენიმე წლის წინათ სამი მცირეძალოვანი და ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა.

მეთამბაქოეობა ყველაზე მეტ შემოსავალს გვაძლევს. წელს სახელმწიფოს 85 ტონა ნედლეულს მივიყიდით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობას მიერ ამ ბოლო დროს გატარებულმა ღონისძიებებმა, მეცხოველეობას აღმავლობის შტეიცე ბაზა შეუქმნა — ახლა ფერმაში 257 პირუტყვი გვყავს. საკმაო რაოდენობით მოვიმარაგეთ საკვებიც. ხელს მოგვიმარათვს ცეკვა-ვარჯანაულის სარწყავი არხი, რომ-მოვიმარაგეთ საკვებიც. ხელს მოგვიმარათვს ცეკვა-ვარჯანაულის სარწყავი არხი, რომ-მოვიმარაგეთ საკვებიც. ხელს მოგვიმარათვს ცეკვა-ვარჯანაულის სარწყავი არხი, რომ-

მოივალთ, მწირი მიწებისა და მკაცრი ამინდის გამო ნაკლებად ნაყოფიერია მთიელთა შრომა, მაგრამ ისინი მონდომებას როდი აკლებენ საერთო საქმეს. მათი მიზანია თავდადებული შრომით უპასუხონ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას.

პარის მთიანეთში ქედის რაიონი შედარებით უკეთეს რელიეფურ ზონაშია მოქცეული, რაც განაპირობებს მის მრავალდარგიანობას. აქ მეჩაიეობასაც მისდევენ, საკუთარი გადასამუშავებელი ფაბრიკაც აქვთ. ამასთან საუკეთესო ხარისხის თამბაქოსა და ყურძნის ამზადებენ...

ყურძნის პირველადი გადამამუშავების საწარმოს ზურაბ გათენაძე უდგას სათავეში.

ბუნებრივია, მასაც აღელვებს მევენახეობის მომავალი, ის საკითხები, რომელთა მოუზღვრებლად ეს დარგი აღმავლობის გზას ვერ დაადგება.

— ქედის შემოგარენი, — გვიხსნის ზურაბი, — ოდითგანვე ცნობილია, როგორც მევენახეობა-მელვინეობის ცენტრი, ამ უბანს სამართლიანად აჭარაში პატარა კახეთს უწოდებენ.

სოფელ ორცევაში უამრავი ქვევრია აღმოჩენილი, ამ რამდენიმე წლის წინათ კი კლდეში ამოკვეთილ საწნახელსაც მიაკვლიეს მეცნიერებმა. ჩვენი წინაპრები მათ ოსმალეების შემოსევამდე დიდი ხნით აღრე იყენებდნენ.

ამიტომ იყო, რომ მზრუნველობა არ მოვაკელით ქართველი კაცის საყვარელ ვაზს და კვლავ ავადობდინეთ ჩვენს მაღლიან მიწაზე. უხვი მოსავლის ოსტატები ახლა ბევრნი არიან ჩვენს რაიონში.

ასევე ყურადღება არ უნდა მოვაკლოთ თამბაქოს, რადგან მეთამბაქოეობის რენტაბელობის დონეც განსაზღვრავს მაღალმთიანი აჭარის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ამასთან საკმაო რაოდენობით უნდა გამოიყოს პოლიეთილენის აფსკი, სტაციონარული სარწყავი დანადგარები, ავტომანქანები... უნდა დაიწყოს ფურტიის წყალსატუმბავი სადგურის მშენებლობა, რომლის პროექტი კარგა ხანია მზადაა, მოგვარდეს მექანიზებული და ელექტროსამშრომების მოწყობა...

ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონები მდიდარია ფერადი სამშენებლო ქვის საბადოებით, მაგრამ ინერტულ მასალებსაც აქ ბათუმიდან ეზიდებიან. ამ ქვების დამუშავების დაჩქარება და გაფართოება მშენებლებს უზრუნველყოფს ძვირფასი მოსაპირკეთებელი ფილებით.

საბოლოოდ უნდა გადაწყდეს აგრეთვე ყაზანლიყის ვარდის გაშენების საკითხი. ხულოსა და შუახევის რაიონის ორი კოლმეურნეობის მაგალითი ცხადყოფს, რომ ეს ვარდი ადვილად ეგუება აჭარის მთიანეთს, გამოირჩევა ზეთის მაღალი გამოსავლიანობითა და შეიძლება გაშენდეს მიტოვებულ და დამრეც ადგილებში, რაც ამასთან შეაჩერებს ეროვნულ მოვლენებს. ამ საკითხზე ვამბობთ კონფერენციებზე, რადიოთი, ეწერტ გაზეთებში, დადებით დასკვნებს იძლევიან ეთერზეთოვანი მცენარეების სოხუმის საცდელი სადგურის სპეციალისტებიც, მაგრამ...

მთიელმა მშრომელებმა ისიც დავაბარეს, რომ დაჩქარდეს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების რეკონსტრუქცია-გამოყვანა და მასთან დაკავშირებული სოფლების რადიოფიციირება, გაუმჯობესდეს რადიო და ტელეგადამცემების ხარისხი, მალე დამთავრდეს ბათუმ-ახალციხის გზატკეცილის რეკონსტრუქცია, კოკოტაურის მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხნის მშენებლობა, ბათუმის მანქანათსამშენი ქარხნის ქედის ფილიალის რეკონსტრუქცია-გაფართოება და სხვა...

უთენია დავემშვიდოებთ სტუმართმოყვარე მასპინძლებს. განთიადი ეფინებოდა მთებს. იწყებოდა ახალი შრომითი დღე, ახალი წარმატებების, პარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადების დღე...

იოსებ ბაქირიშვილი



მურად ხინიკაძე

თბილისში, ახმეტელთან

აჭარაში თეატრის ისტორია, ისევე როგორც ქართული თეატრალური ისტორია, შორეული წარსულიდან იღებს სათავეს.

თურქმა დამპყრობლებმა მთელი საშხრეთ საქართველო მოსწყვიტეს დედასამშობლოს, საუკუნეების მანძილზე სასტიკად იღვენებოდა ქართული ტრადიციები, ქართული კულტურა.

ქართველი ხალხი მუდამ მტკივნეულად განიცდიდა საქართველოს სხეულიდან მისი საუკეთესო ნაწილის მიტაცებას და ყოველთვის ცდილობდა ტყვეობაში მყოფი ძმების დახსნას. ეს სანატრელი დღეც დადგა. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარა კვლავ დაუბრუნდა დედასამშობლოს.

მთელი საქართველო გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის მოწოდებას, ძმური დახმარების ხელი გაეწოდებინათ ახლად შემოერთებული ძმებისათვის. ქართული კულტურის მეზაირახტრეს აუცილებლად მიაჩნდა ეროვნული თვითშეგნების ამძღვრებისათვის ბათუმსა და აჭარის დაბა-სოფლებში ქართული სკოლების გახსნა, ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გავრცელება, ქართული წარმოდგენების გამართვა.

ეს ის დრო იყო, როცა თბილისში ილია ჭავჭავაძე იღვწოდა ქართული თეატრის აღდგენისათვის. ილიას მე-

თაურობით 1879 წელს შეიქმნა დრამატული საზოგადოება და აღდგენილი იქნა მუდმივი ქართული თეატრი.

ბათუმში ქართული წარმოდგენების გამართვა ითავა ყველა ახალი კულტურული წამოწყების მოთავემ ქეთევან ჟურულმა. პირველი წარმოდგენა ადგილობრივი ძალებით გაიმართა 1879 წლის 20 ივნისს. დაუდგამთ ზურაბ ანტონოვის კომედია „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დასწრებია, მათ შორის მაჰმადიანი ქართველები, და ძალიან მოსწონებიათ. აქედან მოყოლებული, ბათუმში სისტემატურად იმართებოდა სცენისმოყვარულთა წარმოდგენები.

1882 წელს ბათუმში სამხედრო სამსახურში გამწყვებული იქნა ახალგაზრდა ოფიცერი, შემდეგში ცნობილი მწერალი დავით კლდიაშვილი, რომელიც მალე დაუახლოვდა ამ წრეს და მისი იდეური ხელმძღვანელი გახდა. წრემ 10-12 წელი იარსება და სისტემატურად მართავდა წარმოდგენებს.

1901 წლიდან ბათუმის მოწინავე მუშებმა თბილისის მუშათა დრამატული წრის, ე. წ. „ავჭალის აუდიტორიის“ მსგავსდ შექმნეს თავიანთი დრამატული წრე, რომელიც მთელი ათი წლის მანძილზე კულტურულ მომსახურებას უწევდა ბათუმის მუ-

შეხსა და ქალაქის მცხოვრებთა დემოკრატიულ ნაწილს, თანაც წარმოდგენებიდან შემოსულ ფულს პოლიტიკურ პატიმრებსა და მათ ოჯახებს ახმარდა. სწორედ ამ წრეში წარმოდგენებს დგამდა შემდეგ ცნობილი რევითორი ალექსანდრე წუწუნავა.

უნდა აღინიშნოს 1912 წელს შალვა ღაღიანის ინიციატივით ჩამოყალიბებულ „მოგზაური დასი“, რომელიც მიზნად ისახავდა მომსახურება გაეწია შავიზღვისპირა ქალაქები სათვით. 1913 წელს ბათუმში დაარსდა დრამატული საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე მესხი.

ბათუმში ხშირად იმართებოდა თბილისისა და ქუთაისის თეატრების გასტროლები, მასში მონაწილეობდნენ ქართული თეატრის ცნობილი კორიფეები: მაკო საფაროვა-აბაშიძე, ნატო გაბუნია, ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია და სხვები.

1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დაყარდა. ბათუმის რეკომთან ხელოვნების სამმართველო შეიქმნა, მოხდა თეატრების ნაციონალიზაცია. ყოფილ შმავესკის თეატრს ეწოდა აკადემიური თეატრი. ჩამოყალიბდა საკამიდ სოლიდური დასი. ბათუმის თეატრს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ კ. ანდრონიკაშვილი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ა. ფაღავა, მ. ქორელი და სხვები.

ბათუმის თეატრის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა ქუთაის-ბათუმის თეატრმა, რომელსაც ცნობილი რევითორი კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა. ყველა ახალ სპექტაკლს ბათუმშიც მართავდნენ, კოლექტივის ჩამოსვლა ყოველთვის საზეიმო მოვლენად ითვლებოდა.

1930 წელს ქუთაის-ბათუმის თეატრი მთავრობის დადგენილებით თბილისში გადაიყვანეს. ბათუმს კვლავ ახალი დასის შექმნაზე და მორიგი სე-

ზონის გამართვაზე უნდა ეზრუნათ. მაგნიზე სეზონში ბათუმის თეატრს ხელმძღვანელობდა რეჟისორი ლეონიშვილი, აგრეთვე შეფობას უწევდა კ. მარჯანიშვილის თეატრი, რომელმაც ცალკეულ დადგმებზე აქ მოაღწია რეჟისორი ლადო ანთაძე.

1932 წელს, ივლისში, ბათუმს საგასტროლოდ ეწვია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი, რომელიც აქ მთელი თვე დარჩა. ბათუმის მძროძელთა მოთხოვნით გასტროლები კიდევ ხუთი დღით გაგრძელდა. საგასტროლო სპექტაკლები არნახული წარმატებით მიდიოდა, აღფრთოვანებული მაყურებელი დიდხანს არ ტოვებდა დარბაზს. სწორედ ამ გასტროლების დროს, სანდრო ახმეტელის ინიციატივით მოხდა შეთანხმება ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან, რომ რეჟისორი ადგილობრივი ძალებით მოამზადებდა ახალგაზრდობას და ბათუმში გახსნიდა ახალ თეატრს. ეს ასეც მოხდა. ს. ახმეტელმა ბათუმში ჩაატარა შესარჩევი გამოცდები და ნიჭიერი ახალგაზრდები წაიყვანა თავის თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში. რუსთაველის თეატრთან შეიქმნა ე. წ. „აჭარის სექცია“. ყოველწლიურად ბათუმში ატარებდნენ შესარჩევ გამოცდებს და ახალი ჯგუფები ვმატებოდა „აჭარის სექციას“.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ჯგუფი დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და ყურადღებით იყო მოსილი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის მიერ. სტუდიის პედაგოგები ვანსაკუთრებულ ზრუნვასა და სიყვარულს იჩენდნენ ჩვენს მიმართ. მათი სითბო და აღერ-სი დაუვიწყარია ჩვენთვის. ჩვენი აღმზრდელი პედაგოგები — სანდრო ახმეტელი, აკაკი ვასაძე, ია ქანთარია, გულუჯა ლორთქიფანიძე, ვანო ლაღიძე და სხვები საკუთარი შეილებივით გვზრდიდნენ და ზრუნავდნენ ჩვენზე.

„აჭარის სექციის“ მსმენელები — ნუცა ფხაკაძე, გრიშა კობახიძე, იუსუფ კობალაძე, ისკენდერ კაიკაცი-შვილი და სხვები სისტემატურად მონაწილეობდნენ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებში. მასიური სცენების გარდა, ისინი როლებსაც თამაშობდნენ. აღნიშნული ახალგაზრდები მონაწილეობდნენ რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლებზე.

1936 წელს თეატრმა აჭარის ჯგუფთან სამუშაოდ მიიწვია ახალგაზრდა რეჟისორი დოდო ალექსიძე, რომელმაც ის იყო დამთავრა მოსკოვის ლენინარსკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი.

დოდო ალექსიძემ დიდი ენთუზიაზმითა და სიყვარულით დაიწყო ჩვენთან მუშაობა. მან თავისი ტემპერამენტით აღაგზნო მთელი ჯგუფი და ზედიზედ დადგა ორი სპექტაკლი — კარლო გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ და გიორგი მდივნის „ბრმა“. ეს დადგმები რუსთაველის თეატრის რეპერტუარში შევიდა.

ეს სპექტაკლები იყო ზეიმი აჭარის ჯგუფისათვის, ძაგრამ ის ასეთივე ზეიმად გადაიქცა მთელი კოლექტივისათვის. გვაქებდნენ და გვაქებებდნენ მომავალი მუშაობისათვის. დადგმებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა, როგორც მაყურებლის, ისე პრესის მიერ.

ასე მიიღეს პირველი სცენური წრთობა იმ ახალგაზრდებმა, რომლებმაც შემდეგში დაამშვენეს ბათუმის თეატრი თავიანთი სამსახიობო მოღვაწეობით.

დადგა თეატრთან დამშვიდობების დღე... აჭარის ჯგუფმა დამთავრა სასწავლო პერიოდი და ზემოდხსენებული ორი სპექტაკლით ბათუმში უნდა წასულიყო ახალი თეატრის გასახსნელად.

1937 წლის 11 მარტს აჭარის ჯგუფი რუსთაველის თეატრის მთე-

ლმა კოლექტივმა გამოაცხადა სწავლურზე. ზვეენა-კოცნას და დამშვიდობების ბოლო არ უჩანდა. ცრემლმწარევი სიხარულით დავშორდით რუსთაველის თეატრის კოლექტივს, სადაც ხუთი წელი გავატარეთ სწავლაში, შრომასა და სიყვარულში.

ბათუმის თეატრი გაიხსნა 1937 წლის 18 მარტს — აჭარის გასაბჭოების დღეს. ნ. კანდელაკი გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ წერდა: „18 მარტს აიხსნა პირველად აჭარის სახელმწიფო თეატრის ფარდა, აყვავებული აჭარის მშრომელთა წინაშე ამ დღეს გამოიტანა პირველად ახალგაზრდა თეატრმა თავისი შემოქმედებითი პროდუქცია. ხალხით გატვდილი დარბაზი მოუთმენლად ელოდა პირველი აჭარელი მსახიობების სპექტაკლს.

წარმოდგენა დაიწყო: სცენაზე გადაიშალა იმპერიალისტური ომის საშინელი სურათი, კაპიტალისტურ მტაცებულთა სროვა; იწყება რევოლუცია, მყარდება საბჭოთა ხელისუფლება. ბაქოს სარეწაოებში გაშლილია უდიდესი მუშაობა. რთულდებოდა და ვითარდებოდა პიესის კვანძი, თანდათანობით იზრდებოდნენ მსახიობები და აღფრთოვანება იწყებოდა მაყურებელთა დარბაზს“.

აქედან მოყოლებული, თეატრალური კოლექტივი შეივსო უფროსი თაობის მსახიობებით და გაჩაღდა ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა, რასაც მოჰყვა სხვა ახალი დადგმები — გ. მდივნის „ალკაზარი“ და „სამშობლო“, ს. მთვარაძის „თევრათი“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, ს. შანშიაშვილის „არსენა“ და სხვ. დადგმას დადგმა მოსდევდა, სეზონს — სეზონი...

ბათუმის ახალგაზრდა თეატრისადმი რუსთაველელთა მზრუნველობა, ყურადღება და დახმარება შემდეგშიაც არ შეწყვეტილა. სისტემატურად ჩამოდიოდნენ ჩვენთან თეატრის ხელმძღვანელები, რეჟისორები. არჩევდ-

ნენ ჩვენს სპექტაკლებს, მსახიობთა თამაშს და ასე პრაქტიკულად აანალიზებდნენ და ხვეწდნენ ყოველ დეტალს, და ამით სრულყოფდნენ რომელიც სპექტაკლს, ისე ცალკეულ შემსრულებელთა შესაძლებლობას.

ბათუმის თეატრმა თავისი არსებობის 44 წლის მანძილზე 300-ზე მეტი სპექტაკლი განახორციელა და ბევრმა მათგანმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მათ შორის უნდა აღინიშნოს სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, ვ. დარასელის „კიკვიძე“, ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“, შექსპირის „ოტელო“ და სხვა მრავალი.

თეატრი თავის სპექტაკლებში მონაწილეობის მისაღებად იწვევდა გამოჩენილ მსახიობებს. ბათუმელთა წარმოდგენებში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნიკო გოცირიძე, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, მიხეილ გელოვანი, გიორგი შავგულიძე, სესილია თაყაიშვილი, ელენე ყიფშიძე, სანდრო ჟორჟოლიანი, ნოდარ ჩხეიძე, ეროსი მანჯგალაძე და სხვები. ყველა ჩვენგანი ცდილობდა ღირსეული პარტნიორობა გაეწია სახელ-

მოხვეჭილი მსახიობებისათვის. და ეს დიდ შემოქმედებით სტიმულს ეძლეოდა, განუზომლად ზრდიდა პასუხისმგებლობას მაყურებლის წინაშე.

თეატრს ადგილობრივ მწერლებთან თანამშრომლობის საკმაოდ მდიდარი ტრადიცია აქვს: პირველად ბათუმის თეატრში აიდგა ფეხი დრამატურგმა ვალერიან კანდელაკმა. ნაყოფიერად თანამშრომლობდა თეატრთან მწერალი პარმენ ლორია, ასევე წარმატებით აგრძელებენ ამ ტრადიციას ა. შერვაშიძე, ა. ჩხაიძე, ფ. ხალვაში, შ. როყვა და სხვები.

წელს ბათუმის თეატრმა თავისი 44-ე სეზონი დაიწყო. იგი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე შემოქმედებითი კოლექტივია, გარდა საქართველოს ქალაქებისა; საგასტროლოდ ეწვია მოსკოვს, პერიფერიის თეატრებს შორის პირველად იყო საზღვარგარეთ — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში.

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრს სასახელო ტრადიციები აქვს, რაც ჩვენ ახალი შემოქმედებითი წამატებებისაკენ მოგვიწოდებს.

ჩვენი პუბლიკაცია

პარმენ ლორია

ხელოვნების მსახურნი

ბათუმის თეატრის ისტორია მრავალი გამოჩენილი მოღვაწის სახელითაა ცნობილი. უკანასკნელი თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ამ მოღვაწეების სია კიდევ რამდენიმედ გაიზარდა. ამ სიაში ჩაიწერა ახალი აღამიანების, ახალი მოღვაწეების სახელები, რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინო ადგილი იუსუფ კობალაძესა და მურად ხინიკაძეს უჭირავთ. ჩვენი ქვეყნის, ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების უდიდეს

გამარჯვებას უნდა მიეწეროს ეს მოვლენა. იუსუფ კობალაძე და მურად ხინიკაძე იმ კუთხის შვილები არიან, რომლის წარმომადგენელი ამ დღე-ღამეც დაცხრამეტი წლის წინათ მუხლმოდრეკილი იდგა ჩვენი სასიქადულო პოეტის აკაკის ცხედარის წინაშე და ცრემლმორეული შესთხოვდა დიდი ქართველი მომღერლისა და მოღვაწის ნეშტს: „დიდო პოეტო, — ჯაუბარე შენს ხალხს, სუ დაივიწყებს აჭარას. ჯაუბარე შენს თანამემამულეებს, მიხედონ აჭარლებს, გაუწოდონ ხელი, სწავლა-განათლება მიაღებინონ და მისცენ საშუალება ეზიარონ შენი პოეზიის მადლითო“. ეს იყო 1915 წლის ზამთარში.

მას შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია. ოქტომბრის რევოლუციამ საშუალება მისცა ყველა ერსა და ყველა ტომს მიეღო სწავლა-განათლება, ეშრომა და ემოღვაწა ისე, როგორც მას სურდა. განთავისუფლებულ საქართველოსთან ერთად ახალი ცხოვრება დაიწყო აჭარამაც. და მალე განახლებულ აჭარის სოფლებსა და ქალაქებში აკაკისა და ილიას ლექსებით ატიკტიკდა ნორჩი თაობა, რომლის შორისაც იყვნენ მომავალი მოწინავე აღამიანები, ახალი თაობის ახალი წარმომადგენლები.

ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს ჩვენი თეატრის დამამშვენებლებსა და ხელოვნების ერთგულ მოღვაწეებს იუსუფ კობალაძესა და მურად ხინიკაძეს. ჩვენ ვიცნობთ მათ სცენაზე, თავიანთ განცდებითა და შემოქმედებით, ვიცნობთ ყოველდღიურ საქმიანობაში, პარტიული და საზოგადოებრივი დავალებების შესრულების დროს, ვიცნობთ ჭირსა და ლხინში. მოწინავე მსახიობები, მოწინავე მეგობრები და ამხანაგები არიან.

იუსუფ კობალაძე ჩვენი თეატრის საძირკველია, მისი სიამაყე და სიძლიერე. რომ არაფერი ვთქვათ ამ მსახიობის მიერ შექმნილ მრავალ შესანიშნავ სახეზე და დავასახელოთ მხოლოდ ოდიშოს მეფე, ესეც კი საკმარისი იქნება იუსუფ კობალაძის სიძლიერის დასახასიათებლად, მისი ნიჭის დასამტკიცებლად.

მე მკონდა შემთხვევა იუსუფ კობალაძის ოდიშოსის შესახებ მომესმინა რუსი მწერლის ნიკოლოზ ტიხონოვის აზრი. იგი მოითხოვდა ამ დადგმის სტალინურ პრემიაზე წარდგენას. ეს იყო 1950 წლის დეკემბერში მოსკოვში.

ის კმაყოფილება, რომელიც იმ დროს მე განვიცადე, უთუოდ მავალეებს დიდი მადლობა ვუთხრა ჩვენს საყვარელ მსახიობს იუსუფს.

მურად ხინიკაძის ჩვენს სცენაზე გამოჩენა მაყურებლებმა დიდი სიხარულით მიიღეს. იმ დროს მის საპატივცემულოდ დამრული მქუხარე ტაში დღემდე უფრო და უფრო ძლიერდება და ჩვენი მურადიც მეტსა და მეტ საყვარულს იმსახურებს ჩვენს გულში. მურადი საყვარელი მსახიობია, საყვარელი ამხანაგი და მოქალაქე. ჩვენ მას ვხედავთ სცენაზე — როლში, მუშათა კლუბში — წრის ხელმძღვანელად, აგიტპუნქტში — აგი-

ტატორად, კრებებზე — მომხსენებლად. ერთი სიტყვით, ის ყველგან ყოველ საქმეში აქტიური და ბევითია.

მურადი ნამდვილი პატრიოტია, პატრიოტია სცენის, თავისი პროფესიის, თავისი ქვეყნის, საბჭოთა სახელმწიფოსი.

ჰო, ამ პატრიოტობაზე გამაზნენდა.

— ერთ დღეს, — იგონებს კერძო წერილში ერთი ჩემი მეგობარი, — ერთ აჭარელ გლეხს ვესტუმრე. მას ადრე ვიცნობდი. მასპინძელი შინ არ ღამიზდა. ეზოში პატარა, 5-6 წლის ბიჭს გაველაპარაკე, იგი ჩემი მეგობრის შვილი აღმოჩნდა. მე გავეხუმრე, ბიჭიკო, უნდა წაგიყვანო და გაგაქართველო-მეთქი. ბავშვი ჯერ გაკვირვებით მომაჩერდა, შემდეგ წყრომით მითხრა, ქართველი კიდეც რაფრა უნდა გამაქართველო!.. — და განაგრძობს ჩემი მეგობარი: მე იმ პატარა ბიჭს დავაჟაკებულს ვხედავ ჩვენი ქალაქის თეატრის სცენაზე და მიხარია, რომ იმ დროს ჩემს მიერ გაცნობილი პატარა მურადი დღეს ასე სახელოვანი მსახიობიაო.

აქ შეკრებილი ამხანაგები დამეთანხმებიან, თუ ვიტყვი, რომ იმ ჩემი მეგობრის მსგავს სიხარულს განვიცდით ჩვენ ყველანი ჩვენი საყვარელი მსახიობების იუსუფ კობალაძისა და მურად ხინიკაძის სცენაზე გამოჩენისა თუ პირადად შეხვედრისას.

დღეს ჩვენ აქ პატარა დღესასწაულზე — პატარა დღეობაზე შევეკრებილვართ. დიდ საქმეზე პატარა დღეობას ვიზდით, მაგრამ პატარა ეს არის მოცულობით და არა შინაარსით. ჩვენი თეატრის ისტორიის ფურცელზე ეს პატარა დღეობაც იპოვის საკმაოდ საპატიო ადგილს. ამაში ჩვენ დარწმუნებული ვართ.

აქ ჩვენს წინაშე ორი ქართველი მოღვაწე, ორი ხელოვანი დგას და ჩვენს სიტყვებს ისმენს. აქამდე მათდამი სიყვარულსა და პატივისცემას იქ, თეატრის დარბაზიდან მქუხარე ტაშისცემით გამოვხატავდით, აქ კა იმ ტაშსა და ოვაციებს ჩვენ გულთბილ სიტყვებსაც დავუმატებთ და ყოველგვარ კეთილ სურვილებთან ერთად ვეტყვით: მაღლობა თქვენ, ჩვენი საყვარელო ადამიანებო, საბჭოთა ხელოვნების უანგარო და თავდადებული მსახურნო!


იყავით დღევრძელი ჩვენი ხალხისა და ხელოვნების სასახელოდ!



ბათუმური კალსი

ბათუმზე — ამ შესანიშნავ და საყვარელ ქალაქზე — დაწერილია მშვენიერი სიმღერები, რომელთა ავტორები — ლილი იაშვილი, რევაზ ლალიძე, შოთა მილორაძე და სხვები ჩემს რეკომენდაციებს არ საჭიროებენ.

ბედნიერი ვიქნები, თუ ბათუმელებს მოეწონებათ ჩემი სიმღერაც, რომელიც პოეტ შოთა ზოიძის ლექსზე დაწერე.



თოლიები და თეთრი გედები,
თეთრი ვარდები, თეთრი პეპლები,
ცას განთიადის ალი ედება,
იწვის უკვამლოდ და იფერფლებს.

ბათუმი. მის ცას ჩემი თაყვანი,
გიდრე მზე ტაღლებს ჩაეკონება...
ბათუმი — ჩემი მწვანე აკვანი
და სიყვარულის ზეშთაგონება.

სანაპიროზე ქალი ღამაში,
მაღალ მუხლებით,
თეთრი წვივებით,—

ბათუმი, მე რომ სული ამივსო
თბილი თოვლით და თბილი წვიმებით.

ბათუმი — ჩემი სულის სავანე,
პორტში გემი და გემზე ალამი,
ბევრი გზები და ბევრი სავალი
და გზებზე ბევრი იასამანი.

ბათუმი, მისი ცა მიამიტი,
რალაც ჯადო და რალაც თილისმა,
მე ცოცხალი ვარ ქვეყნად იმიტომ,
რომ სიყვარულმა მომკლას იმისმა.

შოთა ზოიძე.

რე მშვენიერი ზღვა გზაჰმს, აჭარა...

ჩვენი წერილის სათაურად შემთხვევით არ აგვიჩვევია დიდი გალაკტიონის სტრიქონი. მართლაც, ვის არ მოხიბლავს შავი ზღვის მშვენიება, მაგრამ არა ნაკლებ მშვენიერი არიან ის ადამიანები, რომლებმაც ეს ზღვა დაიმორჩილეს, მძლავრი ხომალდებით სერავენ მის ტალღებს.

საზღვაო საქმესა და ნაოსნობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიაში. ჩვენი წინაპრების ზღვისადმი ლტოლვა საუკუნეთა მიღმა იკარგება. მითოლოგიურ ცნობებზე რომ არაფერი ვთქვათ, ისტორიული წყაროების მიხედვით, კოლხები მჭიდრო კავშირს ამყარებდნენ ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის მოწინავე სახელმწიფოებთან. კოლხი მეზღვაურების სახელი საყოველთაოდ იყო ცნობილი, ხოლო ბათუმი ერთ-ერთ უძველეს სანავსადგურო ქალაქად ითვლებოდა.

შავიზღვისპირა ქალაქების, კერძოდ, ფოთისა და ბათუმის ინტენსიური განვითარება იწყება საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ.

ფინანსთა მინისტრის ნ. რეიტერნის რუსეთის მეფის ალექსანდრე მეორის სახელზე დაწერილ მოხსენებით ბარათში, რომელიც დათარიღებულია 1876 წლის 19 მარტით, ვკითხულობთ: „სახალხო განათლების სამინისტროს, შუამდგომლობის თანახმად, ნება დაერთოს ფოთში გახსნას საზღვაოსნო კლასი... და დამტკიცდეს მისი დებულება და შტატები...“

ქ. ფოთში საზღვაოსნო კლასის დაარსებასთან დაკავშირებით მეფის მოხელეები თავიანთ ახსნა-განმარტებით ბარათში წერდნენ: „ვშუამდგომლობთ რა მთავრობის წინაშე ქ. ფოთში საზღვაოსნო კლასის დაარსებაზე, საჭიროდ მიგვაჩნია დავასახელოთ ის მიზეზები, თუ რატომაა საჭირო პირველი საზღვაოსნო კლასის დაარსება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სახელდობრ ფოთში და არა სხვაგან. ქ. ფოთი გაშენებულია მდინარე რიონზე, რომელიც გამოიყენება ორთქლმავალი გემების ოთხმოცდაათი ევრის მანძილზე სანაოსნოდ და ადგილობრივი სამდინარო გემებისათვის კი 15 ევრსზე. სამეგრელოსა და გურიის მცხოვრებლები დიდ უნარს იჩენენ ნაოსნობისადმი, რაც მტკიცდება, ერთის მხრივ, აქ მოძალებული სამდინარო ნაოსნობით და მეორე მხრივ კი ადგილობრივი მცხოვრებლების რუსეთის გემებზე და კარკაპებზე მუშაობის სურვილით, სადაც ისინი ძალიან მოკლე დროში კარგი მეზღვაურები ხდებიან... საზღვაოსნო საქმე ამ რაიონში დიდად უნდა განვითარდეს. პირველი საზღვაოსნო კლასის აქ დაარსება შესაბამეა იმ მაღალ პატრიოტულ მოზანს (რუსული სავაჭრო ნაოსნობის განვითარებისა), რომელიც აღნიშნულია მისი აღმატებულების მიერ დამტკიცებულ საზღვაოსნო კლასების დებულებაში...“

მიუხედავად იმისა, რომ საზღვაოსნო კლასის დაარსება გადაწყდა, ფოთის ქალაქის საზოგადოებამ დროზე ვერ შეაგროვა საჭირო 600 მანეთი და სწავლება დაიწყო ოთხი წლის შემდეგ — 1880 წლის 21(8) ნოემბერს.

ამრიგად, 100 წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი საზღვაოსნო სწავლებას საქართველოში.

ფოთის მიხაილოვის საზღვაოსნო კლასს ჰქონდა ორი განყოფილება — შტურმანი და შკიპერის.

საზღვაოსნო კლასს ხელმძღვანელობდა სპეციალური კომიტეტი, რომელსაც რამდენიმე წლის მანძილზე თავმჯდომარეობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე.

თუკი ფოთში საფუძველი ჩაეყარა საქართველოში საზღვაო სწავლების საქმეს, ბათუმმა ეს ესტაფეტა მიიღო და უკვე 50 წელზე მეტია, რაც ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი ჩვენს ფლოტს კადრებს უმზადებს. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბათუმის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი, რომელიც 1921 წელს გაიხსნა. მისი ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა, რომ შეექმნა სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზა, მაგრამ 1923 წლის მაისში სასწავლებელი მაინც დაიხურა. კურსანტების ერთი ჯგუფი ლენინგრადის სხვადასხვა სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში გადაიყვანეს. ცამეტი კურსანტი ჩარიცხეს უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში. იმ ცამეტთაგან ოთხმა სანაქებოდ დაამთავრა სასწავლებელი და შემდგომ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელმძღვანელო კონტრ-ადმირალები გახდნენ. ესენი იყვნენ ს. რამიშვილი, ვ. ლეჟავა, კ. სუხიაშვილი და ხ. კაპანაძე.

1929 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირის საწყლო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, ბათუმის ნავსადგურთან არსებული მუშათა სანავსადგურო-სააღმშენებლო კურსები რეორგანიზებული იქნა საღამოს საზღვაო-ინდუსტრიალურ ტექნიკუმად. მისი პირველი დირექტორი იყო ე. ხუროძე. 1929-30 სასწავლო წელს ტექნიკუმს ჰქონდა ჰიდროტექნიკური, ხოლო 1931 წელს დამატა მექანიზატორული განყოფილება. სწავლების ვადა სამი წელი იყო. თუკი პირველ სასწავლო წელს ტექნიკუმში 40 კაცი სწავლობდა, მომდევნო წელს ეს რიცხვი 164-მდე გაიზარდა. გარდა ამისა, გაიხსნა მოსამზადებელი კურსები და მოსწავლეთა საერთო რიცხვმა 316-ს მიაღწია, მათ შორის ქალებიც იყვნენ.

1932 წელს ტექნიკუმმა იზეიმა პირველი ნაკადის გამოშვება — 24 ჰიდროტექნიკოსმა მიიღო დიპლომი. მომდევნო წელს ტექნიკუმში გაიხსნა საექსპლოატაციო, ხოლო შემდეგ გემთწამყვანი და გემთმექანიკური განყოფილებები, სწავლების ვადა ოთხ წლამდე გაიზარდა.

1939 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, ფოთის საზღვაო ტექნიკუმში შეუერთდა ბათუმის საზღვაო ტექნიკუმს. ფოთიდან ბათუმში გადმოიყვანეს 49 მოსწავლე.

დიდი სამამულო ომის დროს ბათუმში ევაკუირებული იყვნენ როსტოვის საზღვაო ტექნიკუმის სტუდენტები და მასწავლებლები, რომელთაც ბათუმის საზღვაო ტექნიკუმმა სწავლების საჭირო პირობები შეუქმნა.

1944 წლის ივნისში ბათუმის საზღვაო ტექნიკუმში რეორგანიზებული იქნა დახურული ტიპის საზღვაოსნო სასწავლებლად. იმავე წელს ტექნიკუმში დაამთავრა ხუთმა გემთმექანიკოსმა, იმდენივე ჰიდროტექნიკოსმა და 12 გემთწამყვანმა.

ბათუმის საზღვაო ტექნიკუმმა 1929-1944 წლებში 594 სპეციალისტი გამოუშვა, რომელთა შორის ბევრი სასახელო მეზღვაური გახდა. ესენი არიან კაპიტნები აბესალომ ზენაიშვილი, რასიმ ბერიძე, პეტრე ჩაქვეტაძე, ვლადიმერ ბატიუხინი, ლეონიდ ხლენიკოვი და სხვები. ტექნიკუმმა რამდენიმე ათეული შტურმანი ქალიშვილი აღზარდა, მათ შორის ოთხი ქართველი გოგონა — ვაიდე გვარიშვილი, ნინო კალანაძე, შუშანა თუმანიშვილი და ილია ფაილოძე.

ვაიდე გვარიშვილი 1953 წლამდე მსახურობდა კასპიის ზღვაზე, მაგრამ უკუბრუნებულ

სენს ველარ მოვრია... ნინო კალანდაძე დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიან წლებში ტანკერ „დონბასის“ კაპიტნის მესამე თანაშემწე იყო. მისი ზომალდი ვერ გადაურჩა ფაშისტთა წყალქვეშა ნავის ტორპედოს... მამაცი ქალიშვილი ოკეანის ფსკერზე განისვენებს... შეშანა თუმანიშვილი დღესაც კასპიის საზღვაო სანაოსნოს სამმართველოს მუშაია, იუღია ფაილოძე კი დიდხანს ცურავდა შორეული აღმოსავლეთის სხვადასხვა გეგზე კაპიტნის მეოთხე, მესამე და მეორე თანაშემწედ, შემდეგ იუღია მშობლიურ სასწავლებელს დაუბრუნდა. ახლა კი ბიბლიოთეკარია.

ბათუმის საზღვაო ტექნიკუმის პირველ დირექტორზე უკვე ვთქვით. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ისინიც, რომლებიც მომდევნო წლებში ხელმძღვანელობდნენ სასწავლებელს: ნ. კალანტიდი, ა. ცინცაძე, მ. უსტიაშვილი, ა. იამპოლსკი, ო. შანიძე, ი. ბერიძე, ი. ოვანეზოვი. ეს უკანასკნელი ბათუმის სასწავლებელში თითქმის 22 წელიწადს მუშაობდა.

1976 წლის სექტემბრიდან სასწავლებელში გაიხსნა ახალი — გემის ავტომატიზებული სისტემების ექსპლოატაციის სპეციალობა, რომლის კურსდამთავრებულები უკვე მუშაობენ თანამედროვე ავტომატიზებული ენერგოდანადგარებით აღჭურვილ გემებზე.

ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის აღზრდილებს ჩვენი დიადი, სამშობლოს ყველა კუთხეში ნახავთ, ნაწილი პარტიული და სამეურნეო მუშაია, სხვები — მეცნიერები, ექიმები, მუსიკოსები, მშენებლები... რაც მთავარია, ზღვაოსანთა მთელი არმია მსოფლიოს ყველა ზღვასა და ოკეანეში ღირსეულად ატარებს ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის კურსდამთავრებულის სახელს.

ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან ვ. ტიხონოვი საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრის პირველი მოადგილეა, ა. არხიოვი — საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გ. ჩხეიძე — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი, პროფესორი ვ. გავრილოვი აღმირალ მაკაროვის სახელობის ლენინგრადის უმაღლესი საინჟინრო-საზღვაო სასწავლებლის უფროსია და ა. შ. კურსდამთავრებულთა შორის გვყავს პოეტი-მარინისტი ვ. კოჩეტოვი, ხოლო შორეული ნაოსნობის კაპიტანმა ვ. პონომარიოვმა გამოსცა წიგნი „აღადიანი და ნაოსნობის უშიშროება“.

შეუძლებელია არ გავიხსენოთ კურსდამთავრებულები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე ზღვას შესწირეს, ესენი არიან კაპიტნები: ძმები ლევან, ანდრო და ნიკოლოზ მხატვრები, გიორგი ანთიძე, გიორგი ბუაძე, ნიკოლოზ სოკოლოვი, ახმედ წუწუნაძე, ჯუმბერ ინწკირველი, ვლადიმერ როდინიუჟი, იური ივანოვსკი, ვლადიმერ კრასნოლუტსკი, გემთმექანიკოსები ვლადიმერ კაპანაძე, გარი ვადაჭკორია და სხვები.

მრავალი სამავალითო საქმე ჩაუდენიათ სასწავლებლის კომკავშირის აღზრდილებს. შეხუთეკურსელი ანზორ ქუთათელაძე თვითმფრინავის კაბინაში ეკვეთა გარეწრებს და ხელი შეუშალა მათ აედლებინათ პილოტი საზღვარს იქით წაეყვანა თვითმფრინავი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ანზორი დააჯილდოვა მედლით „მამაცობისათვის“, მისი სახელი საქართველოს კომკავშირის საპატიო წიგნში შეიტანეს.

1967 წლის 24 ივლისს ვიეტნამში რეიდზე მდგარ ტანკერ „სამარყანდის“ ეკიპაჟმა და მასთან ერთად ბათუმელმა კურსანტებმა, რომლებიც გემზე პრაქტიკას გადიოდნენ, გასაოტარი სიმამაცე გამოიჩინეს. ამერიკის თვითმფრინავების დაბომბვის დროს მათ არა მარტო თავიანთი ტანკერი გადაარჩინეს, არამედ მეგობრობის ხელი გაუწოდეს ხანძარ-მოდებულ კარგაებზე მყოფ ვიეტნამელ მეზღვაურებს, ვიეტნამის მთავრობამ დიდი შეფასება მისცა კურსანტების — ზურაბ ჯანგველადის, შოთა ქორიძის, ბონდო აბჯანდაძის, ბორის ბახტაძისა და გიორგი ჯგუბურიას სიმამაცეს. — დააჯილდოვეს მედლით „მეგობრობა“.



მსოფლიოს პირველი კოსმონავტი იური გაგარინი და კაპიტანი თენგიზ მაქაცარია თბომაველ „საქართველოზე“

სასწავლებელი ამჟამად შორეული ნაოსნობის კაპიტნის თენგიზ მაქაცარიას სასა-
ხელო საქმეებით. 1961 წლის მაისიდან თ. მაქაცარია თბომაველ „საქართველოს“ კაპი-
ტანი იყო. 1968 წლის სექტემბერში უკურნებელმა სენმა თენგიზი სიცოცხლეს გამო-
ასალმა. საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ლენინის ორდენისანი კაპიტნის
თენგიზ მაქაცარიას ღვაწლს. დღეს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ალმით ტალღებს
სერავს ტანკერი „კაპიტანი მაქაცარია“.


არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს ბათუმის საზღვაო სანაოსნო სასწავლებლის კურს-
დამთავრებულთა სხვა გაუცაცური საქმეები. გავიხსენოთ გაზეთების სათაურები: „გადა-
რჩენილია 547 კაცი“, „დამარცხებულია ცეცხლოვანი სტიქია“, „ზღვა, ცეცხლი და ადა-
მიანები“, „ეს მონღა ანადირის ყურეში“ და ა. შ. გაზეთი „ვოლნი ტრანსპორტი“ წერ-
და: „პირველი, რომელიც „ღვინაზე“ ხანძრის გაჩენიდან 2 საათის შემდეგ ალმოდ-
ბულ გემთან მივიდა, იყო სატვირთო თბომაველი „კლარა ცეტკინი“. ამ გემის ეკიპაჟმა
კაპიტან გიორგი სილოვანის ძე ანთიძის მეთაურობით დაიწყო ბრძოლა ხანძართან“.
იმ მძიმე წუთებში არავინ იცოდა, რომ კაპიტანი ანთიძე მეგობრობის ხელს უწყდოდა
თავის თანაკურსელს ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლიდან — „ღვინის“ კაპიტანს იუ-
რი ივანკოვსკის. მაშინ, როცა „ღვინაზე“ ხანძარი ბოძოქრობდა, სამანქანო განყოფი-
ლებაში ცეცხლს შეუპოვრად ებრძოდა მეოთხე მექანიკოსი ნიკოლოზ მალევეი, რომე-
ლიც ამ ბრძოლაში დაიღუპა.

1968 წლის 17 მარტს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა სტატია „თორმეტბალია-
ნი სიმამაე“, იგი ბოძოქარ წყნარ ოკეანეში მომხდარ შემთხვევას აღწერდა. გემ „კიშზე“,
რომლის ეკიპაჟს კაპიტანი გიორგი ჩხეიძე მეთაურობდა, გაჩნდა ხანძარი. კაპიტანმა
ჩხეიძემ შესცვალა გემის კურსი და უახლოეს კუნძულისაკენ გაეშურა აგარიული
სვლით, ეკიპაჟი კი ხანძართან საბრძოლველად დარჩა. ამ მანევრით გადაარჩინეს
ტვირთი და საერთაშორისო ფოსტის ათას რვაასი პაკეტი. აღსანიშნავია, რომ კაპიტან

გიორგი ჩხეიძის მიერ გამოყენებული ეს ხერხი საზღვაო პრაქტიკაში პირველი და პირველი კაპიტანი გიორგი ჩხეიძე, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი, დაინიშნა საზღვაო ფლოტის სამინისტროს წარმომადგენლად იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში, სადაც ხუთი წელი დაჰყო, დღეს გიორგი ჩხეიძე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსია.

კიდევ ერთი სტატია, რომელიც „კომსომოლსკაია პრადამ“ 1974 წლის 8 ოქტომბერს დაბეჭდა. — „შემთხვევა ბობოქარ ოკეანეში“. გაზეთი წერდა, რომ ოდესის საზღვაო სანაოსნოს გემმა „ბერიოზოვკამ“ კაპიტან ამირან გოგუას ხელმძღვანელობით გადაარჩინა თბომავალი „სიზრანი“, რომელიც გასაჭირში იმყოფებოდა. 20.000 ტონა წყალწყვის „სიზრანს“, რომელიც ვიეტნამში მიდიოდა, უცებ მთავარი ძრავი გაუჩერდა და სამანქანო განყოფილებაში იფეთქა ხანძარმა. გემის ეკიპაჟმა ცეცხლი ჩააქრო, მაგრამ სვლადაკარგული „სიზრანი“ ნაფოტივით დაფარფატებდა ოკეანეში. კაპიტანმა ამირან გოგუამ და მისმა ეკიპაჟმა აბობოქრებულ ოკეანეში „სიზრანის“ ბუქსირზე აყვანა მოახერხეს.

მსგავსი მაგალითები კიდევ ბევრი შეგვეძლო მოგვეყვანა. ჩვენი კურსდამთავრებულები შესანიშნავად აგრძელებენ ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის სასახელი ტრადიციებს, სასწავლებლისა, რომელსაც წელს მარშალ ა. გელოვანის სახელი მიენიჭა.



ზღვის იდილია

მოქანდაკე ვალერიან ინაიშილი

რესპუბლიკის მთავარი ქირურგი

„მე ღრმად მაქვს შეგნებული ჩემი, როგორც ხალხის ამორჩეულის უდიდესი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე... მთელს ჩემს ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას კიდევ მეტად წარემართავ იქითკენ, რომ გაეაძვარებო ხალხის ნდობა“ — ასე წერდა გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ 1938 წელს აჭარის ასსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი მამია კომახიძე. მაშინ იგი 32 წლისა იყო. აჭარის დიდი შვილი და სახელოვანი მედიკოსი თბილისიდან ერთი წლით მოავლინეს ამ საპასუხისმგებლო პოსტზე და ამ ერთ წელიწადში მან შეძლო გამოეყვანა უდიდესი ენერგია და ორგანიზატორული ნიჭი, მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა აჭარის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესებაში... ფორმალურად მამია კომახიძე აჭარაში მართლაც ერთი წელი მუშაობდა, ფაქტიურად კი იგი წუთითაც არ იეიწყებო მშობელ მხარეს, მის მშრომელ ხალხს დახმარების ხელს უწყდის, ხელს, რომელსაც არაერთი განწირული ადამიანი უხსნიან — ჭეშმარიტი დასტაქრის ხელს, სუფთასა და უანგაროს.

უკვე 55 წელია მამია კომახიძე თბილისში ცხოვრობს და იღვწის. 55 წლის წინ შევიდა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო (დიახ, საინჟინრო) ფაკულტეტზე, მაგრამ აქ მხოლოდ ერთი სემესტრი გაძლო. ცნობილი ქართველი ექიმისა და პუბლიცისტის ივანე გომართელის ლიტერატურული მემკვიდრეობის გაცნობამ მას ხელი ააღებინა ინჟინრის სპეციალობაზე და ცხოვრების მუდმივ ასპარეზად ექიმის რთული გზა აირჩია. მან 1930 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან მ. კომახიძემ მიიპყრო ქართული სამედიცინო მეცნიერების ფუძემდებლების ა. ნათიშვილის, ი. ბერიტაშვილის, გ. მუხაძის ყურადღება. მათი ხელმძღვანელობით, აგრეთვე ცნობილი მეცნიერი მედიკოსების ი. ჯანელიძის, ს. იუდინის, ვ. ტონოვის და სხვების დახმარებით მ. კომახიძე ჩამოყალიბდა როგორც გამოჩენილი მეცნიერი-ექსპერიმენტალი, შესანიშნავი ქირურგი-პრაქტიკოსი და გულისხმიერი პედაგოგი.

მეცნიერის, პედაგოგისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორის სახელოვანი გზა განვლო მ. კომახიძემ. მეექვსე კურსის სტუდენტი აკა-

დემიკოს ა. ნათიშვილთან ასისტენტად იწყებს მუშაობას, შემდეგ ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასპირანტია. 1938 წელს დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ზოლო 4 წლის შემდეგ, სამამულო ომის ქარცეცხლიან დღეებში, 36 წლის მკვლევარი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახდა.

დიდი სამამულო ომის დროს სავაკუაციო ჰოსპიტლის მთავარმა ქირურგმა მ. კომახიძემ 4.000-მდე ოპერაცია გააკეთა, აქედან 890 კაცი კვლავ დაბრუნდა ფრონტზე. ხელმძღვანელი ქირურგის მიერ გადარჩენილთა შორის არიან საბჭოთა კავშირის გმირები ალექსევევი, გოცირიძე, დიადიკინი, ციციშვილი, ტარანოვსკი, გახოკიძე, ივანოვი და სხვები.

ომის დამთავრებისთანავე დემიკოსი მიიწვიეს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ანატომიის, ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრის გამგედ, შემდეგ მშობლიურ სამედიცინო ინსტიტუტს დაუბრუნდა და ახალი ენერგიით შეუდგა მუშაობას ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე ჯერ დოცენტის, შემდეგ პროფესორის, 1960 წლიდან კი კათედრის გამგის თანამდებობაზე.

მ. კომახიძე 230-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთაგან 30 მონოგრაფიაა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სახელმძღვანელოები „ჰოსპიტალური ქირურგია“ (2 ტომი), „მუცლის ღრუს ქირურგია“, „ელენთის ქირურგია“, ვრცელი მონოგრაფია აკადემიკოს გრიგოლ მუხაძეზე, „ელენთა“ და სხვა.

მ. კომახიძის შრომები ეხება თანამედროვე მედიცინის მეტად აქტუალურ და ნაკლებადცნობილ დარგს, სისხლძარღვთა მორფოლოგიისა და ქირურგიულ დაავადებათა საკვანძო საკითხებს. შრომებში ასახულია სის-

ხლძარღვთა ტრავმული დაზიანებისა და თრომბოემობილური დაავადებების მკურნალობა. მარტო ანევრიზმებზე მ. კომახიძემ წარმატებით გააკეთა 150 ოპერაცია.

მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს მ. კომახიძის მიერ შესწავლილი და დამუშავებული დამწვრობის ღია მეთოდით მკურნალობა, კანის გადანერგვისა და ნარკოზის ორიგინალური მეთოდები, კუჭის, ნაწლავების, გულის, დიაფრაგმის ქირურგიის აქტუალური საკითხები.

კლინიკაში, რომელსაც მ. კომახიძე ხელმძღვანელობს, დანერგილია მრავალი სიახლე. ეწყობა კათედრის გამსვლელი სამეცნიერო სესიები ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში. ამ საქმეს ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მ. კომახიძე რამდენიმე წელია რესპუბლიკის მთავარი ქირურგია, იგი სისტემატურად ჩამოდის აჭარაშიც. მისი კონსულტაცია, დიაგნოზი, რჩევა-დარიგება და გაკეთებული ოპერაცია ყოველთვის ეფექტურია.

მ. კომახიძე არაერთხელ მონაწილეობდა ქირურგთა და მორფოლოგთა ყრილობაზე როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მრავალი სამეცნიერო კონფერენცია, სიმპოზიუმი და სესია გაიმართა.

შესანიშნავი მეცნიერი აქტიური საზოგადო მოღვაწეა, არის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს და გულისსხლძარღვთა დაავადებების საერთაშორისო საზოგადოების საპატიო წევრი. აგრეთვე მრავალი სამედიცინო საზოგადოებისა და ცენტრალური და რესპუბლიკური სამედიცინო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრი.

უანგარო მკურნალის, ნიჭიერი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ამავი სათანადოდ არის დაფასებული. მას მინიჭებული აქვს მეცნიერების

დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, არის ი. თარხნიშვილის სახელობისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

1967 წლის 25 ნოემბერს მადლიერმა ქართველმა ხალხმა ქართული მეცნიერების დიდ ტაძარში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნა ღვაწლმოსილი დასტაქრის დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური, საექიმო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილე.

1969 წლის თებერვალში მ. კომახიძე აირჩიეს საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო მორიგი არჩევნების შემდეგ იგი ამავე აკადემიის ნამდვილი წევრია. ეს მისი ღვაწლისა და დამსახურების უდიდესი აღიარებაა.

შეუძლებელია არ აღვნიშნოთ იმ დიდ ოჯახურ და შემოქმედებითს მეგობრობაზე, რომელიც მას აკავშირებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთან ნინო ალექსანდრეს ასულ ჯავახიშვილთან, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად სწორედ აჭარიდან არის არჩეული. ეს მეგობრობა დაიწყო 50 წლის წინათ. მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ ოჯახური სფერო, არამედ მეცნიერული ასპარეზი, ერთობლივი ენერგიული კვლევა-ძიება, რომელსაც მეუღლეთა ურთიერთდახმარებით კიდევ უფრო მეტი წარმატება ხვდა წილად.

განსაკუთრებული მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ნინო ჯავახიშვილის იმ შრომებს, რომლებიც მეუღლესთან — პროფესორ მ. კომახიძესთან ერთად არის შესრულებული. მათი რიცხვი 60-ს აღემატება. ერთ-ერთი ნაშრომი ეხება გულსისხლძარღვთა ანატომიურ აგებულებას და ასაკობრივ

ცვლილებებს ექსპერიმენტულად გამოწვეული ინფარქტის პირობებში. ამ შრომით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სისხლის მიმოქცევის დარღვევის დროს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მსხვილი სისხლძარღვების დაავადებით ან ღაზიანებით, შესაძლებელია დაავადებული არტერიის შეცვლა სხვადასხვა ხელოვნური შემცვლელით ან საკუთარი ვენით.

თანამედროვე უზუსტესი ექსპერიმენტებით ნ. ჯავახიშვილმა და მ. კომახიძემ დაამუშავეს შინაგან ორგანოთა სისხლის მიმოქცევის შესწავლის საკუთარი მეთოდი, რომელიც საფუძვლად დაედო მათ მრავალრიცხოვან მოწაფეთა სადისერტაციო ნაშრომებს. მეცნიერებმა ამ საკითხს მიუძღვნეს მონოგრაფია, რომელმაც ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია. იგი მეორეჯერ გამოიცა მოსკოვში.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით მ. კომახიძე სათავეში ჩაუდგა აკადემიურ ჯგუფს, რომელიც შეისწავლის სისხლძარღვების ცვლილებებს ტერმინალური (სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი) მდგომარეობის დროს. ექსპერიმენტული ცდები ტარდება ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში პროფ. ნინო ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ამ ექსპერიმენტებს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვეობის მეტად დროული და საინტერესო დარგის — რენიმატიკის, ანუ გაციცხლების პრობლემების გადასაწყვეტად.

თავიანთ დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მკვლევარები დიდის გული-სყურითა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით უზიარებენ ახალგაზრდა მეურნალებს, დიდი მზრუნველობით ზრდიან დისერტანტებს. სახელოვანმა მეცნიერებმა 30 დოქტორი და 70 მეცნიერების კანდიდატი აღზარდეს.



ზურაბ ხაბაძის ნახატი.

ვახტანგ ღლონტი



მე რომ სიყვარულში გამოგიტყდი,
შენ რომ ცრემლიანი მომიშორე,
შეგხვდი უამრავი ომის მერე...
მე რომ სიყვარულში გამოგიტყდი,
შენ რომ ცრემლიანი მომიშორე.

მე რომ ლოცვად ვიყავ დავარდნილი,
შენ რომ გლოვისათვის არ გეცალა,
ქარებს ნაწნავები გაეშალათ,
მე რომ ლოცვად ვიყავ დავარდნილი
შენ რომ გლოვისათვის არ გეცალა.

ზეცა დედასავით დამტიროდა,
მიწა მცილდებოდა ჭუჭყიანი,
ღღგევარ შენს წინაშე სუსხიანი.
ზეცა დედასავით დამტიროდა,
მიწა მცილდებოდა ჭუჭყიანი.

მე რომ სიყვარულში გამოგიტყდი,
შენ რომ ცრემლიანი მომიშორე,
შეგხვდი უამრავი ომის მერე...
მე რომ სიყვარულში გამოგიტყდი,
შენ რომ ცრემლიანი მომიშორე.

მამავ, მე ისევ მომმართავენ შენი სახელით, —
ტოლები შენი...

არა იმიტომ, რომ პატივი მიაგონ ღირსი, —

ბიჭობას ჩემსას...

ჩემს ვაჟკაცობას არ ირწმუნებს შენი მნახველი, —

არ ითქმის ენით...

შენზე ძვირფასი თვით ცოცხლებშიც, ეს ღმერთმა იცის, —

არავინ შემრჩა...

მამავ, დრო გადის, დაგეწევი მალე ასაკით, —

ცამ თუ ინება...

ჩემს გარდა უკვე აღარავინ აღარ მოგელის, —

ნაღდს და უბიწოს...

ვინც მოგტიროდა — არ ეტყობათ სევდის ნასახი, —

ნუ გეწვინება...

მამავ, ძვირფასო, იმდენია საამბობელი, —

დუმილი მიჯობს...

შენს მომლოდინეს თუ იმედის ძაფი გამიწყდა, —

წამოვალ თვითონ...

შენა ხარ დღემდე ჩემი რწმენა და შემნახველი, —

ყველაზე მეტად...

ხშირად მოვდივარ და შენს გულზე ვაბიჯებ მიწას, —

ცივ საწოლს გითბობ...

მამავ, მე ისევ მომმართავენ შენი სახელით, —

რა უნდათ ნეტა?..



ბედნიერი ვარ,

ბედნიერი ვარ,

ბედნიერი ვარ სამარადისოდ.

რაც შეიძლება,

რაც შეიძლება,

რაც შეიძლება კაცს რომ აღირსონ.

ისევ მედაოს,

ისევ მედაოს,

ისევ მედაოს, ვინაც მედავა.

ისევ მაწამონ,
ისევ მაწამონ,
ისევ მაწამონ, მაინც მხნედა ვარ.

სულ წვეთი შევსვი,
სულ წვეთი შევსვი,
სულ წვეთი შევსვი სოფლის წყაროდან,
უკვდავებისთვის,
უკვდავებისთვის,
უკვდავებისთვის ესეც კმაროდა.



მთელი ცხოვრება ვიყავი მარტო,
მთელი ცხოვრება მარტო ვიყავი,
დღეს წამებს ვითვლი,
მე არ ვყოფილვარ არასდროს მარტო,
თუ მარტო ვიყავ, შენთან ვიყავი
ყოველთვის ფიქრით.

საამბობელი არაფერი მაქვს,
არაფერი მაქვს საამბობელი,
ძვირფასო, სხვისთვის,
საამბობელი ოჰ, იმდენი მაქვს,
ოჰ, იმდენი მაქვს საამბობელი,
დრო კი არ იცდის.

რატომ გადადე შენ დაბრუნება,
შენ დაბრუნება რატომ გადადე,
რატომ და რისთვის,
ჩემო ძვირფასო, შენ დაბრუნება
თუ ბრუნდებოდი, რატომ გადადე,
ამ ბოლო დღისთვის?

დიდი ხანია მოიპოვე შენ გამარჯვება,
გამარჯვებამდე მიღწევაა ახლა საჭირო,
ახლა იცადე, — ბედნიერი მარტვილის სევდა
ერმა და მტერმა ერთნაირად გაინაწილოს.
დიდი ხანია, აიშენე სახლი საუფლო,
ახლა ამ სახლში შენი შესვლა არის საჭირო,
ახლა იცადე, ზოგ-ზოგები როგორც იტყვიან —
„საქმემან შენმან ნაჯაფარი გამოგაჩინოს“.
დიდი ხანია გაგიჭრია შენი შარავზა,
ახლა ამ გზაზე მრევლის წასხმა არის საჭირო.
ახლა ეცადე, უკვდავებამ შენს მართალ სახელს
გადავიწყების საბურღელი შემოაცილოს.

ჯერ ისევ...

ლამე, რომელიც მკვდართათვის არ გათენდება არასდროს,
ღღე, ცოცხლებისთვის რომელიც უნდა დაღამდეს ერთხელაც,
ჯერ ისევ ცვლიან ერთმანეთს,
მამხნევებენ და მთენთავენ.

ლამე, რომელიც მკვდართათვის არ გათენდება არასდროს,
ღღე, ცოცხლებისთვის რომელიც უნდა დაღამდეს ერთხელაც;
ჭირი, რომელიც არავის მიუჩნევია საჭიროდ,
ლხინი, რომელიც ყველასთვის საამო მობინადრეა,
ჯერ ისევ ცვლიან ერთმანეთს,
მამხნევებენ და მთენთავენ.

ჭირი, რომელიც არავის მიუჩნევია საჭიროდ,
ლხინი, რომელიც ყველასთვის საამო მობინადრეა,
მტერი, რომელიც მეტწილად მოყვრობით იწყებს მტერობას,
მოყვარე, ვინაც მტერობას ისევ მოყვრობა არჩია,
ჯერ ისევ ცვლიან ერთმანეთს,
მამხნევებენ და მთენთავენ.

მტერი, რომელიც მეტწილად მოყვრობით იწყებს მტერობას,
მოყვარე, ვინაც მტერობას ისევ მოყვრობა არჩია,

ღამე, რომელიც მკვდართათვის არ გათენდება არასდროს,
ღღე, ცოცხლებისთვის რომელიც უნდა დაღამდეს ერთხელაც...
ჯერ ისევ ცვლიან ერთმანეთს,
მამხნევებენ და მთენთავენ,
ღამე, რომელიც მკვდართათვის არ გათენდება არასდროს,
ღღე, ცოცხლებისთვის რომელიც უნდა დაღამდეს ერთხელაც...

ბადრი თევზაძე

შორეული მოგონება

მახსოვს, ვიწამე მაშინ მითები,
მახსოვს, ოლიმპოს მთაზე ავიშვი...
და ღამეს აჩნდა შენი თითები,
ვით შავ როიალს თეთრი კლაფიში.
მახსოვს, ქრებოდა ჩემში სიავე,
ჭირად არ მიჩნდა ყველა მარცხი და,
მეფერებოდა ჩუმად ნიავე
და დედასავით თმებს მივარცხნიდა.
და კიაფობდა ბავშვური ღიმი,
სიზმრის მჯეროდა და მოგელოდი,
შენი თითებით უკრავდა ღამე,
უკრავდა ღამე... და მე ვმღეროდი.

ეტიუდი

ფოსტიდან დაბრუნდა. შეაღო ჭიშკარი
და თავის თმებისფერ, ქათქათა კიბეზე
ტალახიანი ნაკვალევი ინატრა უცებ...
საოცარია:
ამ ქალს ძალიან უყვარდა სისუფთავე.

დროის ტორტმანებს რაში,
როცა მოველი იმედს,
ზანაც საოცრად თარსი
წლებად მიითვლის წამებს.
თქვენ — სალონების ვალსი
და მარმარილოს კიბე;
მე — ტრიბუნების ტაში
და წვიმიანი ღამე.
მხოლოდ ირხევა ფარდა,
მხოლოდ ტოკავენ მხრები
და გაგიჟების გარდა
ალბათ ყველაფრის ნიჭი...
ვიდაც ღიმილთ განდობთ,
რომ მე ცნობილი ეხდები
და ფიქრიანად ამბობთ
„ის შფოთიანი ბიჭი“.

თქვენ, ქალბატონო, ვიცი,
მაშინ გიყვარდათ ჩემი
შავი თვალების სევდა,
ყველა ოცნების კარი.
წყალში მიცურავს ფიცი
როგორც ქაღალდის გემი,
ჩაიძირება ისე,
ვერას შეიტყობს ქმარი.
მივალ წვიმაში, ვიცი,
ჩემი ლამაზი ცრემლი
მხოლოდ სიკვდილის შემდეგ
გადაიქცევა ღიმად.
ახშიანდება მეხი,
როგორც ბაბუას გრდემლი
და თქვენს სალონშიც მოვა
ჩემი ლამაზი წვიმა.

ჩ ა ნ ა ხ ა ტ ე ბ ი

ათოვს უცნობი პოეტის საფლავს,
ოცი ზამთარი ათოვს და ათოვს,
ის ვერ ეღირსა ამბორს და დაფნას,
ოვი ამაოდ უხმობდა მნათობს.

* * *

ოთახში თბილა, ოთახში არ თოვს.
თითქოს კედლები და ჭერიც ათბობს.
ქალი ღიღინებს და ჭურჭელს რეცხავს,
კაცი გაზეთებს კვლავ შლის და კეცავს.
გოგო კი... ტირის და გაჟვითლებულს
ცრემლებით ალბობს თხელყდაიან რეველს,
გულში რაღაცას აყვედრის დედას,
თითქოს მამასაც შესცქერის მწყრალად
და სჯერა, როცა გაზაფხულდება,
ერთ ბიჭთან ერთად საფლავზე ავა.

გოგოს იკრავენ გულში სიზმრები,
 დედას და მამას უსიზმროდ სძინავთ.
 გარეთ კი ფრენენ თოვლის ფიფქები —
 პირველ ლექსივით ნაზი და წმინდა.

* * *

ათოვს უცნობი პოეტის საფლავს...



დაიშალა ძველი
 დროის თბილი მახე,
 გუშინ ალბათ გნახავ,
 ზვალ კი... უკვე გნახე.

ჩუმაღ ვნატრობ სიტყვებს
 სხვისთვის არცთუ ახალს,
 „გუშინ... გუშინ გნახე,
 ზვალ კი... ზვალაც გნახავ“.

ვლადიმერ პასკო

შ რ ე ს კ ა

ქერა ოსტატი ხატვით ჭართული,
 ძილს წაუღია. წევს მოკუნტული,
 ხოლო ურჩხული, ჭერს მოხატული,
 — გაღისვირნოთ, — ამბობს ჩურჩულთ.

ზარაჩოებით ბათქაშს მივწვდები
 და დავიურვებ ცხენს მოფერებით.
 კარგია, სახელს რომ ივიწყებენ
 და ხელს არ ძაბავ შუბის ძგერებით.

მკერდზე ჯავშანი ელვარებს რარივ!
მრისხანე თვალი დამფრთხალ ბრბოს უმზერს.
შარავანდელი, სევდით მიმკრთალი,
რბილად ეცემა ზურგსუკან გრუნტზე.

გამარჯვებული დღეს ზომ შენა ხარ!
ეს გამარჯვება ხვალაც შენ გიცდის.
მიხვალ ნაპირთან,
მიატოვებ ნაპირს ხელახლა,
წინ ერთი წამით რომ იელვებს
იმ ნათელისთვის.

მიდიხარ ბედს და შუბს მინდობილი,
ბავშვის ძილივით რუდუნებ წყნარად.
გაჰკივის ცეცხლი
ფანჯრის მინებს შემონთებული.
დღე კვამლიანი შენს სახეს ფარავს.

დაბლა კი უნდათ, რომ ხელი სტაცონ —
გასინჯონ პლაშჩი უცხოდ ნაკერი.
ტაშს უკრავენ და უხმობენ მაცნეს:
ურჩხული, ჯაჭვი და უნაგირი...

ხარ ბედნიერი და ნაღვლობ მაინც,
სიმაღლის შიშით აღარ მწარდები.
უძლეველსა და უშიშარ რაინდს
გეზრდება ფრთები.

თვალზე ხელისგულის რისთვის იფარებ —
არ დასდინდება თვალებს ცრემლები,
შენი გმირობა მათ მიიბარეს
შენ მათ სიჩუმეს შემოევლები.

და დაჰკრა ჟამმა... მრევლი სად არის!
ტაძარში მწუხრი დადის ლანდივით,
წევს ხარაზოზე ქერა მხატვარი —
ჩაძინებული და პირახდილი.

აწ მის სახეზე რას წაიკითხავ,
ვით ამოიცნობ მის გულისნადებს?
მის გულში, როგორც ტაძარში დიდხანს
უტრიალია ოცნებას რამდენს.

ობრწყინე, რეკე! ტიალო ბედო,
ავი ხანძარი ნაპირზე ანთე.
კაცს შენი ზრახვა წინ მუღამ ედო:
მოჰკალ, შენც მოკვდი, გიყვარდეს, აღსდექ.

ქვემოთ ყვირიან: მოჰკალ, იჩქარე,
განგმირე, გესმის, რას უცდი, კმარა!
მოედანზე კი წვიმა მშიშარა
ვაიწყრილებს ზანტად და წყნარად.

გაივლის წყება საუკუნეთა
სხვაგვარი წვიმით, თქეშით, ელვითა,
მაგრამ რაინდნი
გულუბრევილო ურჩხულთან ერთად
გადმოგვხედავენ მუღამ ჭერიდან.



გაცილება

მხატვარი ზურაბ წულაძე

მიხეილ მუვილოვაძე

აჭარის რევოლუციურ მოძრაობაში წერდა

2 აზეთი „კომუნისტი“ 1920 წლის 3 ივნისიდან გამოდის. დღევანდელი სიმაღლიდან „კომუნისტის“ დამსახურება განსაკუთრებული სიცხადით წარმოგიდგება. მეწვევიეების უღლეური დიქტატურის პერიოდში დაარსებული, მრავალტანჯული გაზეთი უკეთესი მერმისისათვის მეზრძოლ მუშათა და გლეხთა მისწრაფებებს გამოხატავდა, მათი სულის სარკე იყო. იგი უბრალო, გასაგები ენით ესაუბრებოდა მშრომელებს მარქსიზმ-ლენინიზმის დაიდ იდეებზე, რაზმავდა მათ კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრეზე გადამწყვეტი იერიშის მისატანად. 1920 წელს გაზეთი ქართულ ენაზე გამოდიოდა „საქართველოს კომუნისტისა“ და „ახალი კომუნისტის“ სახელწოდებით. რუსულად იბეჭდებოდა „კომუნისტ“ და „კომუნისტ გრუზიი“.

სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის საქართველოს მშრომელთა ბრძოლამ 1920 წელს კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ამ მოძრაობაში დიდი წვლილი შეიტანა ბათუმის პროლეტარიატმა.

რევოლუციური ორგანოს — „გოლოს ტრუდას“ გამოცემა 1920 წლის 8 მაისს აჭარაში ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ. მალე ამის შემდეგ აჭარაში მეწვევიეების ბატონობა დამყარდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ საკუთარი გაზეთის გამოცემა ვეღარ შეძლო. ასეთ პირობებში საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს აცნობა: „ამჟამად ჩვენ არა გვაქვს შეძლება გამოცემა ჩვენი ორგანო (მომუშავეების უყოლობის გამო) და ამიტომ გთხოვთ გაზეთ „კომუნისტში“ დაგვითმოთ მუდმივი განყოფილება — ბათუმის ცხოვრებიდან. გამოვგზავნით სისტემატურად ცნობებს პოლიტიკური და პროფესიონალური ცხოვრების შესახებ და აგრეთვე აქ დამყარებულ „დემოკრატიულ“ წესიერებაზე“.

„კომუნისტის“ რედაქციამ ეს თხოვნა ყურად იღო. ამის შემდეგ გახშირდა გაზეთში აჭარის მშრომელთა, ბათუმის პროლეტარიატის გმირული ბრძოლის ამსახველი სტატიების, წერილების, კორესპონდენციებისა და ინფორმაციების ბეჭდვა. აჭარის კომუნისტებისათვის იმ უგაზეთობის ხანაში „კომუნისტმა“ ნამდვილი მეზრძოლი ორგანოს როლი შეასრულა. იგი დარაჯად დაუდგა ბათუმის პროლეტარიატს და მთელი აჭარის მშრომელ მოსახლეობას, დაუღალავად იცავდა მათს ინტერესებს, უნარიანად რაზმავდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად.

3 ბათუმის მუშებმა აჭარის მშრომელი გლეხობის წარმომადგენლებთან ერთად განსაკუთრებული გრანდიოზულობით აღნიშნეს 1920 წლის პირველი მაისი. მშრომელთა დემონსტრაცია და მიტინგები პროლეტარული დემოკრატიზმის, ინტერნაციონალიზმისა და ძმობის მძლავრი მანიფესტაცია გახდა. ქალაქის მოთავარ — აზიზის (ახლა ვ. ი. ლენინის სახელობის) მოედანზე გამართულმა ხალხმრავალმა მიტინგმა საქართველოსა და

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და საბჭოთა რუსეთთან შეერთება მოითხოვდა.

„კომუნისტმა“ პირველსავე ნომერში მაღალი შეფასება მისცა ბათუმის მშრომელთა საპირველმისო გამოსვლას. გაზეთში დაიბეჭდა ვრცელი კორესპონდენცია „წერილი ბათუმიდან“, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამი იყო:

„პირველმა მისიმა ყველას დაანახა, რომ ბათუმის პროლეტარიატი, მდიდარი რევოლუციური ტრადიციებით, მტკიცედ დგას რევოლუციური მარქსიზმის ნიადაგზე და საცხებით იზიარებს კომუნისტური ინტერნაციონალის ლოზუნგებს. ამ გარემოებამ ძალზე შეაშფოთა მუშათა კლასის ყველა აშკარა თუ ფარული მტერი, მათ შორის ინგლისელი გენერლები, სპეკულანტები, ხალხის აშკარა მძარცველები. ამით გვერდში ამოუდგნენ მენშევიკები „ცნობილი“ აიოლოს მეთაურობით. სპეკულანტებს თავხარი დასცა პირველ მისის ბათუმის პროლეტარიატის მიერ მიღებულმა რევოლუციამ საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ. მათ გადაწყვიტეს ბათუმიდან განიხვნა და თან აუარება სასურსათო საგნების გატანა. მაგრამ მუშათა პროფესიული კავშირების საბჭომ ბრძანება გასცა იმის შესახებ, რომ ყველა ის საგანი, რაც ბათუმშია, ბათუმის პროლეტარიატს ეკუთვნის, და ამიტომ ერთი გირვანქა საქონელი იქიდან არ უნდა იქნას გატანილიო, და მუშებს ურჩევდნენ გემები არ დაეტვირთათ, არამედ დატვირთული გემები დაეცალათ. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ააღელვა ბათუმის ადმინისტრაცია და შეეცადნენ შესაფერისი ზომების მიღებას. ინგლისის მთავრობამ ჯერ გამოიწვია სტამბულიდან სამხედრო ძალები, და შემდეგ ვერაგულად დაესხა თავს პროფესიული კავშირების საბჭოს, დაატყვევა ყველა წევრი, აიკლო თვით საბჭო, ეს მოხდა 8-9 მაისს. დაწყებული ამ ხნიდან ბათუმში აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა. მოწინავე მუშებს იჭერენ, ათავსებენ გემზე და მიყაფთ, ვინ იცის სად. არავინ იცის, რას უშვებიან ინგლისელები თავიანთ ტყვეებს... ინგლისელი სპეკულანტ-გენერლების მოქმედება რომ შეტად აღმაშფოთებელია, ეს აშკარა უნდა იყოს. მაგრამ რას იტყვით ადგილობრივი მენშევიკების საქციელზე, რომლებიც ინგლისელებს შევლიან და აქეზებენ ყველა იმათ საზიზღარ მოქმედებაში.“

საქმე ის იყო, რომ ანტანტის მეორე ლაშქრობის განადგურების შემდეგ ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ ბათუმი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად აქცია. აქედან „ყირიმის მუწუკს“ ვრანგელს ეგზავნებოდა თეთრგვარდიელები და სხვა ნაძირალები, ნაფთობი, იარაღი, სურსათ-სანოვავე. აჭარის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა ჩაეშალა ბათუმიდან ვრანგელის მომარაგება. ბათუმის პროფსაბჭომ მოუწოდა ნავსადგურის მუშებს უარი ეთქვათ ინგლისელთა გემების დატვირთვაზე. მაგრამ ინგლისელებმა მტკირთავეზად თეთრგვარდიელი ოფიცრები გამოიყენეს.

მაშინ გადაწყდა სხვა, უფრო რადიკალური ზომების მიღება. ეს იყო გემების „ვოზროვდენისა“ და „სეცეის“ აფეთქება, შავრახმელ გენერალ ლიახოვის მოკვლა, გრანდიოზული საპირველმისო დემონსტრაციის მოწყობა, ბათუმის ნავსადგურიდან საქონლის გატანაზე კონტროლის დაწესება. საოკუპაციო ხელისუფლება იძულებული გახდა ხრეისათვის მიემართა — ბათუმის პროფსაბჭოს ბოლშევიკური ხელმძღვანელობა ვითომ მოსალაპარაკებლად მიეწვია, დაებატიმრებინა და ჩანაც-კალეს (თურქეთი) საპყრობილეთში, მოეთავსებინა.

როგორც ცნობილია, მომხდარი ამბავი ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ რკ(ბ) ნოვოროსიისკის კომიტეტის მეშვეობით დეკემბრით აცნობა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს. რსფსრ-ს მთავრობის ჩარევის შედეგად, ოკუპანტებმა ბათუმში ბაქოს ტრაგედიის გამეორება ვეღარ გახედეს და 18-ვე დაპატიმრებული ბოლშევიკი ინგლისელ ტყვეებზე გაცვალეს.

ახელოვანი წითელი არმიის მიერ ანტანტის მესამე ლაშქრობის განადგურებისა და უცხოელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ აჭარის მშრომელთა შეუპოვარი ბრძოლის შედეგად, 1920 წლის ივლისში ინგლისელი ოკუპანტები იძულებული გახდნენ აჭარა დაეტოვებინათ. 1920 წლის 1 ივლისიდან მენშევიკური საქართველოს ჯარები ბათუმის ოლქის დასაკავებლად დაიძრნენ. 3 ივლისს დილით ისინი ქობულეთში შევიდნენ, 8 ივლისს კი ბათუმში იყვნენ.

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის“ გამგებლობაში აჭარის გადასვლით საქმე ოდნავადაც არ გამოკეთებულა. მაგრამ დენასა და რეპრესიებს, რევასა და აწი-ოკებას არ შეეძლო აღმოეფხვრა აჭარის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა რევოლუციური სულისკვეთება. პირიქით, უღლეური მთავრობის მკაცრი პოლიტიკა უკურნაქცე-ას იწვევდა — ხალხის უფართოესი მასები სულ უფრო რწმუნდებოდნენ მენშევიკურა პარტიის ანტიხალხურ ბუნებაში, ბოლშევიკების დიდ ისტორიულ სიმართლეში და სულ უფრო მჭიდროდ ირთმებოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშის ქვეშ.

აჭარაში იქმნებოდა ახალი და ახალი პარტიული და კომკავშირული უჯრედები. მტრულ იდეოლოგიურ მიმდინარეობებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში იწრ-თობოდნენ ადგილობრივი რევოლუციური ძალები.

„ახალი კომუნისტის“ რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ბათუმის კომიტეტის შემდეგი განცხადება: „ამით ვაცნობებთ ქ. ბათუმის და ბათუმის ოლქის ყველა პარტიულ ამხანაგებს, მუშებს და გლეხებს, რომ I აგვისტოდან გაიხსნა ქ. ბათუმში საქართველოს კომუნისტური პარტიის ბათუმის ბიურო, სადაც მოხდება ამხა-ნაგების რეგისტრაცია და ახალი წევრების ჩაწერა პარტიაში.

ბიურო მოთავსებულია ერისთავის ქ. № 4, კილფის საკინძავი სახელოსნო.
გაღებულია დღის 9 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე“.

როგორც ცნობილია, 1920 წლის შემოდგომაზე მენშევიკური მთავრობის მოწვევით საქართველოს ესტუმრა გაკოტრებული II ინტერნაციონალის დელეგაცია. მისი ვიზი-ტის შესახებ ქართულ ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „გა-კოტრებული II ინტერნაციონალის წარმომადგენელთა ვოიაჟი მიზნად ისახავდა მორა-ლურად დაეჭირა მხარი ქართველი სოციალისტებისათვის და პროპაგანდა გაეწია ხა-ქართველოს მენშევიკთა „დემოკრატიული წყობილებისათვის“.

ქართველმა მენშევიკებმა ხმაური ატეხეს, „ევროპის სოციალისტური დელეგაცია გვეწვია“, ქება-დიდებას ასხამდნენ სტუმრებს, ნათლავდნენ მათ წმინდა წყლის მარ-ქსისტებად, მუშათა კლასის ბელადებად და ამით ცდილობდნენ შეცდომაში შეიყვანათ ქართული საზოგადოებრივი აზრი.

ეს იყო აშკარა ცდა, ზურგში მახვილი ჩაეცათ მეზობელი მესამე, კომუნისტური ინტერნაციონალისათვის. მაგრამ ქართველმა ბოლშევიკებმა II ინტერნაციონალის „დე-ლეგაციის“ მიმართ საეგზეთ სწორი კლასობრივი პოზიცია დაიკავეს. მათ საფუძვლია-ნად ამხილეს მენშევიკების სიყალბე და გამოააშკარავეს „სტუმრების“ ნამდვილი პო-ლიტიკური ფიზიონომია.

„ევროპის სოციალისტური დელეგაცია“ 1920 წლის 14 სექტემბერს გემით „ფრანც ფერდინანდი“ ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა. ამ მოვლენას საქართველოს კომუნის-ტები მომზადებული შეხვდნენ. იმ დროს, როცა მენშევიკები თავიანთ სტუმრებს ბათუ-მის საბჭოს შენობაში აღფრთოვანებულ შეხვდნენ უწყობდნენ, მშრომელები კიბუ-ლობდნენ მგზნებარე პროკლამაციის „ამხანაგო მუშებო!“, რომელიც საქართველოს კო-მპარტიის ბათუმის კომიტეტმა დასტამბა და მასობრივად გავრცელა.

ეს პროკლამაცია ნილაბს ხდიდა მეორე ინტერნაციონალის ლიდერების გამცემლურ საქმიანობას, მოღალატურ ბუნებასა და სახეს. მისი საშუალებით მუშებმა გაიგეს, და მიხვდნენ, თუ ვინ ეწვიათ, ვისთან პქონდათ საქმე.

„ჩვენთან მოდიან, — ნათქვამი იყო პროკლამაციაში, — მამამთავრები ეგრეთ წოდებული მეორე ინტერნაციონალისა, უფრო სწორად, — საცოდავი ნარჩენები ემპერიკური ინტერნაციონალისა, რომელიც მსოფლიო ომის დასაწყისშივე გაიშალა; ის მამამთავრები, რომელთაც, დაივიწყეს რა თავისი პროლეტარული ვალდებულება, ოთხი წლის განმავლობაში პირდაპირი თუ არაპირდაპირი დახმარებით მხარს უჭერდნენ თავისი ავტორიტეტით ყველაზე უფრო საშინელს და მხეტურ ადამიანთა სასაკლავოს, რომელიც გამოწვეული იყო ეგრეთ წოდებული „კულტურულ“ ქვეყნების ყაჩაღი მთავრობების მიერ. ჩვენთან მოდიან ის ვაჟბატონები, რომლებმაც იმის მაგივრად, რომ მტკიცედ დაეცათ მე-2 ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესის (1912 წ.) გადაწყვეტილება, მოეწოდებინათ მუშათა კლასი თავისი მთავრობების წინააღმდეგ საბრძოლველად, მოუწოდებდნენ ამავე მთავრობების დასახმარებლად ერთი მეორეზე ყაჩაღური დაცემისათვის.

ჩვენთან მოდიან ადამიანები, რომელთა სინდისს ამძიმებს მრავალი მილიონი ადამიანის დასახიჩრების, ომში დაზოცვის და ავადმყოფობით დაღუპვის ცოდვა და აგრეთვე „შიშშილ-წყურვილის გამოწვევისა და უბედურებისა მთელი ქვეყნის პროლეტარებსა და გლეხებს შორის“. („ახალი კომუნისტი“. № 46. 1920 წ. 18 სექტემბერი).

მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელთა საქართველოში ყოფნის დროს მენ-შევიკურ და ბოლშევიკურ იდეოლოგიებს შორის უკომპრომისო ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. იგი ქართველი ბოლშევიკების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.


ბათუმი ინგლისელი ოკუპანტებისაგან ახალგანთავისუფლებული იყო, როცა აქაური კომუნისტური ორგანიზაციის წევრებმა აღნიშნეს ჩვენში მარქსიზმის ერთ-ერთი პირველი და დიდი პროპაგანდისტის, ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ფუძემდებლის ალექსანდრე (საშა) წულუკიძის გარდაცვალების მე-15 წლისთავი. როგორც იულო ცინცაძის ინფორმაციიდან ჩანს, ამ მოვლენისადმი მიძღვნილ კრებაზე „დაფასებულ იქნა აშხ. საშას დაუფიწყარი ღვაწლი საქართველოს მუშებისადმი. აღნიშნულ იქნა, რომ მან რევოლუციური მოქმედების ყველა დარგში გამოიჩინა საარაკო ნიჭი, ენერგია და საქმის სიყვარული, რომ წითელი დროშა სიკვდილამდე მას ხელში ეჭირა და ძირს იგი არ დაუშვია“.

კომუნიზმისათვის მებრძოლი ქართველი ახალგაზრდობის ცხოვრების სარკე გახდა „საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ფურცელი“, რომელიც „ახალი კომუნისტის“ მეოთხე გვერდზე პერიოდულად იბეჭდებოდა. მან დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად კომკავშირელთა დარაზმვას. „ფურცელმა“ საქართველოს კომკავშირის გაზეთის მაგივრობა გაუწია, რადგან მაშინ მას თავისი ორგანო არ ჰქონდა.

ქართველი კომკავშირელების ცენტრალური ორგანო დიდ ადგილს უთმობდა კომკავშირის აჭარის ორგანიზაციის მუშაობას. „საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ფურცლის“ ერთ-ერთ ნომერში მისი საქმიანობა ასეა დახასიათებული: „დიდი ზანი არ არის მას შემდეგ, რაც ბათუმში ლეგალურად დაიწყო მუშაობა კომუნისტურმა პარტიამ და აგრეთვე ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა, მაგრამ შედეგი ლეგალური მუშაობისა დიდია... ამ ათი დღის წინათ მოხდა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო წევრი ცენტრალური კომიტეტისა აშხ. ა-ძე.

კონფერენცია კარგად ჩატარდა. აირჩიეს ახალი კომიტეტი, რომელიც ენერგიულად შეუდგა საქმეს. ბათუმის კომიტეტთან არსებობს პროპაგანდისტების კოლეგია, რომელიც უკანდებში მუშაობას აწარმოებს. კავშირში ითვლება 100-მდე წევრი.

ამ დღეებში აქ ჩამოვიდა მეორე წევრი დროებითი ცენტრალური კომიტეტისა აშხ. ძნელაძე რევიზიისათვის. ამხანაგი კომიტეტის მუშაობით კმაყოფილი დარჩა“. („ახალი კომუნისტი“, № 21, 1920 წლის 19 აგვისტო).



როგორც 1921 წლიდან სკკპ წევრი, კომკავშირის ბათუმის საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი ვ. ჩეკრიშვილი იგონებს, საქართველოს კომკავშირის ფუძემდებელ ბორის ძნელაძეს ბათუმელი კომკავშირელებისათვის მიუთითებია მათს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. მას განსაკუთრებით გაუმახვილებია ყურადღება უჩრედების გათიშულობაზე, წრეობრიობაზე, ორგანიზაციაში მუშა და გლეხი ახალგაზრდობის აწიზიდვის არასაკმარისობაზე. ცხადია, ამ მითითებებს კომკავშირის ბათუმის ორგანიზაციის შემდგომი საქმიანობის სწორად წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

„საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ფურცლის“ მეათე ნომერში ფსევდონიმით „არტორიკე“ დაიბეჭდა ვალერიან იმედაძის ვრცელი სტატია „კომუნისტური კავშირის მდგომარეობა ბათუმში“. მასში ლაპარაკია ბათუმის კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობაზე მას შემდეგ, რაც იგი ბორის ძნელაძემ შეამოწმა. სტატიაში ამ ორგანიზაციას მაღალი შეფასება აქვს მიცემული, როგორც „დიდი იმედის მომცემ, ბევრის შემძლე პროლეტარულ ორგანიზაციას“. სწორედ კომკავშირში პროლეტარული ბიროთვის გაძლიერებაზე ამყარება სტატიის ავტორი იმედებს და საესვებით სამართლიანადაც. „პროლეტარული ტალღა გარდაქმნის, გადახარშავს ანარქისტულად განწყობილ ელემენტებს, — წერდა იგი, — და თუკი ისინი გაუსწორებელნი, გაუშალაშინებელნი აღმოჩნდებიან, მაშინ მათ წინააღმდეგ უნდა დაეიწყოს შეუპოვარი ბრძოლა, უმოწყალოდ უნდა ჩაეჭოლოს და ბოლოს კიდევ განდევნონ. ორგანიზაციიდან. ამ ბრძოლის, ფილტრაციის, გაწმენდის საქმეში ჩვენ უნდა დავემყაროთ წევრთა პროლეტარულ კადრებს, შეგნებულ მუშებს, რადგან უტყუარი კლასობრივი ინსტინქტი ყოველთვის უკარნახებს მათ, რა პირების განდევნა საჭირო, რომ ორგანიზაციამ მიიღოს ჭეშმარიტი კომუნისტური ელფერი, შინაარსი და მიმართულება“.

იმავე სტატიაში მოტანილია საგულისხმო ციფრი: 1920 წლის შემოდგომაზე აპარაში 7 კომკავშირული უჯრედი არსებობდა. მათი უმეტესობა უმთავრესად ქართველ ახალგაზრდობას აერთიანებდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბალახნის კომკავშირული უჯრედი, რომელიც თავისი მუყაითობით, შეგნებულობითა და დისციპლინით სამაგალითო იყო.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად მენშევიკური მთავრობის რეპრესიებისა, ბათუმში შეიქმნა ახალი ბოლშევიკური და კომკავშირული უჯრედები. ლენინური კომკავშირი მხარში ამოუდგა ქალაქის პარტიულ ორგანიზაციას და აქტიურად მონაწილეობდა მის საქმიანობაში, მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში. მათ ფართო მუშაობა გასწიეს ანტიხალხური პარტიების გავლენისაგან მასების ჩამოსაშორებლად და სოციალისტური რევოლუციის განსახორციელებლად.



სიმონ არგელაძე

„იყო და მარად იქნება“

„იყო და მარად იქნება“... პოეტ მა-
მია ვარშანიძის ამავე სახელწოდების
ლექსის ეს სტრიქონი მიგნებულად
მიგვანიშნებს საქართველოს უღამა-
ზესი კუთხის — აჭარის ავბედიით
ისტორიისა და დღევანდელი ყოფის
თავისებურებაზე... უხსოვარი დროი-
დან დღემდე დიდი და ძნელი გზაა.
ძნელბედობის ჟამს, საუკუნეთა ქარ-
ცეცხლში ქართველმა ხალხმა გამოა-
ტარა თავისი არსებობა და ასე მოაღ-
წია ჩვენს გმირულ დღეებამდე.

კლასიკოს და თანამედროვე ქართ-
ველ მწერალთა ჟანრობრივად მრავა-
ლფეროვან შემოქმედებაში აღბეჭდი-
ლია აჭარის გადარჩენის, დამოუკიდე-
ბლობისა და დაკარგული თავისუფლე-
ბის, დედამამშობლოსთან დაბრუნე-
ბისათვის თავგამოდებული ბრძოლა.

კრებული „იყო და მარად იქნება“,
რომელიც დიდი მონდომებითა და გე-
მოვნებით შეუდგენია ცნობილ ქართ-
ველ პოეტ მამია ვარშანიძეს, მთელი
სისავსით წარმოაჩენს აჭარის ისტო-
რიულ და თანადროულ სინამდვილეს,
ღირსეულ მამულიშვილთა უანგარო
სიყვარულსა და ბრძოლას აჭარის
გადარჩენისა და განახლებისათვის.

„ჩანგზური საქართველო“...

ასეა სახელდებული პირველი თემა-
ტიკური რაკლი, რომელშიც წარმოდ-
გენილია კლასიკოსთა და თანამედრო-
ვეთა ლირიკული ჟანრის ქმნილებანი.
კრებული იხსნება გრიგოლ ორბე-
ლიანის „ჰე, მამულო“... (ნაწყვეტი
პოემიდან „სადღევრძელო“). ესაა გა-
რდასულ დღეთა ღაღადისი, გმირუ-
ლი შემართებისა და დიდების ჰიმნი.
აქ ძლიერი პათოსითა და სიამაყით
გაისმოდა მარად გაუზუნარი სიმღერა:
„სხვა საქართველო სად არის, რომე-
ლი კუთხე ქვეყნისა?, ერი პურადი,
გულადი, მებრძოლი შავის ზედისა. შა-
ვთა ღრთო ვერა შესცვალეს მის გუ-
ლი ანდამატისა, იგივე მსნე, იგივე მღე-
რალი, მოყვარე თავის მიწისა!“.

აკაკის ლირიკაში მაღალ პატრიო-
ტულ აკორდად ჟღერს დიდი შთაგო-
ნებითა და ექსპრესიით გამოსატული
ჭეშმარიტება:

ჩანგზური საქართველო,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები,
ოდელა-დელა-დელაო!
ჩვენც სომ სიმების სისუსტემ
სინათლე დაგვიბნელოა!..

ილიას და აკაკის მუდამ ახსოვდათ
„ოსმალეთის საქართველო“, კერძოდ,

აჭარა, მისი სამსაუკუნოვანი სვე-ბე-
დი, და ორივე იღვწოდა იმისათვის,
რომ აჭარა დაბრუნებოდა დედა-საქა-
რთველოს და ამით ჩანგურის ერთი
სიმიც „თავის ჰანგებზე, თავის ხმით“
აწერილდებოდა სხვებთან ერთად. ას-
ეც მოხდა. დიდ ქართველ მამულიშვი-
ლთა საუკუნოვანი ნატვრა აღსრულ-
და: „შეერთების მზე ამოვიდა“. ასი
წლის წინათ განთავისუფლდა აჭარა,
და ეს შესაძლო გახდა დიდი რუსი ხა-
ლხის დახმარებით.

ამიერიდან დაიწყო აჭარის აღზა-
ვება, აღმასვლა.

დღეს, ამ ბედნიერ და მზიურ მხა-
რეში, ხალხი ისევ გულისძახილით
უხმობს გარდასული დიდების სიმბო-
ლოს — ოშკსა და ხახულს, ბანასა და
შატბერდს...

გიორგი ლეონიძის სიტყვები გავი-
ხსენოთ.

**„მაგრამ გუგუნებს ქართული მიწა,
და თუ გამხდარან დასანაცრები, —
ისევ სუნთქავენ ქართულ ოცნებით
მესხეთის მთებზე დიდი ტაძრები“.**

ასი წლის წინანდელი დროის ძა-
ხილი მშობლიურ ჰანგად აღწევს
ჩვენამდე. „მითხარ, როგორაა მეძლე-
ქეთი, აქ ჩვენ არ გვეგნოთ ჩამქრალე-
ბი, იზმირს, ეგეოსის ნაპირებზე ვა-
გეთ საქართველოს სახლ-კარები“.
(ფრიდონ ხალვაში). დიახ, ქართვე-
ლი ყველგან რჩება ქართველად, ენით
და სულით განუყრელად საქართველო-
სთან. გრიგოლ აბაშიძის მოხდენილი
თქმით,

**ფეხვი დაგრჩა შენს მიწაში,
რაგინდ ცეცხლით გადაგრუჯონ,
ჩემს ხსოვნაში თქვენ ვინ წავშლით,
შატბერდო და არტანუჯო,
ტაო, ტაო, კარგო დაო,
აკლებულო, საცოდაო!**

სამშობლოს წმინდა გრძნობა აერ-
თიანებს აჭარისადმი მიძღვნილ ყველა
ლექსს, ვინც არ უნდა იყოს მისი ავ-
ტორი, წინამორბედი თუ თანამედრო-

ვე ქართველი პოეტი. ათას ჭირ-ვარა-
შში გამოვლილი აჭარა მთლიანი სა-
ქართველოს სიმბოლოა. ამის დადას-
ტურებაა დიდი გალაკტიონისა და
სიმონ ჩიქოვანის ლექსები, რომლებ-
შიც კონდენსირებულია აჭარის რევო-
ლუციამდელი თაობის მთელი ცხოვ-
რება, ამავე დროს ლექსების ორივე
ციკლი ქვეყნის განახლებისა და გარ-
დაქმნის მართალი მატრიანეა...

ქართულმა პოეზიამ უკვდავი ჰან-
გებით განადიდა აჭარის ცხოვრების
ეს განახლება და აღორძინება.

გალაკტიონის „ოქრო აჭარის ლაჟ-
ვარდში“ მაღლიანი მიწის სწორუპო-
ვარი ჰიმი, ქებათაქებაა.

**ბათუმი, მისი ზეცა და გემი,
იმისი მიწის ხმა საჯადოქრო.**

ხალ დაიბადა სიმღერა ჩემი

**„ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ —
ოქრო.**

დიდი გალაკტიონის კვალდაკვალ
ბევრმა ქართველმა პოეტმა, მათ შო-
რის მწერალთა იმ პლეადამ, რომე-
ლიც დღეს აჭარაში ცხოვრობს და
მოღვაწეობს, არაერთი შედევრი შექ-
მნა აჭარისა და მის მშრომელთა სა-
დიდებლად.

ერთობ მდიდარი და მრავალფერო-
ვანია აჭარის მოტივებით ქართული
მწერლობა, მაგრამ უპირატესი როლი,
რა თქმა უნდა, აჭარის მწერლებს
ეკუთვნის. ისინი დიდი გატაცებით
ჰქმნიან ჩვენი თანამედროვეობის შე-
საფერ მხატვრულ ნაწარმოებებს, უკვ-
დავყოფენ პარტიისა და ხალხის შე-
სანიშნავ წარმატებებს. ბევრი რამ
საუკეთესო და ღირებული თარგმნი-
ლია საბჭოთა კავშირისა და საზღვა-
რგარეთის ხალხთა ენებზე.

როგორც ითქვა, აჭარის მკვიდრ
შემოქმედთა პოეტურ ქმნილებებში
მკაფიოდ გამოკრთის ძველი აჭარის
სევდა-ტკივილი, ახლის სილამაზე და
იმედი.

ნესტორ მაღაზონიას, მამია ვარშა-
ნიძის, ფრიდონ ხალვაშის, ნანა გვა-
რიშვილის, ჯემალ ქათამაძის, გიორ-

„გამოეშვა მთვარე გველსა...“

გი სალუქვაძის, ზურაბ გორგილაძის, ჯემალ ჯაფელიძის, ლადო სეიდიშვილის, შოთა როყვას, ქსენია მჟავიას, შოთა ზოიძის, ემენ დავითაძის, რევაზ ართილაყვას, იაკობ მელიას, ციხანა ანთაძის ლექსებსა და ბალადებს მი ძალუმად იგრძნობა მშობლიური მხარის სამასწლოვანი ტკივილი, შემდეგ დედასაქართველოსთან დაბრუნება და ფენიქსებზე განახლება.

ძველი აჭარის მწარე სვე-ბედი განსოგადებულად გამოთქვა პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა ლექსში „მე არ ვიქნები შენი სტუმარი“.

აჭარის განათლებისა და განახლების კეთილ მეკვლედ იქცა დედა ენა — ეს უპირველესი ფენომენი და ბალავარი ქართული ეროვნული კულტურის თვითმყოფლობისა და სუვერენული არსებობისა. ამ კონტექსტში ორგანულად და მისადაგებლად გამოსატავს კრებულის საერთო ტენდენციას პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის ლექსი „ხმა კატამონთან“, აგრეთვე ლადო ასათიანის „ქართული ენა“. ქართველი პოეტები — კარლო კალაძე, ალიო მირცხულავა, კოლაუ ნადირაძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვიქტორ გაბესკირია, სევერიან ისიანი, იოსებ ნონეშვილი, ალექსანდრე საჯავაძე, მურმან ლებანიძე, ლადო სულაბერიძე, შალვა ფორჩხიძე, ანა კალანდარიძე, თამაზ ჭილაძე, ზაურ ბოლქვაძე, ტარიელ ჭანტურია კრებულში შეტანილ ლექსებსა და ბალადებში, ერთმანეთისაგან განსხვავებული მადგომითა და ინტონაციებით, ნაირგვარი წახნაგებით წარმოგვიჩენენ ძმობის ურღვევი კავშირით შეკრული მშობლიური მხარის ახლებურ ყოფასა და გმირულ შემართებას. ხალხთა ერთიან მძურს ოჯახში მის დამკვიდრებას.

ინტერესს იწვევს ხალხური მთქმელების მემკლე ჭყონიასა და ხასან თხილაშვილის პატრიოტული გზებით დაწერილი ლექსები „სამშობლოს სიყვარული“ და „მესხეთს“.

კრებული არა მხოლოდ იდეური მოტივებით, თემატიკური სიახლით, არამედ ჟანრობრივაც მრავალფეროვანია. ლირიკული ლექსებისა და ბალადების შემდეგ, მთელი მეორე განყოფილება „გამოეშვა მთვარე გველსა“ დამთბობილი აქვს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პუბლიცისტურ წერილებს, მოთხრობებსა და მემუარულ ნაწარმოებებს.

აჭარის მკვიდრ მამულიშვილთა დუცხრომელმა გარჯამ და თავდადებათ თავისი შედეგი გამოიღო. დედასაქართველოს ერისკაცთა მხარდაჭერითა და გამხსნელებით მათ ბრძოლას ამაოდ არ ჩაუვლია. „გამოეშვა მთვარე გველსა“ სიმბოლურად იმის მაუწყებელია, რომ ქვეყნის ხსნა და განთავისუფლება თავისთავად, ბრძოლის გარეშე არ მიღწეულა. დედა-საქართველოსთან აჭარის დაბრუნება მთელი ქართველი ხალხის ზეიმად იქცა.

გარდასულ დღეთა სიღუხჭირეზე, „ოსმალეთის საქართველოს“ დამწვარ სვე-ბედზე ამაღლელებლად მოგვითხრობენ ქართველი მწერლები და მოღვაწეები — ტბელ აბუსერიძე, სელიმ ხიმშიაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, აკაკი, ილია, გიორგი ყაზბეგი, რაფიელ ერისთავი, სერგეი მესხი, დავით კლდიაშვილი, შერიფ ხიმშიაშვილი, ნური ხიმშიაშვილი, ევანტე ნინოშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ნიკოლაძე, ზაქარია ჭიჭინაძე, იაკობ გოგებაშვილი, თედო სახოკია, ნიკო მარი, ვაჟა-ფშაველა, აბდულ მიქელაძე, განდევილი, აპოლონ წულაძე, სამსონ ფირცხალავა, გულო კაიკაციშვილი, იოსებ იმედაშვილი, შალვა დადიანი, მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე, გერონტი ქიქოძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ლადო გუდიაშვილი და მრავალი სხვა თანამედროვე. მათ მონათხრობში მთავარია არა მხოლოდ ის, რაც ბედმა

არგუნა მშობლიურ მიწა-წყალს, რომელიც მტერს მიტაცების, დაპყრობის მიზნით მრავალჯერ აუოხრებია, არამედ უპირატესად ის, თუ როგორ გამოეხსნათ მრავალტანჯული მხარე დამპყრობელთა უღლისაგან, ამიტომ მათი შემოქმედება გაჟღენთილია ბრძოლის პათოსით, შეტევის სულისკვეთებით, გამარჯვების რწმენით. ესაა მთავარი მოტივი პოეზიისა და პროზისაც. კრებულის ავტორებს ერთსულოვნად მიაჩნიათ, რომ აჭარა — ეს არის გარდასული დიდების სიმბოლო, ჩვენი ტაძარი, უწმინდესი და უღამაზესი ადგილის დედა.

თანამედროვე ხელოვანთა წარმოსახვით ახალი და თავისუფალი აჭარა მათი შთაგონებისა და სიხარულის დაუშრეტელი სათავეა. აჭარა, როგორც შავი ზღვის ფერთა მესაიდუმლე, თავისი ოქრო ლაჟვარდებით, მწითა და ლამაზი პეიზაჟებით არაერთი მხატვრული, ფერწერული, მუსიკალური და სხვა ჟანრის ნაწარმოებების შექმნის შთაგონების წყაროა. ამასვე მეტყველებს მხატვარ კორნელი სანაძის, მწერლების რევაზ ჯაფარიძის, იბოლიტე ვართავას,

ნოდარ დუმბაძის და ჯანსუღ ჩარკვიანის გულითადი სიყვარულითა და მგზნებარებით დაწერილი სტატიები აჭარის ყოფის აქტუალურ საკითხებზე. თავად კრებულის შემდგენელის, პოეტ მამია ვარშანიძის კალამს ეკუთვნის რამდენიმე სტატია, თანამემამულე ხელოვანთა იერსახეებს რომ ჰქმნიან და აცოცხლებენ ჩვენს წინაშე...

დიდი მღელვარებითა და უშუალობით არის აღბეჭდილი აჭარის მკვიდრ მოღვაწეთა ხარიტონ ახვლედიანის, მუხამედ ვანლიშის და იბრაიმ გორაძის ნაწარმოებები.

ისეთი თემატიკური კრებული, როგორიც არის „იყო და მარად იქნება“, უთუოდ ცხოველ ინტერესს იწვევს ქართველ მკითხველთა შორის, ახალი იდეური შინაარსითა და რწმენით, პატრიოტული სულისკვეთებით აღანთებს და გაამდიდრებს მის ცნობიერებას. ამასთან მადლიერების გრძნობით ვანწყობს, როგორც შემდგენელის, ასევე გამომცემლობის მმართველს. ეს წიგნი თანამედროვეთა დიდი მადლობაც არის სახელოვანი წინაპრებისადმი.



თვალსაზრისი ქართული პუბლიცისტიკის შესახებ

(1979 წლის „ცისკრისა“ და „ლიტერატურული საქართველოს“

მიხედვით)

I

თვალსაზრისი ქართული პუბლიცისტიკის შესახებ, ცხადია, ერთი წლის პუბლიცისტური მასალის მიმოხილვით არ განისაზღვრება. მითუმეტეს არ განისაზღვრება ეს თვალსაზრისი 1979 წლის მხოლოდ „ცისკრისა“ და „ლიტერატურული საქართველოს“ პუბლიცისტური მასალით.

და მაინც, ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ეს ორი საფლავმანო უწყება გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმ სურათისა და ატმოსფეროს შესახებ, რომელიც ქართულ პუბლიცისტიკაში სუფევს.

სიტუაცია კი, რომელიც ამ სურათის შესახებ აზრის გაზიარების გამო იქმნება, ძალიან მიაგავს რიაზანოვის გახმაურებული ფილმის „გარაჟის“ ერთ ეპიზოდს: ზოოლოგიური პანოპტიკუმის ფანტასტიკურ ფონზე, გარაჟების განაწილების გამო გამხეცებული ადამიანებისაგან ქალ-ვაჟი განცალკევებულან — მილოსერდოვის არქეოლოგი ვაჟი და აკადემიკოსის ფილოლოგი ქალიშვილი.

უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ეს წყვილი მაყურებელთა სიმპათიას იმსახურებს, არის ის, რომ ადამიანების ამ სახედაქარგულ ადამიანებისაგან განსხვავებით, განგებას მათთვის ავტოირონიის გრძნობა არ დაუკლია. ისინი იმასაც კარგად ხედავენ, თუ რას დაემსგავსნენ მათ გარშემო მყოფი ადამიანები და იმასაც, თვად როგორ გამოიყურებიან სხვების თვალში... მაგრამ მთავარი აქ სხვაა... ქალ-ვაჟი ერთმანეთს დაუნდობლად აქილიკებს.

აკადემიკოსის ქალიშვილი უკვე სადისერტაციო თემაზე მუშაობს.

— კვლევის საგანი?

— თანამედროვე სატირა!?

მილოსერდოვს მწარე სიმართლის თქმის შესაძლებლობა უფრო მიეცა, ვიდრე გონებაშეხილობის გამომჟღავნებისა.

— მაშ, დისერტაცია იწერება საგანზე, რომელიც არ არსებობს?

დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში წარმომიდგა ჩემი თავი, როდესაც 1979 წლის ქართული პუბლიცისტიკისათვის მომიხდა თვალის გადავლება.

ცხადია, ეს გადაჭარბება... ქართული პუბლიცისტიკა ისევე არსებობს, როგორც

საქართველოს მწერალთა კავშირის 1980 წლის მარტის პლენუმზე წაკითხული მოხსენების სტენოგრაფიდან.

თანამედროვე სატირა, მაგრამ ყველაფერი იმ საზომზეა დამოკიდებული, როგორადც ამა თუ იმ საგანს მიუღდებოდა. თუ პუბლიცისტიური ჟანრი ეროვნული და ეპოქისეული იდეების, აზრთა ჭიდილის, ეროვნული საზოგადოების თვითგაგების, თვითშემეცნების და ცივილიზაციის ამოცანებში ღირსეული წვლილის შეტანის გამოხატულებად მიგვაჩნია, თუ პუბლიცისტიკის მიზნად ამ საზოგადოების ძალთა შემოკრება და წარმართვა წარმოგვიდგენია, მაშინ ის ზღვა მასალა, რომელიც პუბლიცისტიკის რუბრიკითაა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში მიმოხვეული, მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს პუბლიცისტიკაზე.

ეს მომენტი განსაკუთრებით ხელშესახებად გამოიკვეთება, თუ გავითვალისწინებთ იმ პრობლემატიკას, რომელიც თანამედროვეთა წინაშე სოციალურმა ფსიქოლოგიამ წამოაყენა.

მხედველობაშია არა მარტო სოციალური როლების თეორია, არამედ ისეთი მეოთხეოლოგიური პრინციპიც, როგორიცაა კონტენანალიზი...

„ისტორიის აპოლოგიაში“ მარკ ბლოკი წერდა, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ცნების გამოჩენას ადამიანთა ლექსიკაში. საქმე ისაა, რომ ცნების გამოჩენა მაშინაც კი საგანგებო მნიშვნელობისაა, როდესაც მის მიერ აღნიშნული საგანი მანამდეც არსებობდა.

საზოგადოებრივი ცნობიერების ფონზე ამა თუ იმ ცნების ამოტივტივება და გააქტიურება იმის მაუწყებელია, რომ დადგა გადამწყვეტი ჟამი ამ ცნებაში ჩადებული შინაარსის მოსაზრებლად.

დავუბრუნდეთ ქართულ პუბლიცისტიკას.

რომელი ახალი ცნება და მათში საგულისხმო შინაარსის მოზრება შეძლო ქართულმა პუბლიცისტიკამ? რით უპასუხა მან ქართველი ხალხის წინაშე დასმულ კითხვებს, თუნდაც იმის შესახებ, თუ „რანი ვიყავით, რანი ვართ და რისი მოქალდელია მომავალი?“ (ი. ჭავჭავაძე).

ასეთ კითხვაზე ისევ ილიასავე რეპლიკა უნდა გავიმეოროთ: „რა გითხრათ, რით ვაგახართ“...

ამ სიტყვებს გვამეორებინებს ქართული პუბლიცისტიკური ჟანრის მკვეთრად გამოხატული რამდენადმე უნიადგო თვისება: მოწინააღმდეგის უყოლობა და საოცრად ბრავადული ტონი. აქედან — აპლოდისმენტების გრიალში მინავლებული მისი გზნება...

ამდენად, ქართული პუბლიცისტიკის პრობლემა უკვე სერიოზული პუბლიცისტიური სიტყვისა და ანალიზის საგნადაა ქცეული.

ასეთია ფონი, რომლიდანაც ჩვენ ნამდვილი ან მიახლოებითი პუბლიცისტიკის ცალკეული ნიმუშების გამოკრეფა და მათზე ყურადღების გამახვილება მოგვიხდება.

II

ვერე ჟურნალ „ცისკრის“ 1979 წლის კომპლექტს გადავავლოთ თვალი. გასულ წელს თავისი მკითხველებისათვის „ცისკარს“ საგანგებო პუბლიცისტიური სიტყვით არ მიუმართავს.

„ცისკარში“, პრაქტიკულად, პუბლიცისტიკის ფუნქციები სხვა ლიტერატურული ჟანრების მხრებზე გადანაწილდა. „ცისკარი“ ამ შემთხვევაში, არ არის გამონაკლისი სხვა ჟურნალებისაგან.

მე გადავავლე თვალი ჩვენს პერიოდიკას სპეციალურად ამ თვალსაზრისით და უნდა აღინიშნოს, რომ ესაა საერთო მდგომარეობა და საერთო სურათი.

და მაინც არ ვიქნებით სამართლიანი, თუ ვიტყვით, რომ 1979 წლის „ცისკარს“ არაფერი უთქვამს თავისი მკითხველებისათვის ისეთი, რაც სწორედ, გარდა მეცნიერუ-

ლი შესწავლის საჭიროებისა, ფართო პუბლიკის, საერთო სახალხო ინტერესებისა და მღელვარების შემადგენელი ნაწილია.

პირადად მე, ჟურნალის პუბლიცისტური დონის არაუმნიშვნელო გამოხატულებად მიმაჩნია მკითხველისათვის „პრობლემის“ რუბრიკით მიწოდებული ორი მასალა. ესენია: ვახტანგ მდივნის „ერის სასიცოცხლო ფუნქცია და ბიოსფეროს უბიწოების პრობლემები საქართველოში“ (№ 5) და სპეციალისტთა დიალოგი თემაზე: „ბუნებისაგან, ბუნებასთან თუ ბუნებისათვის?“.

ორივე მასალა, გარკვეული აზრით, ერთმანეთთანაა კოორდინირებული. ვ. მდივნის წერილში ყურადღება მახვილდება ერის სასიცოცხლო ანუ გენერაციული ფუნქციის შესწავლის საკითხებზე საქართველოში. ასევე: შობადობის მერყეობის ან შემცირების ფაქტორებზე საქართველოს ზოგიერთ რაიონში. თავისთავად ნათელია, თუ რაოდენ სეროზული, ეროვნული, ზნეობრივი და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭება ამ საკითხების შესწავლას.

იმავც წერილიდან არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს აგროეკოლოგიის ის პრობლემები, რომელთა დაძლევა და გადაწყვეტის წინაშეც ჩვენი რესპუბლიკა იმყოფება. საქმე ეხება გამოსაყენებელი მიწის რესურსების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების პრობლემას.

ამ სფეროში არსებული ვითარების შესახებ 1975 წლის 1 აპრილს ჩვენ შევიტყვეთ საკმაოდ საგანგაშო სურათი. აღინიშნა ისიც, რომ „ჩვენ დიდი და მეტი პასუხისმგებლობით უნდა ვიყოთ განწყობილი ჩვენი ძირითადი სიმდიდრის, იმ სიმდიდრის, რაც საჭიროა საწარმოო საშუალებების ძირითადი რეზერვის, ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მიწის მიმართ, ჩვენი მშობლიური მიწისადმი. მე ბევრი ქვეყნის მაგალითს ვიცნობ და მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მეგულება იმის მაგალითი, სადაც ასე არარაციონალურად, არასამეურნეობრივად იყენებდნენ მიწას, მის შესაძლებლობას...“ ეს ნიტყვები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის. (ტაში).

სრულიად აშკარაა ამ პრობლემის არა მხოლოდ ეკონომიკური, სამეურნეო, არამედ ზნეობრივი ასპექტიც. „ცისკარი“ კარგად მოიქცა, როდესაც ამ საკითხების საქმის კურსში შეიყვანა თავისი მკითხველები. „ცისკარი“ უკეთესად მოიქცევა, თუ შემდგომში მხოლოდ ამ გამოსვლით არ მიიჩნევს თავის მისიას ამოწურულად და დროადადრო მისცემს მკითხველებს შესაძლებლობას თვალყური ადევნონ ამ მიმართულებით არსებულ ვითარებას.

ეს მომენტი მით უფრო საგულისხმოა, რომ „ცისკარისავე“ მეორემეტე ნომერში გარემოს დაცვის საკითხზე გამართული დიალოგი განსაკუთრებულად სანუგეშოს ვერაფერს ეუბნება მკითხველს.

ადამიანის საუკუნოვანი ბრძოლა ბუნებასთან და ბუნების დამორჩილების მიზანი ისევე, როგორც ყოველგვარი მოძალადეობა, ადამიანსვე შემოუტრიალდა საბედისწერო განსაცდელის სახით... ვიდრე ბუნება შურს იძიებდეს მისადმი არაადამიანური მოპყრობის გამო, კაცობრიობას უდგება საგანგაშო ჟამი მისი გაფრთხილების, მოვლის, უბიწოების შენარჩუნებისათვის.

ძალზე საყურადღებო და მისასალმებელია ასეთ სერიოზულ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებში ქართველ მწერალთა არა ფორმალური, არამედ ოფიციალური მონაწილეობის ფაქტი. ამ დარგში მოღვაწეობენ უშუალოდ ამ საკითხების პროფესიონალი სპეციალისტები და სასიამოვნოა, რომ ამ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებში ჩართული არიან მწერლები. მხედველობაში მყავს ჩვენი ვეტერანი მწერალი გიორგი ნატროშვილი,

რომლის საინტერესო პუბლიცისტური გამოსვლაც „მშობლ-მწყუროდეს კეთილი“ და-
ბეჭდილია „ლიტერატურული საქართველოს“ № 48-ში.

აი. დაახლოებით ასეთია მთელი ის პუბლიცისტური მასალა „ცისკარში“, ჩვენი
მსჯელობის საგნად რომ იქცა; თუმცა აქ არის რამდენიმე სხვა კრიტიკული მასალა, რო-
მლებზეც აღბეჭდილია პუბლიცისტურობის დადი. ამ მხრივ, საინტერესოა რეზო ჯაფარი-
ძის რეცენზია დ. ჩავეჭაძის და მისი ნაშრომის შესახებ, — „აკაკი წერეთელი, როგორც
ისტორიკოსი“. ის არის არა მხოლოდ ძალიან საინტერესო ლიტერატურული რეცენზია,
არამედ მწერლის ძალიან საინტერესო პუბლიცისტური სიტყვაც.

III

შედარებით ფართოდ და ნაყოფიერად გამოიყურება პუბლიცისტიკა 1979 წლის
„ლიტერატურულ საქართველოში“. მხედველობაში, ცხადია, არა მაქვს პუბლიცისტური
წერილების მხოლოდ რაოდენობრივობა. მხედველობაში მაქვს პროფესიული კეთილსინ-
დისიერების მომენტი.

ამიტომ მე დავარღვევ ქრონოლოგიურ თანამიმდევრობის პრინციპს და თქვენს
ყურადღებას მივაქცევ „ლიტერატურული საქართველოს“ № 27-ში გამოქვეყნებულ ერთ
სარედაქციო წერილზე — „ავტორი მოვიდა!“.

ეს არის თვით რედაქციის გულწრფელი სიტყვა, რედაქციის მიერ გულისგადაშლის
ფაქტი, უფრო მისი ავტორების მისამართით, ვიდრე მისი მკითხველებისა; ეს არის რე-
დაქციის მიერ მისი ავტორებისადმი ჩატარებული გულახდილობის გაკვეთილი (ხმები
— სწორია, სწორი).

წერილი გამოხატავს გულისტკივილს ლიტერატურის შიდაცხოვრების, ჩვენი პრო-
ფესიული ეთიკის, ჩვენი კომპრომისების, დათმობისა და შემრიგებლობის უკვე რიტუა-
ლში გადასული ინერციის გამო.

არა და, რედაქციას მართლაც უხდება ამ კომპრომისზე წასვლა. ასეთი კომპრომი-
სები ღრღნის პუბლიცისტიკის ქანრსაც.

„ლიტერატურული საქართველოს“ პუბლიცისტური პროდუქტია შეიძლება ორ სა-
ხეობად იქნეს დახაზისხებული: ე. წ. „ლონისძიებრივ“ პუბლიცისტიკად და საყოფ. პუ-
ბლიცისტიკად...

ამ შემთხვევაში პუბლიცისტიკა არაფრით გამოირჩევა სხვა ლიტერატურული ქან-
რების ანალოგიური ხვედრისაგან.

არ მინდა ვინმემ უსაფუძვლო ქილიკად მიიჩნიოს ამგვარი კლასიფიკაცია. „ლიტე-
რატურულ საქართველოს“ მართლაც შეუმუშავებია გარკვეული ღონისძიებების მთელი
სისტემა და გეგმავთმობიერად უწარმოებია რიგი აქტუალური საკითხების საქმე.

ასეთი ტიპის პუბლიცისტური წერილები გარკვეული თემატიურობის პრინციპითაა
შემოსაზღვრული.

აქ გვხვდებით პუბლიცისტური წერილების სერიას სოფლის მეურნეობის, მეცხოვე-
ლეობის, ძეგლთა დაცვის და სხვა საკითხებზე.

ცალკე მინდა აღვნიშნო ე. სახვაძის რამდენიმე პუბლიცისტური წერილი და მისი
დიპლოგი ქართული ენის შესახებ ანა კალანდაძესთან.

„ლიტერატურული საქართველო“, ისე როგორც სხვა ბეჭდვითი ორგანოები, გამოეხ-
მაურა ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჯნევის „მცირე მიწას“, „ალორძინებას“ და
„ყამირს“.

საინტერესოდაა დაწერილი ნარკვევი „მცირე მიწა“, „დიდი მიწა“ თეიმურაზ ჯანგუ-
ლაშვილისა და ელიზბარ მაისურაძისა... „წერილები ყირიმიდან“ ვანო ჩხეკაძისა და ნუ-
გზარ შატაძისა. „ნიას ნაბიჯებზე“ ს. სიგუასი, „სახელად სიცოცხლე ჰქვია“ გ. სანა-

დირაძისა, „მთავარი ღირებულება“ ნ. მგელაძისა, „ჩვენი ცხოვრების ძირითადი უანონსო“ გივი ჯონაძისა, „შეხვედრა ცხოვრებასთან“ თამაზ ტყემალაძისა და სხვა.

ყველა ეს პუბლიცისტური ნარკვევი ერთიანდება ერთი დევიზით — შრომის სიხარულის დევიზით. ყველა მათგანი დაწერილია სიტყვის ოსტატურად დამორჩილების ხელოვნებით... ზოგი ზედმეტი პათეტიკით და ნაკლები გულწრფელობით, ზოგიც — პრობლემის სირთულით გამოწვეული გულისტკივილის გრძნობით.

ორიოდ სიტყვა ამ თემატიკური რკალის შესახებ.

არსებობს შრომის სიხარულის ლიტერატურაში ათასჯერ კლიშირებული სურათები. ამ თემის ლიტერატურულმა სტანდარტიზაციამ გვიჩვენა მრავალი ასეთი სიხარულის არა-გულწრფელი და მოჩვენებითი ხასიათი. ფსიქოლოგიურ მოტივირებას მოკლებულმა შრომითი პერიოდის სტანდარტულობამ უკვე 30-იანი წლების ლიტერატურაში ამოწურა თავისი თავი. იგივე ბედი გაიზიარა ამ თემამ სახვით ხელოვნებაშიც.

40 და 50-იანი წლების მწერლობასა და პუბლიცისტიკაში მან უპერსპექტივო ინერციის სახე მიიღო, 60 და 70-იან წლებში — პაროდის კუთვნილებად იქცა.

ამასობაში სოციალური ფსიქოლოგიის მიღწევებში ჩახედვის ქამრაც მოაღწია. გაგვახსენდა, რომ მარქსიზმის კლასიკოსების ნაზარევეში არა თუ უკუგდებული, არამედ უფრო გაღრმავებულია, ხოლო ზოგიერთთაგან მივიწყებული ყოფილა ე. წ. „თავისუფალი დროის“ პრობლემა.

თავისუფალი დრო სადღესასწაულო, საზეიმო (თვით სიტყვის სემანტიკაში შემო-ჩნა სასწაულზე მინიშნების და მითოლოგიურობის კვალი: „დღე-სასწაული“). ეს არის დრო, როდესაც პიროვნება სულიერად იხსნება გარესამყაროსა და საზოგადოებისათვის და ნათლად გრძნობს თავის კავშირს გარემომცველ ადამიანებთან და სოციალურთან...

ასეთ სადღესასწაულო განცდას არაფერი აქვს საერთო გარკვეულ დამაბულობასთან წილნაყარ ოფიციალურ-ცერემონიალიზმთან. ცერემონიალურობა რიტუალის სტერეოტიპობით და ქცევისა და მეტყველების შტამში გადასული წესით ხასიათდება. მისი ძირითადი ნიშნები სოციალური როლების კონცეპციის ამოსავალ პრინციპს ეყრდნობა ანუ ქცევის სავალდებულო და მოსალოდნელ გამოხატულებას...

თუ რამდენად განსხვავებულია შრომის რეალური სიხარულის და ადამიანთა ქცევის მანერა, როდესაც ეს შრომა მათი სულიერი მოთხოვნილებების ნაწილადაა ქცეული, შრომისა და ქცევის იმ სტანდარტული წესისაგან, რომელიც ე. წ. საწარმოო ლიტერატურაში და პუბლიცისტიკაში ასახა, — ეს ნათლად ჩანს რევაზ ინანიშვილის მხატვრულ-პუბლიცისტურ ნარკვევში „ციტადელი“ („ლიტერატურული საქართველო“, № 50).

ეს პუბლიცისტური ნარკვევი წარმოადგენს მწერლის ჩანახატს თემაზე — ახალგაზრდები ისტორიული ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოზე.

როგორც ცნობილია, ეს არ არის იძულებითი სამუშაო. ამ სამუშაოს ენთუზიასტები ასრულებენ.

ვინ არიან ეს ენთუზიასტები?

ეს არის სერიოზული კითხვა, რადგანაც ამ საქმის ენთუზიასტები არიან ის ქაბუკები და ქალიშვილები, რომელთა ღირებულებრივი ორიენტაციის, ინტერესების, ფარული და აშკარა გულისნადების რეალიზებაზეც ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი.

ჯერ მათ გარეგნობასა და ქცევის წესს დავაკვირდეთ. მათ მანერასა და ჩაცმის წესში ბევრი რამაა ისეთი, რაც უპირისპირდება ან წარმოადგენს რეაქციას ცხოვრებისა და მოდის კონფორმისტულ მანერაზე.

უჭარბისაყენ ავტობუსის მოლოდინში გართული ქალ-ვაჟები ასე გამოიყურებიან:

„...უნდა გენახათ როგორ არიან გამოწყობილები ეს მაიები, ნინოები, მანანები, თეშურები, გიები, თორნიკეები და ლათუნები! წლოვანებით ხომ უმეტესობა ჯერ ოცისაც

არ არის! ბიჭებს აცვიათ გადახუნებული ხაკები, ჯინსები, დაღრეცილი კირზის ჩექმები, ბათინკები, ერთს ვეება რეზინის ჩექმებიც კი. შარვლის ტოტები დაუდევრად აქვთ ჩაკეცილი ფეხსაცმელისა თუ წინდების ყელბში. ახურავთ—ალბათ ყოველგვარი „წესიერი“ თავსაბურავების ჯიბრით — ერთს გადმობრუნებული ჯარისკაცური პანამა, მეორეს — ძვირფასი ფეტრის შლაპა, ოღონდ მითელ-მოთელილი, საგანგებოდ ყურებამდე ჩამოფხატული, მესამეს — უსაშველოდ გრძელდერეფნიანი კეპი „ჟოკეშ“, მეოთხეს — კეფაზე წამოდებული რეზინით შუბლზე აქვს მიმაგრებული ცისფერი პლასტმასის დერეფანი, მეხუთეს... მეხუთესა და მათესაც თითქოსდა სხვადასხვა მოდემისა და ხელობის ხალხის მიერ მიტოვებული ქუდები. გოგოებს მუხლებთან აქვს წაჭრილი ჯინსის შარვლის ტოტები, დაშუშული კანჭები — დაგაზული და დახაზული წითლად და თეთრად. ფერდაკარგულ კედებიდან და ბოტასებიდან მოუჩანთ შალის ჭრელი წინდები, მათ თხელ მაისურებსაც დაჰკარგვიათ ქარხნული პეწი. ზოგი მეტისმეტად არის გაზანგული, ზოგი ოდნავ, ზოგს ახალშემომამატებულს, ისევ ქალაქური იერი დაჰკარავთ. ერთი ეგაა, რომ უკვე მოუსწრია მზეს და წითლად დაუტრყვია დაწვები. სხედან ქვებზე, პირდაპირ მიწაზე. ბიჭების ერთი ნაწილი ფეხზე ტრიალებს, რაღაც მუჟარით მიიწევენ ერთმანეთისაკენ. შემზადებულნი არიან კრივისა თუ კარატეს ილეთებისათვის, აკეთებენ სწრაფ, მაცდუნებელ მოძრაობებს, — წინ გავარდნას, ხელებისა და წელების ერთდროულ ბრუნს, ისმის — აახ! უუხ! დადექ! ბიჭების უმეტესობა წვერს გვიან იპარსავს, საველოები საქამრემდე აქვთ ჩახსნილი. გოგოებს მანქანის ცდა მოსწყენიათ და მოთენთილი ღიმილით უყერებენ ბიჭების „გიჟობებს“.

„ციტადელის“ პუბლიცისტური პათოსის სიმახვილე ისაა, რომ რ. ინანიშვილი არ არის დანახული სურათის მხოლოდ მყურებელი. ნარკვევის მთელი პათოსიც ისაა, რომ მწერალი ამ „გიჟებს“ აყოლილი, ადევნებული განდობილი, თანამოზიარე პიროვნებაა.

რ. ინანიშვილი უფროსისა და მწერალი პედაგოგის თვალთ კი არ უყურებს ამ ახალგაზრდებს, არამედ იმ კაცის თვალთ, რომელსაც შინაგან მოთხოვნილებად ჰაკვია მათი გაგების, მოსმენის, წვდომის სურვილი, რადგანაც მათი გაგების გარეშე ვერ გაიგებ შენი და ვერც შენი ქვეყნის მომავალს.

რ. ინანიშვილის თაობის კაცისათვის კარატეს ილეთები და შეძახილები ახალი ხილია. ახალი და უცნაურია ამ ახალგაზრდების ჟარგონი და სლენგი. თავისებურია მათი ჰუმორიც.

მაგრამ განა ჰუმორს სჭირდება რომელიმე თაობის ენაზე თარგმნა? და განა მიზანს, რომელსაც ერთ მუშტად შეუტრავს ეს გოგო-ბიჭები და ქართული ისტორიული ძეგლების სარესტავრაციოდ დაძრულან, ჰირდება თარგმნა? განა ეს ჩვენივე უძველესი სურვილის გამოხატულება არ არის, უკვე განხორციელების მოთხოვნილებად ქცეული ამ თაობის ხელში?..

ამიტომაც, რომ „ციტადელი“ არ არის მხოლოდ ახალი თაობის მოსმენის, გაგების, წვდომის დემონსტრაცია. „ციტადელი“ თვით მწერლის თვითგაგების, თვითმოაზრების დაღასტურებაცაა, როგორც ფაქტი თვით რეზო ინანიშვილის უტყუარი მწერლური გუმანისა — ნათლად შეიცნოს მისი ქვეყნის ახალი პერსონაჟები.

მიეყვით ისევ „ციტადელი“. აი, გამოჩნდა საბარგო მანქანაც. ისინი: „ნიჩბებით და წერაქვებით ხელში გადადიან მანქანის უკანა ბორტზე — ბიჭებიც, გოგოებიც. ალბათ ასე გადადიოდნენ ძველი მეომრები ციხის გალავანზე“.

ეს ასოციაცია მრავლისმეტყველია. ამ პასაჟს მისდევს მწერლის დაკვირვება-ექსკურსი ამ თაობის პოეტური და ისტორიული ინტერესების სფეროში. მაგრამ მთავარი მაინც წინაა. ეს მთავარია თვით შრომის დღესასწაულობის განცდა.

აი ეს სურათიც:

„იწყება მშენებლების აპოგა — წელზევით შიშველი ყმაწვილების ორი ჯგუფისა და მათ გვერდით ღიმილით ჩამდგარი გოგონების „ერთობლივი“ შრომა: ბიჭები, ისევე გამეტებით იქნევენ წერაქმებს, ნატეხ-ნატეხი ქვები წვილით მიშხივან აქეთ-იქათ. გოგონები ჩახრილი ელოდებიან მიწის საზიდარების გავსებას. ზოგნი ბარებზე ქანაობენ. მიწა მაგარი, მაგარი. ქვები უფრო მაგარი. გოგონები და ბიჭებიც შეთქმულთა სიყვარულით შესცქერიან ერთმანეთს, შეთქმულთა სიყვარულით და რაღაცნაირი განწირულების სევდითაც. იქნებ საამისოდ ისიც კმარა, რომ ბევრი რამე უფერხებთ საქმეს, თუნდაც ყველაზე მთავარი — რიგიანი სამუშაო გეგმაც კი ვერ მისცა დაწესებულებამ, ვისაც სახელმწიფოს მიერ ამ გეგმების შედგენა აქვს დაკისრებული.

ბარზე ქანაობისას თქმული ანეგდოტი:

ზანგთა დელეგაციაა კახეთში, სუფრასთან სხედან. აიხედავს ერთი კახელი, უყურობს ზანგი; აიხედავს, ისევ უყურობს ის ზანგი.

— რას მიყურობ, მე ხომ არ გაგკრასკე! — უწყრება კახელი“.

რეზო ინანიშვილის „ციტადელი“ ე. წ. საწარმოო ან შრომითი თემატიკის მოაზრების იდეით შეპირებული მწერლობისა და პუბლიცისტისათვის ჩატარებული გაკვეთილია. ამ გაკვეთილის სიახლე სრულიად მარტივ აღმოჩენაში გამოიხატა. რ. ინანიშვილმა იგრძნო და გაიაზრა შრომის დღესასწაული, რომლის დროსაც „გოგონებიც და ბიჭებიც შეთქმულთა სიყვარულით შესცქერიან ერთმანეთს, შეთქმულთა სიყვარულით და რაღაცნაირი განწირულების სევდითაც“.

ამ „შეთქმულთა“ თანამოაზრე და თანამესაიდუმლე რომ გახდეს, დიდი ზნეობრივი სიძველე და ნდობის მოპოვებაა საჭირო. რ. ინანიშვილს ერთიც აღმოაჩნდა და მეორეც — მეჩვენება, რომ თვითგაგების ამ გზაზე მან საკუთარი შესაძლებლობების ახალ რეზერვებსაც შიავკლია.

კიდევ ერთი პასუხი მისი ჩანახატიდან:

„სალამოს კი, მზემ რომ დააპირა იკვლივის უკან ჩასვლა, ციხის კედლის კეტამზე გაიშალა სუფრა. მეჩვენებოდა, რომ რამდენიმე ალაზა ემსახურებოდა რამდენიმე ჯოყო-ლასა და ზვიდაურს. ვიღაცამ დაანთო პატარა ცეცხლიც და კვამლი წავიდა სწორად, სწორად, მაღლა. მეც ვიყავი ჩამუხლული იმ სუფრასთან, ხნიერი კაცი, და ვნატობდი, კიდევ მრავალჯერ შემეშავა ამგვარ ახალგაზრდებთან. თუნდაც ასე: მათ მალ-მალე ამტერიონ წერაქმებისა და ნიჩბების ტარები, მე კი ჩემი წალდით ვუთალო და ვუთალო ახლები. რა თქმა უნდა, არ მოგვეცილებოდეს დედა სამშობლოს სათნოების თვალიც“.

როგორც იტყვიან, ჩვენს წინაშეა მიზეზიც და მიზანიც. ორივე მომენტის ნათელილვამ განაპირობა ამ პუბლიცისტური ნარკვევის ღირსება და წარმატება...

„ლიტერატურული საქართველოს“ ამ ციკლის საინტერესო რუბრიკაა „მწერალი ზრუნავს ძეგლებზე“. გაზეთის № 38 საგანგებოდ ეხმაურება ძალზე საყურადღებო კრებულის „ზეკარის“ გამოცემის ფაქტს, გამომცემლობა „მერნის“ მიერ. დაბეჭდილია ჯ. ღვინჯილის საყურადღებო საუბარი ამ თემაზე.

რაკი სიტყვა ძეგლების საკითხს შეეხო, აქვე უნდა აღინიშნოს ჩვენი ცნობილი და პროფესიონალი არქიტექტორის ვახტანგ დავითაიას პუბლიცისტური წერილი „როცა დუმილი საქმეს ვნებს“ (№ 38). ე. დავითაიას წერილი არ არის მხოლოდ რეცენზია თბილისში აგებულ ერთი საინტერესო შენობის გამო. საქმე ეხება საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტროს შენობას (არქიტექტორები — გ. ჩახავა და ზ. ჯალალონია; კონსტრუქტორები — თ. თხილავა და კ. კინებერგი).

მათ მიერ შექმნილმა ნაგებობამ მსოფლიოს ოცამდე არქიტექტურული ჟურნალის ყურადღება მიიქცია. იგივე ნაგებობა დუმილით იქნა აღქმული თავის სამშობლოში. და ეს მაშინ, როდესაც ამ ნაგებობის რეალიზაციით დაძლეულია საგულისხმო ორგანიზა-

ოცნება, ტექნიკური და ფსიქოლოგიური მიჯნები. ვფიქრობ, დამაფიქრებელი და საგულ-
ლისხმო პრეცედენტია.

მართალია, ე. დავითაია ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი ნაგებობისა და მისდამი
ჩვენი გაუმართლებლად გულგრილი დამოკიდებულების თაობაზე გვესაუბრება, მაგრამ
განა ჩვენ არ ვიცით უკვე საქვეყნოდ აღიარებული სპექტაკლები, ძეგლები, ლიტერატუ-
რული ნაწარმოებები, რომლებმაც იგივე ხვედრი გაიზიარეს?

და ეს ხდება იმ ვითარებაში, როდესაც ლოზუნგად გაისმის მოწოდება „არც ერთი
ნაწარმოები ყურადღების გარეშე!“.

და ეს დღეიში ხომ მართო ნაწარმოებს არ გულისხმობს, მასში ხომ თანამედროვე
ადამიანისადმი და მით უმეტეს შემოქმედისადმი ყურადღებაც იგულისხმება?

როგორ არ ესადაგება ასეთი ვითარება ჩვენი პუბლიცისტური წერილების საზეიმო,
ცერემონიალურ, ბრავადულ ხასიათს.

ახლა „უხინჯო“ გამოსვლის ერთ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილზე მინდა
თქვენი ყურადღების გამახვილება, მაგრამ ვიდრე მას შევეხებოდე, საგანგებოდ მინდა
აღვნიშნო ასევე საინტერესო ერთი პუბლიცისტური სიტყვა.

„ლიტერატურული საქართველოს“ № 4-ში გამოქვეყნდა პოეტ მორის ფოცხიშვი-
ლის გაზნაურებული პუბლიცისტური სიტყვა, თქმული საქართველოს კომპარტიის თბი-
ლისის საქალაქო ორგანიზაციის XXVII კონფერენციაზე.

მთელ რიგ საინტერესო შეხედულებათა შორის, რომელიც ამ გამოსვლაში პოეტმა
განავითარა, განსაკუთრებულად დასამახსოვრებელია ერთი თვალსაზრისი. საქმე ეხება
ჩვენში საკმაოდ ფესვადგმულ, არაკომპეტენტურობის სინდრომს. ესაა ვითარება, რო-
დესაც სპეციალისტის ადგილს იკავებს დილეტანტი, მცოდნისას — მოყვარული, პრო-
ფესიონალისას — იმიტატორი.

ეს არის საკმაოდ სერიოზული და ღრმა სოციოლოგიური ანალიზის საგანი. ვინაა
იმის აღმრიცხველი, თუ რა დანაკლისი განიცდის ქვეყანა, როდესაც საქმის ცოდნასთან
დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა ამ საქმის იმიტატორის ხელშია მოხვედრილი?!
ვინ არის იმის აღმრიცხველი, თუ რა ზნეობრივი ტრავმისა და გულგატეხილობის ატმოს-
ფეროს დამამკვიდრებელია ასეთი ვითარება?! ასეთ ვითარებას კი, ჩვენდა სამწუხაროდ,
ყოველ ნაბიჯზე შეგვიძლია წავაწყდეთ, სკოლაში თუ უმაღლეს სასწავლებელში, სამეც-
ნიერო და სახელმწიფო დაწესებულებებშიც.

ეტყობა, დადგა უამი, მეტი სიცხადით და უმტკიცესი შეუპოვრობით უყურებდეს
ჩვენი საზოგადოება ამ მდგომარეობას, უნდა გვახსოვდეს, რომ უპირველესი თვისება,
რასაც მოითხოვს ეპოქა, რომელშიც ჩვენ გვიხდება ცხოვრება და ისტორიულ სიტუა-
ციებში ორიენტირება, ეს არის პროფესიონალიზმი, იმ საქმის ცოდნა, რისთვისაც ხელი
მოგვიკიდნია... მეტიც — მაღალი რანგის პროფესიონალიზმი, პროფესიონალიზმი მსოფ-
ლიო სტანდარტების დონეზე. უნდა გვახსოვდეს, რომ პროფესიონალიზმი, ამ გაგებით,
ზნეობრიობის ნიშანია. და პროფესიონალიზმი ჭირდება არა მარტო წარმოებას ან
სპეციალური მეცნიერული დისციპლინის დაუფლებას, მწერლობას ან ქვეყნის მესაქე-
ობას, არამედ გარეგნულად თითქოს ყველასათვის გასაგებ და ისეთ ხელმისაწვდომ
გრძნობასაც, როგორიცაა პატრიოტიზმი.

იყო პროფესიონალი შენი ქვეყნის სიყვარულში, ნიშნავს გლობალური მასშტაბებით
ორიენტირების უნარს. პროფესიონალური პატრიოტიზმი ნიშნავს ეროვნული პრობლე-
მების ხედვას მსოფლიო ცივილიზაციის მოთხოვნებისა და ტენდენციების დონეზე. პატ-
რიოტიზმის ყოველი განსხვავებული გამოვლინება, უკეთეს შემთხვევაში, პრიმიტიული
მოყვარულობაა ან დილეტანტიზმი და თვალთმაქცობა

ეტყობა, უფრო ხშირად საჭირო ჩახედვა და გაცნობიერება ილია ჭავჭავაძის



სკოლის მეტრთან მიტოვებული მემკვიდრეობისა და ნიკო ნიკოლაძის 1879 წლის ნარკვევისა „მამულის სიყვარულისა და მსახურების“ შესახებ.

აღნიშნული პრობლემის ზნეობრივ და პრაქტიკულ ასპექტებს ეხება ოთარ ჩხეიძის უაღრესად საინტერესო პუბლიცისტური ნარკვევი „არც თუ უბრალო საკითხავი წუთისოფლისა“ („ლიტერატურული საქართველო“, № 15). ოთარ ჩხეიძე, ჩვენს მიერ მინიშნულ ვითარების დაკონკრეტებას, გამოძიებას და მიზეზთა ჯაჭვის დადგენას ცდილობს. კაცმა უშაღღესი დამთავრა, რის გაივალახით და გარჯით, დიპლომი მიიღო, მაგრამ საზოგადოებაში თავისი ადგილი და სამსახური მხოლოდ მაშინ იპოვა, როდესაც თერძობას მოკიდა ხელი. ამ ხელობაში იპოვა მან თავისი მოწოდების და პიროვნული შესაძლებლობების გაშლის პერსპექტივა.

გამოვიდა, რომ უშაღღესი სასწავლებლის ხუთი წელი ამაო გარჯა ყოფილა მისთვის. ეს ამაოება არ არის, ადამიანის ბუნებაზე დაუშმენველი მომენტი. ოთარ ჩხეიძე, მის პროზას სმენაშეჩვეული მკითხველისათვის ნაცნობი მთხრობელის ქართულით იხსენებს ასეთი ყმაწვილის სტუდენტობის პერიოდს.

„ისიც გამახსენდა თუ რა მკვირცხლი ყმაწვილი გახლდათ პირველ დღეებში, პირველ კურსზედ, რა ხალისიანი, ცეცხლი, სიტყვამოსწრებელი, და, როგორ დასვედიანდა თანდათანობით, როგორ გაწვალდა, გაწამდა, გაგულისდა, როგორ გატანჯულმა დამთავრა ინსტიტუტი, გამახსენდა და ან რა დამავეწყებს, ეს ჰო მეორდება ჩემს თვალწინა, მეორდება და მეორდება ერთგვარად, ერთნაირად, ოღონდ როგორღაც მზარდი სიმძაფრით. როგორც მზარდითა-მეთქი, ასევე მოდიან, ასევე ხალისიანი, მოსჩანან სხვანაირი პირველ კურსზედა, ერთნაირი ხალისიანი, გახარებული ერთპირიანად, მეგრ ერთნი ჰკარგავენ ხალისისა, ნელნელა ჰკარგავენ, გაოგნებული შეჰყურებენ ლექტორებს ლექციებზედ, — არ გაეგებათ და იმიტომ, რაღა თქმა უნდა, არც აინტერესებთ, პრაქტიკუმებს აცდენენ, — სემინარებს აცდენენ, — ვერც ემზადებიან და იმიტომ, რაღა თქმა უნდა; მეგრ ჰო. მოსდევს სესიები თავზარდამცემი, მოსდევს საოცარი გამაღვებით და ხალისს თუ ჰკარგავენო, ეგ არაფერი, ზოგი ლამის გაბოროტდება, გაანჩხლდება, გაწიწმატდება და ასე ამთავრებს, — მაინც ამთავრებს და ასე ებმება საზოგადოებრივ ურთიერთობაში...

გარდაიქმნება ბუნება ადამიანისა, ხასიათი გარდაიქმნება, სიკეთიდან სევდისაკენ, ზოლოდ იმიტომ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, შეუძლებელს რომ მოეკიდა, რომ ასცდა თუ არ მიეტანა შესაფერისი თავისი უნარისა, თავისი ნიჭისა, თავისი ძაღღონისა, თავისთვის შეუძლებელს რომ მოეკიდა და მე შენ გეტყვი ადვილად მოეკიდა!...“

ვიყოთ გულახდილები და ვთქვათ, რომ მართლაც ნაცნობი სურათია. მაგრამ ვიდრე აქ რაიმე კომენტარს გავაკეთებდეთ, ისევ მწერალს მოვუხსინოთ, რადგანაც თავადაც ამას სთხოვს, ემუდარება მკითხველს.

„აქ წინ ნუ გამისწრებთ, ნუ გეგონებათ, რომ აი ზოგიერთი ჟურნალისტივითა, — თითქოს მაინც გამოწკლისია, აქა-იქ შეიმჩნევო, — ნუ გეგონებათ, კარგადაც შეიმჩნევა, ნათლადაც შეიმჩნევა და ნურც გაგიკვირდებათ თუ შრედაც დავისახნეს საზოგადოებისა, გამოკვეთილ შრედა, ან თუ ფენად, სოციალურ ფენად, გამოკვეთილ ფენად, ნურც გაგიკვირდებათ და ნურც გაოცდებით, ბევრი რამ გამოჭრილა თუ გამომხტარა მთურიდებლად, ბევრიც თუ სალოდნელი გახლდათ“.

საიდან და რატომ? — ამის ძიება სოციოლოგების საქმეა. მწერალმა კი რეალური ვითარების სურათზე გვაუწყა. გვაუწყა ერთ-ერთი სერიოზული და დამაფიქრებელი თავისებურება ჩვენს საზოგადოებისა, რომლის თავისებურ შტრიხადაც იქცა არაკომპეტენტურობის სინდრომი. ვიდრე ეს ტენდენცია ტოტალური არაკომპეტენტურობის სახეს მიიღებდეს, ამ ფაქტის უყურადღებოდ დატოვება დანაშაულია.

დღეს, როდესაც ასე თამამად, სახელმწიფოებრივ დონეზე ცხადდება ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ოთარ ჩხეიძის მიერ დანახული და წარმოჩენილი

ფაქტორი უყურადღებოდ მისატოვებელი არ არის. არ არის, რადგანაც ამ ფაქტორთან შეხება, მისი შედეგების წვნენა ქვეყნის ყოველი წესიერი მოქალაქის ნერვების, ენერგიის, მოთმინების თუ თავშეკავების გამოფიტვის ხარჯზე ცხოვრობს, როგორც სარეველა ბალში.

აქ მხოლოდ ხელმოცარულ ადამიანებზე არ არის ლაპარაკი. საუბარია უკვე რაღაც თვისობრიობაში გადაზრდილ ტენდენციებზე.

„აი, თუ ალბათ ესენი არიან გზას აცდენილი ადამიანები, მართლაც გზას ასცდენიან და ველარც მერე ინარჩუნებენ წონასწორობას, ვერც თუ გამოდგებიან დიდი და ამაღლებული ამბებისათვის, ვერ გამოდგებიან, ვერ ივარგებენ, ვერ გაიგებენ, ვერც აგვევნიან, თუ აგვევნიან, გილაატებენ, ვერც დაენდობი და არც დაგინდობენ, უფრო ბუზღუნებენ, იღრინებიან, ანთუ რაო, — გაანჩხლდებიან, ისევ ძმას თუ ჩამოაპოტნიან ცხვირპირსა, ისევ მეგობარს თუ გამოსჩიქნიან თვალეხსა, — გზის აცდენა სხვაი რაღა ყოფილა? მე ასე მგონია და თქვენი არ ვიცი“.

ჩვენც ასე გვგონია, ბატონო ოთარ! მაგრამ, ეტყობა, მართო კალამი და სიტყვა არ არის ის იარაღი, რომელიც ამ სოციალურ სენს განკუთნავს!

III

1979 წლის აგვისტოს (№ 33) „ლიტერატურულმა საქართველომ“ დაიწყო ბექდვა წერილებისა და თხზულებათა ციკლისა „ლიტერატურული საქართველო“ სოფელში... ამ წამოწყების მიზანია თანამედროვე ქართული სოფლის კულტურული ცხოვრებისა და აქტუალური პრობლემების თვალუყრის დევნება. ასეთი ხასიათის წერილებია მ. ელიოზიშვილის ნარკვევი — „წახვედ ტყისა პირს“ — ეკოლოგიურ პრობლემათა აღმართს შემდგარ ქართველ მეტყვევებზე; თედო ბექიშვილის „ჩვენი მასპინძლის ეზოში“ — შემფოთება სოფლის ინდუსტრიალიზაციის გამო, თ. ბიბილურის „თეატრი ჩამოვიდა“ — სოფლის კლუბის დანიშნულების რეალურ მიზეზზე; მირონ ხერგიანის — ჩვენი ტყისა და ბუნების ხვედრის გამო; ელ. კორკოტაშვილის „როგორ შენდება სოფელი“, სახლოეტალონების შექმნისა, მაგრამ მათი განუხორციელებისა და მშენებლობის გეგმვების დაქვეითების შესახებ, ალუდა არაბულის, რევაზ დანელიას — „ცხვარ-მეცხვარის ამბავი“ (№ 42). ამ ნარკვევიდან ჩვენ ვიტყობთ თუშური ცხვრის ფანტასტიურ ბედ-იღბალს უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე. თურმე თუშური ცხვრის ჯერ გადაჯიშებაზე დახარჯულა დრო და ენერგია, ახლა ხელახლა მოშენების პრობლემა დამდგარა. წმინდამატყლიანი და ნახევრადწმინდამატყლიანი ნაჯვარების მოშენების იდეამ არ გაამართლა... ამ ცხვრების ამტანუნარიანობა მომთაბარეობის ძნელ პირობებში დაბალი ყოფილა...

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო გასულ წელს გ. ციციშვილის მიერ გამოქვეყნებული რამდენიმე პუბლიცისტიური წერილი, რომლებიც „ლიტერატურული საქართველოს“ გარდა გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა. ასეთია ჩვენი პუბლიცისტიკის მთლიანი ფენის არც თუ ისე სახარბიელო სურათი.

არადა, 1979 წლის პუბლიცისტიკის ჟანრს დასაწყისში აშკარად კარგი პირი უჩანდა. „ლიტერატურულმა საქართველომ“ მექამე ნომრიდან დაიწყო ნოდარ დუმბაძის „ოდი-სევის დაბრუნების“ ბეჭდვა...

აქვს ნოდარ დუმბაძეს, როგორც მწერალს და როგორც პიროვნებას, ერთი თვისება, რომელიც განუმეორებლობის დაღს ასვამს ყველაფერს, რაც მის სახელთანაა დაკავშირებული. არიან დიდად ნიჭიერი მწერლები, მხატვრები, მსახიობები, მუსიკოსები, რომლებიც თავისავე ტოლფარდი ან უფრო ნიჭიერი კოლეგის საზოგადოებას ერიდებიან. ერიდებიან იმიტომ, რომ თავისავე მსგავსების საზოგადოებაში ისინი კარგვენ იმ განსაკუთრებულობას, რომლითაც სხვების გათვალისწინების გარეშე გვეყავდა ისინი წარმო-

დგენილი. ასეთ დროს თვალსაზრისს მათ განსაკუთრებულობაზე ფრთები ეკვეცებათ. ნოდარ ღუმბაძე ასეთი ფსიქოლოგიური კომპლექსიდან აბსოლუტურად განთავისუფლებული შემოქმედია. კოლეგების საზოგადოებაში ის ცხოვრობს მხოლოდ მისთვის და მისი ინდივიდუალობიდან გამომდინარე ხელვის პრინციპით. ამ პრინციპისათვის განკუთვნილი ადგილი კი მუდამ ღიაა ყველგან, სადაც არსებობს ადამიანურის, ჰუმანურის, სი-სადავის, სიცოცხლისადმი სიყვარულის მოთხოვნილება და საჭიროება.

მე გაგახსენებთ ადგილს ნ. ღუმბაძის ამ ნარკვევიდან.

„ამერიკის უბედურება ის გახლავთ, რომ იქ ჩასულს ამერიკა თავისი აღმოჩენილი ჭკობია. თქვენდა და ჩემდა საბედნიეროდ მე იგი აღმოჩენილი დამხვდა...“

„ამერიკული ლიტერატურა და ხელოვნება ევროპული ცივილიზაციის ფესვებზეა აღმოცენებული, ეს უდავო ფაქტია, მაგრამ დღევანდელი ამერიკული ლიტერატურა და ხელოვნება მაგონებს ოდისევსს, რომელიც 200 წლის შემდეგ დაუბრუნდა თავის პენ-ლოპეს — ევროპას, ოღონდ უკვე სხვა, არანაკლებ ღამაზე ქალზე ჯვარდაწერილი...“

ნოდარ ღუმბაძის ამერიკა დანახულია იმ კაცის თვლით, რომელსაც მაინცდამაინც ამ ქვეყნის გაქილიყება კი არ უნდა, მასში მაინცდამაინც სიმახინჯის აღმოჩენა კი არ სურს, არამედ აინტერესებს მისი გაგება, მოსმენა, მოაზრება და გაგებულის შეპირის-პირება თავისი ქვეყნის ავ-კარგთან: ეს კი ერთადერთი გზაა სხვისი გაგებისა, და სხვას-თან შედარების გზით, — თვითგაგებისაც...

სხვისი უბედურების ან ნაკლის აღმოჩენით სიხარული და ნიშნისმოგების პათოსი, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყნებში მოგზაურების მოდური პუბლიცისტური ჩანაწე-რებისათვის იქცა დამახასიათებლად, ნოდარ ღუმბაძისათვის უცხოა.

თუ ისტორია არის ადამიანთა შეხვედრა საუკუნეებში, თანამედროვე ისტორია არის ადამიანთა დღევანდელი შეხვედრა თანამედროვე ცხოვრებასთან. ამ შეხვედრებისა და ურთიერთგაგების შინაარსზე ბევრი რამეა დამოკიდებული. ნ. ღუმბაძის ამ ნარკვე-ვისა და მისი მოგზაური გმირის გამორჩეული თვისება ის არის, რომ მისი მოგზაურობა ამერიკაში არის არა გეოგრაფიული, არა სამხედრო, არა სავაჭრო-ეკონომიკური, არა რე-ლიგიური, არამედ ადამიანური!

ასეთია, როგორც უკვე ითქვა, 1979 წლის ქართული პუბლიცისტიკის არც თუ სა-შეიშო ფონი.

ამ ფონზე, საერთოდ, გამჭარალა პოლიტიკური პუბლიცისტიკის ქანრი, რომლის სათავეებთანაც მე-19 საუკუნეში იდგნენ სოლ. დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, ჩვენი საუკუნის დასაწყისში ამ ქანრს ანვითარებდნენ ა. ჯორ-ჯაძე, გ. ქიქოძე.

ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების „ქართული მწერლობის“ ფურცლებზე გაიმართა მძლავრი პუბლიცისტური ხასიათის დისკუსია ქართული ეროვნული ხასიათისა და ხე-დრის პრობლემაზე... საზოგადოებრივი განსჯის და ვნებათა ღელვის საგნად იყო ქვეუ-ლი მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“.

ამ თვალსაზრისით, ახლა საყდრისებური მყუდროება.

რატომ? დაცხრა ვნებათა-ღელვა, გაეცა სწორი და ამომწურავი პასუხები დასმულ კითხვებს, თუ ისინი ისევ ღიად გამოკიდებულნი ფარფატებენ ჰაერში?

და ეს მაშინ, როდესაც ძველ კითხვებს კიდევ ახალი კითხვები და ამოცანები ემატება. ყველა მათგანი მოითხოვს პასუხს, რომელსაც მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა ვერ იტვირთავს. არის კითხვები, რომელთა გაშუქების უნივერსალური უარიც არის პუბ-ლიცისტიკა.

მეტ ყურადღებას, ენერგიას, პასუხისმგებლობას, შემართებას და მომთხოვნელო-ბას საჭიროებს დღეს იგი. (ტაში).

ლადო კოტეტიშვილი

ზოგიერთი მოგონება

ქართული მედიცინის ისტორიის წარჩინებული მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე ვლადიმერ (ლადო) ილიას ძე კოტეტიშვილი (1903-1943) თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების წელსვე გახდა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი. აქ იგი რევოლუციურ მოძრაობაშიც ჩაება და მონაწილეობდა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

ლადომ უნივერსიტეტი დაასრულა 1921 წელს, დაბრუნდა სამშობლოში, ექიმად მოეწყო აჭარაში და ლიტერატურული მუშაობაც აქვე დაიწყო.

ლ. კოტეტიშვილის პირად არქივში დაცულ მასალებს შორის საყურადღებოა მოთხრობა „აჭარაში“, ჩანაწერები აჭარული ხალხური მედიცინისა და სხვა საკითხებზე.

პირადად მე ლადოს მოგვიანებით გავიცანი. იგი თავის სპეციალობაში ქარას ნათლობისა და ერთგვარი ხალხოსნური გატაცების მზარედ თვლიდა, სიყვარულით ლაპარაკობდა აჭარელთა სიჩაქესა და სტუმართმოყვარეობაზე.

ლადომ საექიმო მოღვაწეობა კახეთში განაგრძო. შემდეგ ისევ თბილისს დაუბრუნდა და აქ აწარმოა ის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რომელიც წარუშლელია ჩვენი მედიცინისა და კულტურის ისტორიაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი (1927-1931), როცა დავდიოდი მაშინდელ ლექტორ ვახტანგ კოტეტიშვილთან ბინაზეც. ძირითადად აქვე ცხოვრობდა მასპინძლის დარბაისელი მოხუცი მამა. მასთან დადიოდა მეორე ვაჟიც — ლადო კოტეტიშვილი. იგი აქ ვნახე პირველად და შემდეგ დავმეგობრდით კიდევ.

აღრმადვე ვმეგობრობდი ისტორიკოს-ეთნოგრაფს სერგი მაკალათიას, რომლის ძეგულზე იყო ვახტანგის და — ივლიტა. ლადოს ს. მაკალათიას სახლშიც ვხვდებოდი. ერთ-ერთი სუფრის თამადა იყო და ბევრი ლექსი წარმოთქვა და თითოეულის დასრულებისას კითხვას სვამდა: „ვისია ეს ლექსი?...“ თურმე, საკუთარი ყოფილა.

კიდევ უფრო საინტერესო ლექტორი, ორატორი და თამადა იყო ვახტანგ კოტეტიშვილი. ჩვენ აღწერილი გვაქვს ერთ-ერთი სტუმრობა (1930 წ.) თბილისის ძველი უბნის ყარაჩოხელის ოჯახში, სადაც ი. გრიშაშვილის მიწვევით ვიყავით და ეთიმ გურჯი თამადაობდა. ვ. კოტეტიშვილი სუფრის თვალი გახლდათ.

რამდენიმე დღის შემდეგ ლადო ქაშვეთისა და სამხედრო (ახლანდელი მთავრობის სასახლის წინა მოედანზე მდებარეობდა) ტაძრებს შორის შემხვდა. ვახტანგს ეამბნა

ი. გრიშაშვილსა და ეთიმ გურჯთან ჩვენი ქეიფის შესახებ და მოხოვა, მეტეხისაკენ გავყოლოდი.

წავედით. სიონში შევიარეთ. ლადომ საეკლესიო წესები ჩინებულად იცოდა, ზოგი რამ ჩემთვის უცნობაც მიაჩნდა.

მაღე აბანოებთან მივედი. ერეკლეს აბანოსთან ლადოს მეაბანოე გრიშა შემოხვდა. — კარგ დროზე მოხვედითო, — გვითხრა და მიგვითითა მოხუცზე, რომელიც აქ თურმე რევატიზმს მკურნალობდა.

ლადო დიდხანს ეკითხებოდა ამ მოხუცს ავადმყოფობის ნიშნებსა და გოგირდის წყლის ზემოქმედებაზე...

გრიშამ წყალსაგუბარში შეგვიყვანა; ლადო გოგირდის ნალექებს აკვირდებოდა. მასპინძელი ვატაცებით გვიყვებოდა: ჭრელი აბანო (№ 8, ქალებისა) ორბელიანების იყო; გარნიზონის აბანო (№ 1) და მირზაშვილების (№№ 8, 9) წყლით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ვალმა (ბარათაშვილის აღმართზე) „გოგილო-ციცია“, მაგრამ ყველაზე უფრო გოგირდოვანია. შიგ ვახუშტიც გროვდება. თუ ფანჯარა დაიხურა, თვალს სწევსო. „ფანჯარის აბანო“ (ახლანდელი ბანოლეოგიური) კიდევ სხვაო, „ზემელზეც“ იყო აბანო მელიქ-კაზარაიანის სახლის სარდაფშიო და ა. შ.

შემდეგ მეტეხის ხიდან მამინ ჯერ კიდევ არსებულ მეჩეთში შევედი. ლადო შენობის ჭრელ-ჭრელი ფირების საღებავების უხუნებლობასა და მამადიანურ და ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა თავისებურებებზე გვესაუბრებოდა...

ვახტანგის ბინაზე მივედი, ლადომ ძმასაც ხელოვნების საკითხებზე დაუწყო ლაპარაკი. მასპინძელმა კედელზე მიკრულ ბარელიეფზე მიგვითითა. მასზე აქლემის ქარავანი იყო გამოსახული.

ვახტანგმა ჰკითხა ლადოს: აბა, თუ მიხვდები, აქლემებს მატყლი (სტევი) რითი გამოეუსახეთ?

ლადომ ვერ უპასუხა. ვახტანგმა აგვისნა: ახალი კალოშის ძირი მივადე ნელ თაბაშირის ყელსა და მუცელზეო.

ლადომ შენიშნა, იმიტომაცა კარგი შეილიო. მატყლის წარმოსახვისათვის კალოშს საყარცელი აჯობებდაო. ამაზე ძმები შეკამათდნენ, ეს დევეში გადავიდა; ლადომ მკლავი ვამოწმო და წამოვედი.

საერთოდ კი ეს ძმები ერთმანეთის მოსიყვარულე იყვნენ. მათი ურთიერთობის დამახასიათებელი მაგალითი ვახტანგის ვაჟის — ცნობილი ირანისტიკისა და მთარგმნელის ვახუშტი კოტეტიშვილის ნაამბობიდან ჩანს კარგად.

— მამაჩემი და მისი ორი ძმა, — თქვა ვახუშტიმ, — შედარებით ღარიბი ოჯახის შვილები, ერთდროულად სწავლობდნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ბებიაჩემს თუმანი ვაუფრავნია მამაჩემისათვის. იმას უთქვამს: ალბათ, ჩემზე უფრო ლადოს სჭირდება ეს ფულიო და იგი მისთვის გადაუფრავნია. ლადოსაც ისევე უფიქრია, როგორც ვახტანგს, და გვივე თუმანი შესაძენ მისათვის — გიგოსათვის ვაუფრავნია. უკანასკნელს კი დედისათვის ვაუფრავნია, — გაეახარებო! არ იცოდა კი, რომ ეს თუმანი დედასაგან მოდიოდა...

1931 წლის სექტემბრიდან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში ვმუშაობდი ნიკო მართან ლენინგრადში. აქვე 1934 წელს გავიცანი ილიას ძმისშვილი მარინე კოტეტიშვილი, დედამისი ანა (ბუშკინოში ცხოვრობდნენ) და მათთანაც ვმეგობრობდი. ვახტანგთან მიწერ-მოწერა მქონდა; ლადოს კი ზაფხულობით, თბილისში ჩამოსვლისას, ვხვდებოდი.

1939 წლის ზაფხული იწურებოდა, რომ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნ. მა-

რის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში (ლენინგრადი) მესტუმრა ლადო კოტეტიშვილი. კაბინეტში პროფ. კარპეზ დონდუა, მიხ. ჩხაიძე, ვასილ აბაევი, რაფიელ შაუმიანი და მე ვისხედით. ლადომ გვიამბო, ნახევარი წლით მოვლინებული ვარ, ქართული მედიცინის ისტორიას ვწერო და შენიშნა: ხალხური მედიცინა ექიმბაშობა არ გეგონოთ, მასში ბევრი სიბრძნეა, იგი ზეპირად და წიგნებშიცაა შემონახული, ყოველი ქართველი გლეხი თავისებური ექიმია, საქართველო ამ დარგშიც ძალიან მდიდარია, აქაც ბევრი რაიმეთი შეგვიძლია ვიამაყოთ მსოფლიო მასშტაბით და იმედი მაქვს, ხელს შემიწყობთო!..

ლადოს ვახლდი სსრ კავშირის აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერების განყოფილებასა (ყოფილი სააზიო მუზეუმი) და ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩერდინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებთან, გავაცანი იქაური თანამშრომლებიც.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერებში, სხვათა შორის, ლადომ ნახა ხელნაწერი — ქ ა ნ ა ნ ე ლ ი ს „უ ს წ ო რ ო კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი“, რომელსაც მან თბილისიდან ჩამოტანილი ტექსტი (XI ს.) შეადარა, შეავსო და დამუშავებული სთლიახი ტექსტი გამოსცა კიდეც (თბილისი, 1940 წ.).

საქართველოს მუზეუმის ქანანელის კარაბადინის ტექსტი დაზიანებული იყო (მას ავსებდა ლენინგრადში დაცული ეგზემპლარი), მაგრამ პირველი იმდენად ძველი ჩანდა, რომ მას ლადო თვლიდა დავით აღმაშენებლის ეპოქისად და, მაშასადამე, ეს ძეგლი, გამოქვეყნებულ XIII ს. დასაწყისის კარაბადინთან შედარებით, 150 წლით ზრდიდა ქართული მედიცინის ისტორიას. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი კი ვახტანგ VI დროს არის გადაწერილიო, — ამბობდა იგი, და ამიტომ მას „ვახტანგისეული“ ვარიანტი უწოდა...“

ლადო ისე აღაფრთოვანა ამ სრულმა ხელნაწერმა, რომ ხელნაწერის უნახავს დაე-მსგავსა! სულ მასზე ლაპარაკობდა, მისით ცხოვრობდა და თითქოს სხვა აღარაფერი აინტერესებდა. და ეს მოუვიდა კაცს, რომელსაც „წიგნი სააქიმოჲ“ (XIII ს. დასაწყისისა) და „იადიგარ დაუდი“ (XVI ს. დასასრულისა) უკვე გამოცემული ჰქონდა. თუმცა, შეიძლება, სწორედ ამიტომ დააინტერესა იგი ხსენებულმა ძეგლმა, რომ მას მისი მნიშვნელობა უკეთ ესმოდა, ვიდრე ბევრ სხვას.

ლადოს გაგონებაც არ სურდა, რომ „უსწორო კარაბადინი“, როგორც ხელნაწერი, ცნობილი იყო, — ეს მე აღმოვაჩინე და მევე გავაცნობ მას მეცნიერებასო, — ამბობდა იგი.

რა თქმა უნდა, ლადო არ იყო მართალი, როდესაც ამ და იქვე ნანახ სხვა ხელნაწერებს „ლენინგრადის არქივებში დაცული დღემდე სრულიად უცნობი მასალა“ უწოდა („უსწორო კარაბადინი“, 1940, გვ. II). ეს მასალა საბიბლიოთეკო ბარათებზე იყო აღწესებული და მას არა ერთი სპეციალისტის ხელი შეეხებია. ის კი სწორია, რომ ლადომდე ეს ხელნაწერები ასეთი სპეციალური შესწავლის ობიექტად არავის გაუხდია.

დავსძენთ, იყო შემთხვევები, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერის ძნელად გასარჩევი სიტყვის ამოსაკითხავად მე დავყავდი. ჩვენ და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მომუშავე ვარლამ დონდუა, ალექსანდრე კობახიძე და ბორის რუდენკო ერთად დავყურებდით ასეთ ადგილებს. ლადო ზოგჯერ ჩვენზე ადრე ამოკითხავდა იმას, რის გარჩევაშიც შევლას გვთხოვდა. მაკვირებდა კიდეც ლადოს გაწაფულობა სრულიად სხვადასხვა სახის ქართული ხელნაწერების კითხვაში, მისი ფილოლოგიური აღღო...

ლადო მოსვენებას არ გვაძლევდა: მომამებნინეთ ვინ არის „დანბუბი“, იგივე —

„დანუში“, რომელიც ჩემი კარაბადინის გადამწერად იხსენიება ხელნაწერის მინაწერში. შიო და სხვა მრავალ საკითხს გვისვამდა ლექსიკოლოგიისა და გრამატიკის, ისტორიული პირებისა და სხვა საკითხების შესახებ.

1939 წლის აგვისტო მე საქართველოში გავატარე (შვებულება მქონდა), სექტემბერში დავბრუნდი ლენინგრადში. ლადო ძალიან გადაღლილი და გამხდარიც დამიხვდა. ლადოს ვუამბე, გურიასი რომ ვიყავი, მკვახე ბროწეული გავსინჯე: უაღრესად მკავე იყო, მაგრამ კბილის ძირებიდან ქვეები მთლიანად მომცილდა-მეთქი!...

ლადომ შენიშნა, ამაზე კარგი დისერტაცია შეიძლება დაიწეროსო. წამიყვანა აღმოსავლური ხალხური მედიცინის შემსწავლელ იმ სპეციალისტებთან, რომლებთანაც ზოგჯერ თვითონ დადიოდა, და აღნიშნული ფაქტი მაამბობინა. მათ დაბეჭდვით მთხოვეს, იგივე ბროწეული ამანათით გამოგვიგზავნო. თანაც მავალბდნენ: ქართული კარაბადინის რამდენიმე ცნობა მეთარგმნა. მათ ლადომ უბასუხა: კარაბადინი ნათარგმნი მაქვს, ოღონდ გამოვეყით და მოგცემით.

ბროწეულის ამბავი ლადომ ქირურგ იუსტინე ჯანელიძისათვისაც მაამბობინა. იგიც დანტერესდა. ლადო მისაც კარაბადინის რუსული თარგმანისა და ქართული მედიცინის ისტორიის წიგნების გამოცემის თაობაზე ელაპარაკებოდა.

ვიყავით აგრეთვე ბესტერევის სახელობის ფსიქიატრიულ ინსტიტუტში, ლადო აქ ყვებოდა, რამდენი რამ სასარგებლო წერია კარაბადინებში ფსიქიურად დაავადებულთა სამკურნალოდ...

მეორე დიდი თემა, რომელზეც ლადო ლენინგრადში მუშაობდა, ეს იყო ქართული მედიცინის ისტორია. ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში, სხვა ხელნაწერებთან ერთად, მან ნახა გერმანელი ექიმის პეტრე ჰოფმანის ნაშრომის („საექიმო დარიგება სხვადასხვა დროს“) ქართული თავისუფალი თარგმანი, რომელიც შესრულებული იყო „კალმასობის“ ავტორის იოანე ბაგრატიონის მიერ.

ლადო განსაკუთრებით დაინტერესა ამ ხელნაწერზე დართულმა იოანეს მიერ შედგენილმა და მისივე ხელით ნაწერმა სამკურნალო საშუალებათა ლექსიკონმა. ამ ხასიათისა და მნიშვნელობის მეორე ლექსიკონი არა გვაქვსო, ამბობდა ლადო.

ამის გარდა, როგორც ლადო თვითონ წერს, მის მიერვე „შესწავლილ, დათარიღებულ და აღწერილ იქნა ლენინგრადის არქივებში დაცული ყველა საისტორიო-საექიმო ხელნაწერები — ძველი და უახლესი, აგრეთვე საექიმო ხასიათის ლექსიკონები, რომელთაც, თავისთავად გასაგებია, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ძველი ქართული მედიცინის კვლევისათვის და ამ კვლევის უფრო სწორად წარმოებისათვის“ („უსწორო კარაბადინი“, 1940, გვ. II).

ლადო წუხდა, ლენინგრადში დაცულ მდიდარ სამედიცინო ხელნაწერებს ექვსი თვის მუშაობა ვერ ამოწურავსო, მაგრამ ხაზს უსვამდა, რომ მთავარი ლენინგრადშივე გაკეთდა, ნაშრომები „ქანანელის უსწორო კარაბადინი“ და „მედიცინა ძველ საქართველოში (XVIII საუკ., XIX საუკ. დასაწყისი)“ მზადა მაქვსო. ეს ნაშრომი ლადომ ჩამოიტანა თბილისში. ავტორის გარდაცვალების შემდეგაცაა იგი აღრიცხული ოფიციალურ არქივში, მაგრამ შემდეგ აღარ ჩანს! აუცილებლად უნდა დაიძებნოს.

ლადო ამბობდა, XI-XIX საუკუნის მედიცინის ისტორია უკვე გააზრებული მაქვს. ეს ისტორია გვარწმუნებს, რომ ამ ხნის განმავლობაში ქართული მედიცინა მუდამ მუდამ ღალატით იღვწოდა. ახლა ისიც ნათელია ჩემთვის, რომ წარმართულ საქართველოში ძლიერი იყო მკურნალობის ხალხური წესები. ამას ამტკიცებს ცნობილი ავგაროზები, მკითხაობა, ხალხური შელოცვები, ქადაგად დაცემა, დამწყალობლობა და სხვაო. (შდრ. „უსწორო კარაბადინი“, გვ. III).

გამოცემულ „უსწორო კარაბადინის“ წინასიტყვაობას მიწერილი აქვს: „ლენინგრა-დი, 1939 წ. ნოემბერი“.

ამავე დღეებში მოვიდა ჩემთან ლადო და მითხრა: „უეჭველად ომი დაიწყება... ავიბარგოთ აქედანაო!“

რამდენი არ ვარწმუნე იგი, — ეს შეუძლებელია, გერმანიასთან ხელშეკრულება შეგკარით, აღარადფერია საშიში-მეთქი. მიბასუხა, სწორედ ეგაა საშიშიო.

არადფერმა არ გაჭრა, ეს აზრი ისე აეკვიატა, რომ ვეღარ ისვენებდა. თანაც მთხოვდა, ვერ ვასწრებ და საჯარო ბიბლიოთეკიდან ხელნაწერი დამლამობით ბინაზე გამატანონო.

ასეთი პრაქტიკა იქ არ არსებობდა. ლადოს კი იმედი ჰქონდა, ბიბლიოთეკაში კარგად გიცნობენ და შენი თქმით ხელნაწერს შინაც გათხოვებენო. ამ ბიბლიოთეკის დირექტორი ერთ ხანს ნ. მარი იყო და შემდეგ ნაციონალური განყოფილების უფროსად პროფ. კიტა მეგრელიძე მუშაობდა. იქვე მუშაობდნენ ჩემი მეგობრები — არუთინ აბრამის ძე ალიხანაიანი (თბილისში დაბადებული და ნ. მარის მოწაფე ლენინგრადში), მისი მეუღლე ელიზაბეტა და სხვებიც. სწორედ ჩემი შუამდგომლობით მისცეს მათ ნება ლადოს, ხელნაწერზე პირდაპირ სეიფშივე ემუშავა.

ერთ კვირა-სალამოს ლადო ჩემთან მოვიდა ბინაზე და მითხრა: ვერ ვასწრებ, ხვალ ბიბლიოთეკა არ მუშაობს, ხელნაწერი თან წამოვიღეო, ამაღამ და ხვალ აქ ვიმუშავებ მასზეო...

მე ვუსაყვედურე, ეს რა გიქნიათ, სეიფიდან ხელნაწერის გამოტანა როგორ შეიძლება-მეთქიო...

მიბასუხა: არც მაგრეა საქმე, არქივის ერთმა თანამშრომელმა იცის, რომ წამოვიღე, მაგრამ გამაფრთხილა, არავინ გაიგოსო და უეჭველად აქ, თქვენს ბინაზე მომეტანაო...

არ გასულა დიდი ხანი და იმ თანამშრომელმაც დამირეკა; „ლადო თუ მოვიდაო!“ კი-მეთქი, და ყურმილი დაკიდა...


მართლაც კვირა ღამით და ორშაბათს ლადომ იმ ხელნაწერზე იმუშავა, სანშაბათს მე თვითონ მივეყევი ბიბლიოთეკაში და მუშაობა იქვე განაგრძო...

ლადო კოტეტიშვილმა ლენინგრადში გადაიკითხა სინტერესო ხელნაწერები და რაც მას ქართული მედიცინის ისტორიის დასაწერად მიაჩნდა საჭიროდ, ყოველივე ამოიწერა. იგი ისე თავაუღლებლივ მუშაობდა, რომ სასაიდლოშიც კი აღარ დადიოდა, ბიბლიოთეკების ბუფეტებში საუზნობდა, — დრო არ დაეკარგო. ზოგჯერ მაინც წაეყვანდით ხოლმე და ვისაიდილებდით. შემდეგ გავეკლიდით, ვათვლიერებდით ლენინგრადის ზღაპრული სილამაზის ხელოვნების ძეგლებს, ზოგჯერ თეატრში შევდიოდით: ესაუბრობდით ხელოვნებასა და ლიტერატურაზე: გაოცებული ვრჩებოდით, რომ იგი ჯერ თბილისში ზემოხსენებულ სიონსა და მეჩეთში შევლისას და ახლა, აქაც, ძალიან ფართო განათლებას ამჟღავნებდა. თუმცა ვიცოდი, რომ ლადოს სასულიერო სემინარია და ხარკოვის

უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტიც ჰქონდა დამთავრებული. მწერლობაშიც კალამნაცადი იყო (მთარგმნელობდა კიდეც) და მხატვრობა-მოქანდაკეობაშიც ნიჭს იჩენდა. წაიკითხეთ მისი საფუძვლიანი გამოკვლევა „საექიმო იდეები ვეფხისტყაოსანში“ (ტურნ. „საბჭოთა მედიცინა“, 1937 წ. № 11-12; და მასში მი-12-მე-13 საუკუნეების მედიცინის ისტორიის სპეციალისტის გარდა, დაინახეთ ისტორია-ფელოსოფიის, ლიტერატურა-ხელოვნების საკითხებით დაინტერესებულ პიროვნებასაც.

იმავ 1939 წლის ბოლოს დავბრუნდი თბილისში. რამდენჯერმე ვესტუმრე ლადოს ბინაზე (სოლოლაკში, სულხან-საბა ორბელიანის ქ. № 1); იგი უკვე ავადმყოფობდა, — ღვიძლის ტკივილს უჩიოდა, მუცელი ებერებოდა. — ლადოს მუცელზე გავსკდეო, — ჩიოდა. ძალზე განიცდიდა ძმის — ვახტანგის დაღუპვას. — მეცველები, ის მაინც იყოს აქ, ჩემს ცოლ-შვილს თვალ-ყურს მიაქცევდარ...

ლადო კოტეტიშვილი ისეთ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა დამსახურებაც გარდაცვალების შემდეგ კიდეც უფრო დიდად ფასდება.



ჩაქვინს გზაზე

გუგული დიასამიძე

მამაკაკურო ვენახო...

მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებულ ტოპონიმური და ლექსიკური მასალების შესწავლას მრავალმხრივი მნიშვნელობა ენიჭება. გარდა ენათმეცნიერებისა, ამ პრობლემისადმი დიდ ინტერესს იჩენენ ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოგრაფები, ფოლკლორისტები, ბოტანიკოსები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და სხვ. სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოში არასაკმარისი მიმდინარეობს როგორც დარგობრივი, სამეურნეო ლექსიკის, ასევე ამ დარგთან დაკავშირებული მდიდარი ტოპონიმური მონაცემების მეცნიერული შესწავლა.

მევენახეობა-მელვინეობა საქართველოში ერთ-ერთი უძველესი სამეურნეო დარგია. ქართველი კაცის სამეურნეო ყოფისა და კულტურის მრავალფეროვანი ტრადიციები ამ დარგის განვითარებასთან არის დაკავშირებული. ცნობილი მკვლევარები პ. ჟუკოვსკი, ა. ნეგრული, ივ. ჯავახიშვილი, ნ. კეცხოველი, გ. ჩიბაია და სხვები კულტურული მევენახეობის ერთ-ერთ თავდაპირველ სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევენ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კლიმატურ-გეოგრაფიული გარემო ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ვაზის მრავალფეროვანი ჯიშების გავრცელებისათვის. ჩვენს საკვლევ რეგიონში სპეციალისტების მიერ ფიქსირებულია გარეული და კულტურული ვაზის 80 ჯიში. დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი წერდა: „არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოვლითა მარცვლითა, არს ტყიანი, კლდინი, იწრო, ხრამოვან-ღრატოიანი, კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“. (ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1973, გვ. 676-677).

ვაზის კულტურასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებია დაცული XIII ს. ცნობილი მეცნიერისა და მწერლის ტბელ აბუსერისძის ნაშრომში „ბოლოკ ბასილის მშენებლობანი შუარტყალში“, სადაც ვკითხულობთ: „იყო მათ ჟამთა შინა შიმშილი დიდი და სიძვირე პურისა და გაჭირვებაში ჩავარდნილი ერთ ტაძრის აღმშენებელს ბოლოკ-ბასილს გამოსაკვებად ამ დროს ხილი მიართვეს: ოდესმე ყურძენი და ოდესმე ნაყოფი მთისაჲ“ (აბუსერისძე ტბელი, ლ. მუსხელიშვილის გამოცემა, თბილისი, 1941, გვ. 60).

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ საქართველოში აჭარა იყო ვენახ-ხილიანი ზოლი. მან ამ დარგთან დაკავშირებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შეკრიბა და მეცნიერულად შეისწავლა ვაზის უძველესი ჯიშები და ამ კულტურასთან დაკავშირებული მდიდარი ტერმინოლოგია. (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბილისი, 1930, გვ. 318).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რთული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად გადაშენების გზას დაადგა ვაზის კულ-

სტატია აგებულია ქვემო აჭარის ტოპონიმური და ეთნოგრაფიულ მასალებზე.

ტურა. უცხოელი დამპყრობლები სამი საუკუნის განმავლობაში ჩეხდნენ ვენახებს, ან-
დგურებდნენ მატერიალური კულტურის ძეგლებს. მხოლოდ მიწაში შემოგვენახა უცხო
მაზარი ქვევრები, დაქცეული მარნები, საწნახლები და სხვა.

ქვემო აჭარის ტოპონიმოქა ლექსიკურ მასალასთან ერთად მდიდარ ცნობებს გვაწვ-
დის ვაზმცოდნეობის ხანგრძლივ ტრადიციებზე. საუკუნოვან გამოცდილებას მიწათმოქ-
მელი დაურწმუნებია, რომ ვაზი ყველგან ვერ იხარებდა და რომც ეხარა, კარგ მოსა-
ვალს არ მისცემდა მეურნეს. მევენახეობის ტოპონიმთა ლექსიკურად გააზრება საშუა-
ლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ხალხის ცოდნა-გამოცდილებით შემუშავებული ნია-
დაგმცოდნეობის ტრადიციები აჭარაში ძველთაგანვე მაღალ დონეზე მდგარა. ამ მხრივ
საინტერესო მონაცემებს შეიცავს ნიადაგის თვისების აღმნიშვნელი გეოგრაფიული სა-
ხელები: დო ბ ი უ რ ა — სათესი (ინაშარიძეები), დო ბ ი რ ო — სათესი (ქოსოფე-
ლი, ჩხუტუნეთი), დო ბ ი ლ ე თ ი — სათესი, ტყე (ცხენმა), დ უ ბ ი რ ა (დობირა)
— საძოვარი (გველიძეები).

დობირო ანუ დობერა სამეგრელოში ვაზის გასაშენებლად განკუთვნილი ანდა ვა-
ზით დარგული ადგილის სახელი ყოფილა. დობილო მაღლარი ვაზის ერთი სახელთაგანი
იყო ძველ საქართველოში.


ამ სიტყვების საერთო წარმომავლობას რომ იკვლევდა, ი. ჯავახიშვილი დაასკნი-
და: „დობირა“-სა და „დობილო“-ს პირველი, საერთო მარცვლი „დო“-ა, რომელიც
როგორც ცნობილია, მეგრულსა და ჰანთურში რისთვისმე განკუთვნილების ანუ დანიშ-
ნულების გამომატებელი ფორმანტია. შესაძლოა, მეორე ნაწილი „ბირა“ და „ბილო“
ვ ე ნ ა ხ ი-ს მეგრულ-ჰანთურში დაცულ სახელ „ბინეხ“-თან იყოს დაკავშირებული და
„დობირა“ და „დობილო“ პირვანდელი „დობინეხ“-საგან იყოს წარმომდგარიო (ი. ჯა-
ვახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, ტფილისი, 1935, გვ. 131).

ვაზთან უნდა იყოს დაკავშირებული ტოპონიმები „ბ ა გ ა“ — ტყე, (ნამონასტრევი,
კუჭულა), ბ ა გ ე ბ ი — ტყე (აგოთა).

ძველად ახალგაშენებულ ვენახს, ვაზის ბაღს ახალნერგი ანუ ბ ა გ ა ერქვა: „ბაგად
ითქმის ახალშენი ვენახი“ (საბა). სამეცნიერო ლიტერატურაში ახალშენი ვაზის აღმნიშ-
ვნელ ტერმინ „ბაგა“-სა და „პირუტყვთა საზრდელის ჩასაყრელ ადგილს „ბაგა“-ს
(საბა) შორის იძებნება საერთო წარმომავლობა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, რაკი ბ ა გ ე,
რომელიც პირსა და ნაპირსა ჰნიშნავს, მობაგული ისევე, როგორც ბ ა კ ი და მ ო ბ ა -
კ უ ლ ი, რომელიც მოზღუდვილს, შემოღობილსა ნიშნავდა, ბ ა გ ა თავდაპირველ-
დაც შემოზღუდული, შემოღობილი ადგილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (იხ. ი. ჯა-
ვახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 313).

ძველ საქართველოში ვაზის განახლებისათვის ვენახის გადაწვენა იყო მიღებული,
რომელსაც წ ი დ ნ ა ან გა და წ ი დ ნ ა ეწოდებოდა. დღეს ქვემო აჭარაში ვაზის
გადაწვენით გამრავლებას აღარავინ ეძახის წ ი დ ნ ე ა ს, მაგრამ ტოპონიმებმა წ ი ნ -
დ ე ბ უ ლ მ ა — სათესი (ზუნდაგა) და წ ი ნ დ ი წ ე ვ რ მ ა — სათესი (ზვარე) შემო-
გვინახეს მეტყველების არქაული ფორმა. „წ ი დ ნ ა — ვენახის გარდაფლვა“ — განმა-
რტავს საბა. ამ ტერმინის სიძველეზე მიუთითებს დაბადების თარგმანი: ვაზმა „ყენა
წ ი დ ნ ე ნ ი და გახავრცნა ბაბილონი მისნი“. (ციტირებულია ივ. ჯავახიშვილი, დასახ.
ნაშ. გვ. 313).

აკად. ი. ჯავახიშვილის აზრით, „წ ი დ ნ ა“ „წ ი ნ დ ი“-საგან უნდა იყოს წარმოშ-



დგარი, რომელიც „წინდებულის“ ბოლოშეკვეცილ ფორმას უნდა წარმოადგენდეს ამ მოსაზრების სისწორის დასამტკიცებლად მკვლევარი ვ. ბერიძის ლექსიკონს იმეორებს, რომლის მიხედვით ვაზის გადაწვევით გამრავლებას „ვენახის გადაწინდება“ ეწოდება. (ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 313).

კიდევ უფრო საინტერესოდ გვესახება ტოპონიმები: მანაქელი — სათესი (ასამბაძეები) და მანანათი — სათესი (კირნათი). პირველი ტოპონიმი თხზულებაში (მანა) + ქელი, ხოლო მეორე მრავლობითის ნარ-ითა და-თ სუფიქსით ნაწარმოები: მანა-ნ-ათ-ი. ვაზის საყრდნობის აღსანიშნავად საქართველოს სხვადასხვა მხარეში შემდეგ ტერმინებს ხმარობდნენ: მანა, სარი, ჭოგი, ხარდანი და ჩხირი. საბას სარი ვაზის მანა-დ აქვს ახსნილი. მანა დაბადების თარგმანში მოიხსენიება: „რამცა უყო ხესა-ვენახისასა... უკუეთუ მოიღონ მისგან ძელი შესაქმედ საქმარისა, მოიღონ მისგან მანა დაკიდებად ყი ჭურჭელი მას ზედა“.

საქართველოში ვენახის სასარგდ ანუ მანასათვის სპეციალურად ტყეები შენდებოდა, რომელსაც „მანეულს“ უწოდებდნენ. გამორიცხული არ არის, რომ სოფლის სახელი მანიაკეთი (ზემო აჭარა) მომდინარეობდეს მანა ქელი-საგან. ადვილშესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ახლანდელი დიოკნისის მცხოვრებლები, სადაც მევენახეობა მეურნეობის ტრადიციული დარგი ყოფილა, დაბლარი ვენახისათვის სასარე მასალას ამზადებდნენ მანიაკეთში, რომელიც დროთა განმავლობაში დასახლებულ პუნქტად ქცეულა, ხოლო სახელი ძველი სამეურნეო დანიშნულებისა შერჩენია.


ზემოთ განხილული ტოპონიმებიც თანამედროვე მევენახეობის რაიონებზე მოდის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ძველ აჭარაში მანეული საქმოდ ყოფილა გავრცელებული.

საინტერესო წარმომავლობის ტოპონიმები სჩანს ფელოები — სათესი, სათიბი (ჯალაბაშვილები), ფელიკავი — სათესი (საღორეთი). ფელოები უნდა მომდინარეობდეს ფელოებისაგან: ფელოები — ფელოები (ორი ხმოვანი ერთად ვერ ძლებს და ერთი იკარგება). ფელო აჭარაში ვენახის გამონახარდ ტოტს ქვია, რომელზედაც ისხამს მტევენებს. შესაძლოა ფელამუშის წარმომავლობაც ფელოს უკავშირდებოდეს.

აჭარის ტოპონიმებმა შემოგვიჩვენეს ვაზის ენდემური ჯიშების სახელები, რომლებიც ისტორიული ბელუჯულმართობისა და ვაზის სხვადასხვა დაავადების გამო გადაშენდნენ: გორგოული, კოლოში, მათინაური, ჩხუში, ჭიპაკური, ჭოდი, ჯავახეთური, ჯინეში, ხარითვალა. ამ ჯიშების შესატყვისად გვაქვს შემდეგი ტოპონიმები: გორგოული-ხევი — სათესი (ბზუბზუ), კოლოშინარი — სათესი (ვაიო), მათინაური — ღელე და ღელისპირა ადგილი (ცხმორისი), ჩხუში — სათესი (დოხოძეები), ჭიპაკუნალი — წყარო, სათესი (ბზუბზუ), ჭოდნარა — სათესი (მარადიდი, საღორეთი), ჯავახეთა — სათესი (ყურაულა), ჯინეში — უბანი (კოლოტაური), ხარითვალაღელე — ღელე (ვაიო), ჩხუშიძირა — სათესი (ზენდიდი).

მეტყველების თავისებურებათა ზეგავლენით ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზოგიერთ ტოპონიმს ფონეტიკური სახეცვლილება განუტლია. მაგ., „რ“ დაკარგულა ტოპონიმ „ჭიპაკუნალ“-ში, „ე“-ს შენაცვლია „ი“ ტოპონიმ „მათინაურში“, ასიმილაცია მოხდარა ტოპონიმ „ჯინეშ“-ში და სხვ.

ავადმეოხის ი. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ „აჭარაში გავრცელებული ყურძნის ჯიში ჩხუში“ იმავე ყურძნის სახელი უნდა იყოს, რომელსაც ჭანეთში „თოლი მჩხუურძენი“ ჰქვია... აჭარული სახელი თუმცა თავმოკვეთილი ჩანს და თავკიდური თო-



ლი აკლია, მაგრამ სამაგიეროდ იმ მხრივ არის ძვირფასი, რომ ამ ჯიშის სახელისმეორე ნაწილი სრულად და სისწორით (ჩხუში) აქვს დაცული. (ი. ჯავახიშვილი, დანახ. ნაშრომი, გვ. 470).

ოსმალთა სამსწლოვანი ბატონობის შედეგად დაეცა აჭარის ეკონომიკა, განადგურდა მევენახეობა და დაინგრა მასთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობანი, მამაპაპური მარანი ნაშენებელ იქცა. ინტენსიური სამეურნეო ყოფის კვალი შემოგვინახა გეოგრაფიულმა სახელებმა: — მ ა რ ა ნ ი — სათესი (დვეთი, ზენდიდი), მ ა რ ა ნ თ ი — სათესი (გვევლიძეები), მ ა რ ა ნ ა თ ი — სათესი (მერისი), მ ა რ ა ნ გ ა დ ა ღ მ ა — ჩაის პლანტაცია (ასამბაძეები), ს ა წ ნ ა ხ ე ლ ა — სათესი (დოლოვანი), ჭ უ რ ა თ ი — ჭაფლის უბანი (სკურდიდი), ჭ უ რ თ ა — ბორცვი (კირნათი), ნ ა ჭ უ რ ვ ა ლ ი — სათესი, (ინაშარიძეები, გარეტყე, გულეზი), ჭ უ რ ი ხ ე ვ ი — ტყე (ზვარე) და ა. შ.

საგანგებოდ გვინდა შევეხოთ ტოპონიმ მარანათს, მარანთს, მარანგადაღმას, მარადიდს — სოფელი (ხელვაჩაურის რაიონი) და ა. შ.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ტოპონიმები უკავშირდება მ ა რ ა ნ ს. ქართულ მ ა რ ა ნ ს ხანგრძლივი ისტორია აქვს. მას მრავალი მკვლევარი შეეხო და გამოითქვა საყურადღებო მოსაზრებანი მისი წარმოშობის შესახებ.

წერილობითი წყაროებისა და ლინგვისტური მონაცემების გვერდით მარნის, როგორც ტერმინისა და ასევე, როგორც სამეურნეო ნაგებობის შესახებ მდიდარ მონაცემებს შეიცავს დღეისათვის საქართველოში მოპოვებული ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალები.

ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული და ლინგვისტური მონაცემების მიხედვით, მ ა რ ა ნ ი უბირველეს ყოვლისა მეღვინეობის ძირითადი სამეურნეო ნაგებობაა, სადაც გამართულია ყურძნის საწნეხი მოწყობილობა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის მონაცემებით დადგენილია, რომ ქართული მარნები აგებულია-კონსტრუქციით ერთმანეთისაგან განსხვავდება. აღმოსავლეთ საქართველოში მარანი ერთი მთლიანი ნაგებობაა, სადაც მეღვინეობის როგორც ჭურჭელი, ასევე იარაღ-ინვენტარიც ინახება. დასავლეთ საქართველოში კი მარანს ისეთ ადგილს უწოდებენ, სადაც ჭურებია დამარხული. აჭარაში მარანი ხის ან ქვის ნაგებობას ჰქვია, სადაც საწნახელია გამართული, ხოლო ჭურები ცალკეა დამარხული. მარანი ზოგჯერ ორსართულიან ნაგებობასაც ჰქვია, რომლის პირველ სართულზე საწნეხი მოწყობილობაა, ხოლო მეორეზე ზამთრისათვის შემონახულია ჭირნახული. რაც შეეხება ჭ უ რ ე ბ ს, ისინი ცალკე, ღია ცის ქვეშ იმარხებოდა. (იხ. ნ. თოფური, ქართული მარანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, II, თბილისი, 1955; ა. ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში, თბილისი, 1960; ა. დავითაძე, ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974).

აჭარის ტერიტორიაზე დღემდე შემონახულია ძველი ქართული მარნები: სხალთის ეკლესიასთან მიწა-თხრილში აგებული მარანი, სოფელ ბზუბზუში და მაჭახლის ხეობაში — მარანის რამდენიმე ნაგებობა. სამწუხაროდ, ბევრი მარანი დაინგრა, ხოლო ბევრიც დღეისათვის შეუსწავლელია. ასეთ ვითარებაში მარანთან დაკავშირებული ტოპონი-

მეზის აღწერა-შესწავლას მრავალმხრივი მნიშვნელობა ენიჭება მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის შესასწავლად.

ტერმინ მარანთან დაკავშირებით ღღისათვის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საინტერესო მოსაზრებებია წამოყენებული. პროფესორ მ. გეგეშიძის აზრით, ტერმინებს მორს, კამარას და მარანს ერთ თავდაპირველ შინაარსამდე მივყავართ. ეს გახლავთ ერთ მორში გამოთლილი საწნახელი. (მ. გეგეშიძე, მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოდან, საქართველოს სახ. მუზეუმის „მოამბე“, ტ. XIX, 1956). სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურიდან ცხადი ხდება, რომ მარანი „მარ“ ფუძიდან მომდინარეობს, ხოლო „მარ“-ი ძველ ქართულში ჭურჭლის აღმნიშვნელი იყო: „და მოუწოდა თითოეულად ვის რა თანადგვა უფლისა მისისა. ჰრქვა პირველსა მას: რავდენ-რა თანაგაც უფლისა ჩემისა და მან ჰრქუა: ასი მარი ზეთი“ (ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 978 წ.წ.), გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945, ლუკა, 16, 5-6/DE), მარანი ის ადგილია, სადაც მარები, ქვევრებია დამარბული. (ნ. თოფურია, ქართული მარანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბილისი, 1955, გვ. 132). ამ ძირით ტოპონიმების მარანიდან წარმომავლობა საეჭვო არ უნდა იყოს. ოიკონიმი მარადიდიც (ხელვაჩაურის რაიონი) მარანდიდისაგან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტოპოზიციური წყობითაა წარმოდგენილი. მას დროთა განმავლობაში განუცდია ფონეტიკური ცვლილება (ნ. ბგერის დაკარგვა) და მარადიდად დამკვიდრებულა. საინტერესოა ამ სოფლის მცხოვრებთა ყოფაში დაცული გადმოცემები, რომელთა მიხედვითაც ამ სოფელში დიდი მარანი ყოფილა და სოფელსაც სახელი ამიტომ დარქმევია. (შ. რუსიძე, მარადიდის კოლმეურნეობა, აჭარის სახ. მუზეუმის შრომები, V, ბათუმი, 1961, გვ. 99). მარადიდის ეტიმოლოგიის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც. (ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, II, ბათუმი, 1958, გვ. 183).

უნდა აღინიშნოს, რომ მდ. ჭოროხის აუზი ისტორიულად ცნობილია როგორც მევენახეობის მხარე. მკვლევარები აღნიშნავენ ამ კუთხეში ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებას, ამ კულტურასთან დაკავშირებულ მატერიალური კულტურის ძეგლებს. ამდენად, გამორიცხული არ უნდა იყოს, მევენახეობის ამ რეგიონში მარადიდის მარან-დიდიდან მომდინარეობა.

თუ რა მდგომარეობაში იყო აჭარაში ვაზი გასული საუკუნის 90-იან წლებში, ამის შესახებ თ. სახოკია აღნიშნავდა: „თითქმის ყველა სოფელში დარჩენილი უზარმაზარი ქვევრები (შიგ 100 წლის ღვინოც კი უნახავთ) იმასდა ჰმოწმობს, რომ მეღვინეობას აქ ოდესღაც საპატიო ადგილი სჭერია და ცხოვრების ერთ სახსართაგანს შეადგენდა“. (თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბილისი, 1950 წ., გვ. 174).

ზ. ქიქინაძეს ქედის რაიონის სოფელ დერეხოხნაში ერთი მოხუცისაგან ჩაუწერია: „ამ სამოცი წლის წინათ, მე კარგად მახსოვს, რომ აჭარაში აქა-იქ ჩუმაღ ღვინოს დაწურავდნენ ხოლმე. ხანში შესული დედაკაცები ჩარეკებით ეკლესიაში მიიტანდნენ და დააწყობდნენ“. (ზ. ქიქინაძე, ქართველების გამამადაინება, თბილისი, 1907 წ., გვ. 76).

ვაზის კულტურის განადგურებაზე მეტყველებს ჩვენი საკვლევი რეგიონის მოსახლეობაში შემონახული ხალხური ლექსი „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“, რომელიც სრულყოფილად გადმოგვცემს ამ კუთხის მეურნის სევდასა და მწუხარებას ვაზის კულტურის განადგურების გამო.

მამაპატრო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო.

მოთქვამდა ქედელი გლეხი, როცა თურქმა დამპყრობლებმა აჭარაში შეუბრალებლად მოსპეს და განადგურეს ეს უძველესი შესანიშნავი კულტურა. მაგრამ მშობლიური მიწის სიღრმეში კვლავ გაიდგა ფესვები ტრადიციული ვაზის ჯიშებმა, აღორძინდა ნავენახარი და ნამარნეები, კვლავ გაიდგა ფესვი ვაზის საუკუნოვანმა ჯიშებმა.

საბამოფერო სტენდი



შემოდგომაზე გვითხარ, ასულო...

ნ. ანასტასიევის ფოტო.

საზოგადოებრივი ყოფის ისტორიიდან ზემო აჭარაში

რევოლუციამდელი აჭარის სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთ-ერთი მთავარი როლი სახალხო თავშეყრის ადგილსა და საბაზრო მოედანს ეჭირა. სოფლის მოედნის დანიშნულება-ფუნქციის შესახებ ლიტერატურულ წყაროებში კონკრეტული მასალა თითქმის არ მოგვეპოვება. ამ საკითხს პირველად შეეხო ი. ადამია ზემო აჭარის ძველი სოფლის ტიპის შესწავლისას.¹ ავტორმა ყურადღება გაამახვილა ძველი სოფლის ტიპურ მოედანზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ცენტრზე და მისი შექმნის ტრადიცია ხალხურ დღესასწაულებს, საზოგადოებრივ შეკრებებს, სავაჭრო და რელიგიურ მხარეებს დაუკავშირა.

საკითხის ისტორიისათვის ნათელ სურათს გვაძლევს ღორჯომის ხეობა. ღორჯომის ყველა საცხოვრებელი პუნქტისათვის არსებობდა ერთი საერთო ცენტრალური მოედანი, რომელიც წარმოადგენდა თემის საზოგადოებრივ-ადმინისტრაციულ ადგილს.² აქ თავს იყრიდა თემის სოფლებისა და უბნებიდან გამოსული საჩაღვადრო, საურმე გზები და ბილიკები. თემის ცენტრთან თითქმის ყველა სოფელი „შარა გზით“ იყო დაკავშირებული. ამ სახით წარმოიქმნებოდა თემის სოფლებისა და უბანთა ასოციაცია, თუმცა ღორჯომის ხეობის მთაგორიანობა, გეოგრაფიულ-ტოპოგრა-

ფიული და ბუნებრივი პირობები, რელიეფის თავისებური დასერილობა ამ მხრივ სირთულეებს ქმნიდა და ხელს უშლიდა განაშენიანების ერთიანობას.

ზემო აჭარული სოფლის მოედანი თავისი ფუნქციითა და გამოყენება-დანიშნულების თვალსაზრისით ახლო ანალოგიებს ამჟღავნებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და კავკასიის სხვა ხალხებში ფიქსირებულ სოფლის მოედანთან.³ სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გარკვეულია სეფის მნიშვნელობა, რომელსაც ს. ჯანაშია სოფლის თავშესაყრელ მოედნად მიიჩნევდა.⁴

ტერიტორიული თემის უძველესი ფორმა გვაროვნული თემი, რომელიც ძირითადად სისხლით ნათესაობაზე იყო დაფუძნებული. ამ უკანასკნელის გვიანდელი წარმონაქმნია სოფლის ტერიტორიულ-მეზობლური თემი.

სავარაუდო თემის გვერდით ხშირად სახლდებოდნენ სხვა გვარის მისახლენი, რაც შესანიშნავ პირობებს უქმნიდა სოფლის გენეზისს. თანდათანობით სოფელი სისხლით ნათესაობაზე დამყარებული დასახლება კი არ იყო, არამედ პოლიგენური დასახლებული პუნქტი, რომლის შემადგენლობას მეზობლები წარმოადგენდნენ, ე. ი. შექმნილი იყო სამეზობლო თემი. თითოეულ ოჯახსა თუ გვარს თავისი მიზომილი სახანავი ნაკვე-

თი გაანდა, ამასთანავე სათიბები და
საძოვრები საერთო სათემო მფლობე-
ლობაში იმყოფებოდა.

საზოგადოების განვითარების გარკვეულ
საფეხურზე, კერძოდ, ტერიტორიულ-სა-
შეზიზღო თემის წარმოქმნასთან დაკავ-
შირებით, ჩნდება სოფლისა და თემის სა-
ზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები.

სოფლისა თუ თემის საბაზრო მოედანს
საკულტო ნაგებობასთან ერთად ხშირად
ახლდა წყარო — „შ ა ღ რ ე ვ ა ნ ი“,
რომელიც მდებარეობდა მოედნის მისა-
სვლელთან, გზის პირას და წარმოადგენ-
და ზედმიწევნით სუფთად ნათალი თეთ-
რი ქვისაგან ლამაზი წყობით ამოყვანილ
შეიღწახნაგოვანი პრიზმული ფორმის
საზოგადო სარგებლობის ღია აუზს.⁵ შა-
ღრევის აუზი მოთავსებული იყო მცირე
ზომის ორსართულიან ხის შენობაში.
მეორე სართული მგზავრთათვის ღამის
გასათევად იყო განკუთვნილი, სადაც ღა-
მის გამოთევი საფასურს არ იხდიდა.

სასტუმრო სახლების მოვლა-პატრო-
ნობა საერთო სასოფლო-საზოგადოებ-
რივ საქმეს შეადგენდა. თ. ჩიქოვანი ზე-
მო აჭარის მოსახლეობის ამ კეთილშო-
ბილური ტრადიციისა და წეს-ჩვეულებ-
ის შესახებ წერს, რომ თითოეული ოჯ-
ახი ვალდებული იყო მორიგეობით მომ-
სახურებოდა „სასტუმრო სახლს“, დაე-
ცვათ წესრიგი, უზრუნველყოთ სასტუ-
მრო საძინებელი ლოგინით, წყლით, შე-
შით, ცხენის საყვებით, ღროულად შეე-
კეთებინათ სახურავი, საიდანაც წყალი
ატანდა და ა. შ. ამასთან ერთად უსა-
სყიდლო სასტუმროების მშენებლობისა
და არსებობის ტრადიციას ავტორი უძ-
ველეს, კერძოდ, წინაკლასობრივ საზო-
გადოებაში ვარაუდობს და აღნიშნავს,
რომ მიუხედავად ოსმალთა სამაჟლოვა-
ნი ბატონობისა, აჭარაში შემორჩა ყო-
ფისა და კულტურის ისეთი ელემენტე-
ბი, რომლებიც საქართველოს სხვა ეთნო-
გრაფიულ რაიონებში დიდი ხანია გაქ-
რან.

„შაღრევის“ მოწყობა, როგორც ირ-
კვევა, მემკვიდრეობით დანერგილი ხალ-
ხური ჩვეულებაა. მის არქაულობას ი.

აღამიამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი და
არგუმენტად „არგონავტებზე“ არსებუ-
ლი უძველესი მითოლოგიური თქმულებ-
ამოიყენა. კოლხეთის დიდ სამეფოში
აეტის სატახტო ქალაქის სასახლის ეზოს
ამშვენებდა „სხვადასხვა დანიშნულების
შაღრევნები, რომელთაც ფარავდა ხშირ-
ფოთლოვანი და ჩრდილოვანი ვაზები“.⁷

წყაროების გამოყენებისა და მშენებ-
ლობის ტრადიცია, რითაც ქართველი
მეფეებიც დიდად დაინტერესებული იყუ-
ნენ, უძველესი დროის საქართველოში
საკმაოდ ფეხმოკიდებული ჩანს. ვახუშ-
ტის ცნობით, „არყნალ-შანბიანის კეცს
შუა არს წყარო შვენიერი, რომელ შარ-
მარილო აღაშენა ჟდ მეფემან ვახტანგ“⁸
შაფშეთ — კლარჯეთში მოგზაურობისას.
წყაროების სპეციალური გამოყენების
ფაქტი ნ. მარსაც შეუნიშნავს. ერთ-ერთი
წყარო თლილი ქვით ყოფილა გამოყე-
ნილი და ცხოველის თავით შემკული,
რომელსაც წინ პატარა აბაზანა მოეპო-
ვებოდა წყლის ასაგებად.⁹

ლორჯომის ხეობის თითოეულ სოფე-
ლსა თუ უბანს რამდენიმე წყარო, ნა-
კადული და ჭა („ყვი“) უწევდა მომსა-
ხურებას. წყაროებისა და ჭების სახელ-
წოდება ზოგჯერ გეოგრაფიულია: მაგ.,
„მუთველიენი წყარო“ ლორჯომში, „ხიმ-
შეირიენი ყვი“ — აგარაში და სხვა. ბე-
ვრი მათგანის სახელწოდება გეოგრაფი-
ულ სახელს უკავშირდება: „ლოდითაის
ყვი“ — ვანაძიებში; „საყდრის ჭა“ —
აგარაში; „გობაწყარო“ — გობაძიებში;
„ფირფიტული“ — ხოზრევანძიებში;
„ნავუთნიწყარო“ — ხუციაშვილებში და
ქიტიაშვილების წყარო. ზემო აჭარის
ერთ-ერთი წყარო ჯერ კიდევ X-XI სა-
უკუნეების ძეგლშია მოხსენიებული (თუ-
მცა წყაროს მოსვლა სასწაულმოქმედს
უკავშირდება). „ქართლის ცხოვრებაში“
გვითხულობთ: ანდრია მოციქული ტრა-
პიზონიდან „შევიდა ქვეყანასა ქართლი-
სასა, რომელსაც დიდპარა ეწოდების“
და „რამეთუ ადგილსა, რომელსა დაას-
ვენა ხატი ყოვლად-წმინდისა და ღმრთის
მშობლისა, აღმოეცენა წყარო ფრიად

შენიერი და დიდი, რომელ-იგი დღე-საც დაუწყებლად აღმოსდის“.10

ხეობის დასახლებულ პუნქტში სასოფლო რუს მოვლა-პატრონობა და წყლის განაწილება ხალხის მიერ საგანგებოდ არჩეულ ე. წ. „მეწყლეს“ ფუნქცია ყოფილა. „მეწყლე“ გაწეული შრომის საფასურად სათანადო ნატურალურ და ფულად ანაზღაურებას იღებდა. მის საქმიანობაში შედიოდა აგრეთვე სასოფლო გზებზე მეთვალყურეობაც, მონაქურ წყალზე კვლების „გაწარბვა“ და სხვა. მიუხედავად საგანგებოდ გამოყოფილი აღამიანისა, მთიანი აჭარის თემებისა თუ სოფლების წყაროებს, სახმარ და სარწყავ წყალს მოვლა-პატრონობასა და მზრუნველობას თვით მოსახლეობა უწევდა, იგი საზოგადოებრივ საქმედ იყო მიჩნეული.

ლორჯომის საზოგადოებრივ ცენტრში შადრევნის გარდა რამდენიმე სავაჭრო მნიშვნელობის დუქანი გვხვდებოდა. თ. სახოკიას ცნობით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლორჯომის საბაზრო მოედანთან ახლოს იყო „ოთხიოდე დუქანი, ხისავე მეტად დაბალი და პატარები“.11

აგარის დუქნის პატრონები მარკოიძეები (მირიენები) ყოფილან. რამდენიმე ოჯახს დუქანი სახლშიც ჰქონია გამართული. დუქნებში უმთავრესად პირველადი მოხმარების საგნები — ქსოვილი და სამკაულები იყიდებოდა, რაც ძირითადად ახალციხიდან, არღავანიდან (არტაანი) და ბათუმიდან მოჰქონდათ, ჭალიენები კი თბილისიდან ეზიდებოდნენ ფუფუნების საგნებს. ლორჯომის ხეობის სოფლებიდან სავაჭროდ დადიოდნენ ბათუმში, ქედამში, ახალციხეში, არღავანში, ოზურგეთში, ფოთში და ნაწილობრივ თბილისში. გასაყიდათ გაჰქონდათ რძის პროდუქტები (კარაქი, ნაღული, ყველი), გაჰყავდათ საქონელი. სანაცვლოდ ყიდულობდნენ ნავთს, მარილს, ახანთს, ქსოვილებს და სხვადასხვა აუცილებელი მოხმარების ნივთებს.

ლორჯომის თემის საზოგადოებრივი შეკრების ადგილი ამავე დროს საბაზრო მოედნადაც ითვლებოდა.12 სათემო მნი-

შვნელობის, საზოგადოებრივი შეკრების ადგილის საბაზრო მოედნად ქცევა თემის შიგნით სავაჭრო ურთიერთობის წარმოქმნისა და აღებ-მიცემობის განვითარებას უნდა უკავშირდებოდეს. ლორჯომის საბაზრო მოედანი სუსტი და განუვითარებელი იყო, რაც კლხის გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიულმა მდებარეობამ, უგზოობამ და მეურნეობის თვითკმარმა ხასიათმაც განაპირობა.

ლორჯომის ცალკეულ სოფლებში ფიქსირებულია ადგილობრივი სასოფლო და საუბნო მნიშვნელობის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები. მაგ., აგარაში რამდენიმე ასეთი საუბნო თავშესაყარი ადგილია: „სერობა“ — სერობის უბანი, „საგობრითავი“ — ვერცხლას უბანი, „სერი“ — დურსუნიენთების უბანი, „კარკლიძირი“ — გოლაძიენთების უბანი, „ნაოსპისერი“ — აბაიენთებისა და ა. შ.

ამ რიგის სასოფლო და საუბნო პუნქტებს ლორჯომის ყველა სოფელში ვხვდებით. ასეთია, მაგალითად, ვანაძიეში — „კორდი“. ეთნოგრაფიული მხალით, სოფლის საქმე ყოველთვის აქ წყდებოდა. მეხალაშვილების სასოფლო თავშესაყარი ადგილი „ბახჩები“ ყოფილა; ვაშაყაძიეში — „სერი“ ანუ იგივე „კორტინე სერი“; მეკიძიეში — შამალიენთ „ზედაი კალო“.

აჭარის ზოგიერთი სოფლის სინამდვილეში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს ე. წ. სალაყბოები თუ თემებლხანები წარმოადგენდა, სადაც იმართებოდა შეჯიბრებები ხალხური სპორტის სხვადასხვა სახეობაში, თამაშები და სხვა. თანასოფლელები იკრიბებოდნენ აგრეთვე წისკილთან, სამჭედლოებთან, ამა თუ იმ მეკომურის „კალოზე“, გზაჯვარედინებზე და ა. შ. სამჭედლო, როგორც სასოფლო თავშეყრის ადგილი დამოწმებული აქვს ნ. კახიძეს.13

საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში ლორჯომის ხეობაში გამოვლენილია გეოგრაფიული სახელები „ფოლო“, „ფოლოტი“ (მოსახლეობა ხმარობს „ფოლოცსაც“).14



„ფოლი“ და „ფოლოცი“ („ფოლოტი“) ქართულ ლექსიკონებშიც გვხვდება ს. ორბელიანის განმარტებით, ფოლოცი შუკაა, ხოლო ფორი — მეიდანია.¹⁵ ასევე, ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ ნათქვამია: ფოლოცი „შუა ბაზარი, ანუ მეიდანია“.¹⁶ ტერმინი ფოლოცი „ქართლის ცხოვრებაშიცაა“ დატული და განმარტებულია როგორც ქუჩა.¹⁷

აგარაში, სოფლის შუა ადგილას, საზოგადოებრივი შეკრების ადგილს „კორდს“ უწოდებენ. „ფოლოტი“ („ფოლოცი“ და „კორდი“), როგორც საზოგადოებრივი თავშეყრის გეოგრაფიული ადგილები ემთხვევა ერთმანეთს.

„კორდი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პუნქტია არა მარტო საუბნო თუ სასოფლო მასშტაბით, არამედ თავისი მნიშვნელობით ხშირად თემის თავყრილობის ადგილსაც მოიცავს. აქვეა ზეხილის ძველი ნარგავები, ჭა და მსხვერპლთშეწირვის ტრადიციული ადგილი. აქ შესრულებული რელიგიური რიტუალები ფესვს წინაქრისტიანულ-წამართულ ხანაში იღებს. მსხვერპლთშე-

წირვის ადგილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთი ბორცვის თხემს მოსახლეობა „საყდარს“ ეძახის.

კორდთან, ჭის მარცხენა მხარეს, გზისპირას მსხვერპლთშეწირვა ხდებოდა. მსხვერპლთშეწირვის რელიგიურ-სარიტუალო ციკლი ტაროსის ღმერთს უკავშირდებოდა და ტარდებოდა გვალვებისა და წვიმების თავიდან აცილების მიზნით.

ადგილი, სადაც მსხვერპლთშეწირვის პროცესი სრულდებოდა, წმინდა ადგილად ითვლებოდა, დაკლული ხარის ხორცი კომლთა შორის თანაბრად ნაწილდებოდა; ასევე, კომლთა რაოდენობის მიხედვით იხდიდნენ ღირებულებას.

ამრიგად, განხილული მასალებით ჩანს, რომ ღორჯომის ხეობაში საზოგადოებრივი თავშეყრის სამი ძირითადი ცენტრი არსებობდა: პირველი, სათემო, სადაც თავს იყრიდნენ თემის წარმომადგენლები; მეორე, საუბნო, სადაც ცალკეული სოფლებისა თუ უბნების წარმომადგენლები იკრიბებოდნენ, მესამე, მსხვერპლთშეწირვისა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი შეკრების ადგილები.

შენიშვნები:

1. ი. აღამია, ქართული ხალხური ხელოთმოდერება, თბ., 1956, გვ. 36.
2. ვლ. მგელაძე, ზემო აჭარული სოფელი ძველად, 1873, გვ. 27.
3. რ. ხარაძე, სოფლის თემი ბალყარეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბ., 1960, გვ. 120; აღ. რობაქიძე, დასახლების ფორმა ბალყარეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბ., 1960, გვ. 97.
- С. С. Агаширинова, Материальная культура лезгин XIX — начало XX в. М. 1976, стр. 107; Б. А. Колоев, агулы «Кавказский этнографический сборник» III, 1962, стр. 82.

4. ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 26.
5. ი. აღამია, დასახლებული ნაშრომი, გვ. 35.
6. Т. Чиковани, О. традиции строительства сельских гостинных домов на территории Колхиды. Матне, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სტორიის სერია, I, 1972, გვ. 142.
7. ი. აღამია, დასახლებული ნაშრომი, გვ. 35; აღ. ჭყონია, არგონავტების მოგზაურობა კოლხიდაში, ქრესტომათია, თბ., 1890, გვ. 32.
8. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 40.
9. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართვე-

ლი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, I, თბ., 1946, გვ. 66.

10. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 39.

11. თ. სახოკია, მოგზაურობანი, გურია, აპარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბ., 1950, გვ. 43.

12 ვლ. მგელაძე, ზემო აჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1973, გვ. 28.


13. ნ. კახიძე, მაჭანლის ხეობა, ბათუმი, 1974, გვ. 58.

14. ვლ. მგელაძის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები. იხ. მისი პირადი არქივი.

15. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 689.


16. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 395.

17. ქართლის ცხოვრება. ტ. II, თბ., 1959, გვ. 101, 176, 231, 610.



სსალთის ტაპარი

კაცად შერჩა ბოლომდე...



იგი დღეს ჩვენი ზეიმის მონაწილე უნდა ყოფილიყო. ძნელი წარმოსადგენია თბილისის დღეები აჭარაში იოსებ ნონეშვილის გარეშე. მისი ლექსების, მისი კეთილი ღიმილის გარეშე. სადაც უნდა ყოფილიყო, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში, რომელ თათბირსა თუ შეკრებაზე, გული ყოველთვის ბათუმისკენ მოუწევდა, მის ნახვას ნატრობდა.

სამყაროს დიდ გზებზე დაღლილი მოვდივარ, მზე მიხმობს შენი, ლაუვარდი — ხმელეთზე დაღვრილი, შენი ზღვა მაღამოდ მშველის.

ბათუმში იოსებ ნონეშვილის ჩამოხვლას სტუმრობა არ ეთქმოდა, იგი ჩვენი ქალაქის ღირსეული მოქალაქე იყო, ბევრი კაცური საქმე გაუკეთებია აქ, ბევრისთვის დახმარების ხელი გაუწვდია. „ჭოროხის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ყოველთვის ჩვენთან იყო, მხარში გვედგა ხიტყვით თუ საქმით.

იგი ყველას უყვარდა. და სწორედ ამ სიყვარულის დასტური იყო საიუბაილეო საღამო, რომელიც პოეტს ამ ორიოდე წლის წინათ გადაუხადეს ბათუმში.

...უკანასკნელად ლაღო გუდიაშვილის დაკრძალვაზე ვნახე. ზღვა ხალხთან ერთად დამწუხრებული მიუყვებოდა მთაწმინდის აღმართს...

ვინ იფიქრებდა, რომ ასე მალე მასაც დამწუხრებული ზღვა ხალხი გააცილებდა სამუდამო სავანისაკენ.

ეს გამოსათხოვარი წერილი მისივე სტრექტონებით მიწა დავაძაფრო.

ეცადეს და ვერ გამხადეს ბოროტი, ეცადეს და ვერ გამხადეს ფლიდი, წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე, ესეც გმირობაა დიდი.

ალექსანდრე სპსონია.



საიუბილეო საღამო

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის სახელობის ბათუმის კულტურის სახლში გაიმართა დავით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ტაკიძემ.

მოხსენება გააკეთა მწერალმა ა. შერვაშიძემ.

სიტყვით გამოვიდნენ გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ დირექტორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ახვლედიანი, პოეტი მ. ვარშანიძე, ი. ჭა-

ვჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ლ. ლლონტი, ვ. ი. ლენინის სახელობის № 1 საშუალო სკოლის პედაგოგი ლ. ჩაკვეტაძე, რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ა. გელაძე, № 4 საშუალო სკოლის მოსწავლე მ. ჯიბუტი.

დ. გურამიშვილისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა შ. როყვამ და ჯ. ქათამაძემ.

საღამოს დაესწრნენ ამხანაგები ნ. გუგუნავა, დ. დიასამიძე, დ. მანჯგალაძე, ო. ხატიაშვილი, გ. ჩიგოვიძე, გ. ცინცაძე, შ. ოქროპირიძე.

მხატვრები — ყრილობას

გაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი თათბირი საქართველოს მხატვართა კავშირის სამდივნოსა და აჭარის მხატვართა კავშირის გამგეობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს საკითხი, თუ როგორ ემზადებოდნენ შემოქმედებითი ორგანიზაციები სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების ღირსეული შესვენებისათვის, ილაპარაკეს მონუმენტური პროპაგანდის, გამოფენების, სტენდების მოწყობის, ხელოვანთა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის, აგრეთვე სხვა აქტუალურ პრობლემებზე. თათბირმა მოისმინა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, პროფესორ ნ. ჭანბერიძის ინფორმაცია.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ

აჭარის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი მ. ბოლქვაძე, აჭარის ასსრ სამხატვრო სახელოსნოების დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი უ. სოლუაშვილი, საქართველოს სსრ მხატვრული ფონდის დირექტორი ფ. ლორთქიფანიძე, აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ა. აბუსერიძე, ბათუმის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე რ. დოლიძე.

თათბირის შედეგები შეაჯამა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. ჩიგოვიძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. გუგუშვა, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ცინცაძე და სხვ.

სახალხო ჯიშში

წელს მეორედ გაიმართა დღესასწაული „ტბელობა“ გამოჩენილი ქართველი მწერლის, მოაზროვნის, ასტრონომის ტბელ აბუსერიძის პატივსაცემად.

სულოს რაიონი, როგორც აჭარის მთელი მაღალი მთის რეგიონი, მდიდარია ისტორიული ძეგლებით. მათ შორის არის მეთორმეტე საუკუნეში სოფელ ფურტიოში აშენებული ხიდი. აქ ავტონომიური რესპუბლიკის ყველა კუთხიდან სადღესასწაულოდ ჩამოსულ მრავალრიცხოვან სტუმრებს შეხვდნენ რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პიონერები.

შემდეგ დღესასწაულის მონაწილენი გაემგზავრნენ სოფელ სხალთაში, სადაც აბუსერიძეთა ოჯახის მიერ აშენებულ ეკლესიაში ამჟამად ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი მოთავსებული. აქ თავმოყრილია გლეხთა ყოფის საოჯახო საგნები, ტბელ აბუსერიძის ხელნაწერთა ფოტოპირები. აქვე გახნილია კულტუ-



რის სახალხო უნივერსიტეტი. აქ გამართულ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, პოეტმა ფ. ხალვაშმა, მოსკოველმა პოეტმა ლ. გრიგორიევამ და სხვებმა.

სტუმრები ეწვივნენ სოფელ თხილვანასაც, სადაც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს აბუსერიძეთა საგვარეულო აკლდამა, მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები.

სადღესასწაულოდ არის მორთული მოედანი სოფელ ხიხაძირის ცენტრში. თვალსაჩინო ადგილებზეა მხატვრის ს. ართმელაძის სურათი „ტბელ აბუსერიძე ხიხაძირში“ და მხატვარ ზ. საბაძის მიერ შესრულებული სახელოვანი წინაპრის პორტრეტი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ.

სოფელ ხიხაძის მახლობლად საძირ-
კველი ჩაეპარა ტბელ აბუსერიძის
ძეგლს. გვიანობამდე გაგრძელდა მხატვ-
რული თვითმოქმედების კოლექტივების,
პროფესიული მსახიობების გამოვლენები.

„იავნანა“ — პოლონეთში

გოგონათა ამ ვოკალურ კვინტეტს, რო-
მელსაც აქარის ასსრ კულტურის დამ-
სახურებული მუშაკი გ. გრეკოვი ღირი-
ურობს, „იავნანა“ დაარქვეს. მასში გა-
ერთიანებული არიან ზ. ფაღიაშვილის
სახელობის ბათუმის სამუსიკო და № 76
პროფტექნიკური სასწავლებლების მო-
სწავლეები ნ. ტონია, ლ. ჩხარტიშვილი,
რ. გაბრავა, ნ. ჩაშაშაძე, თ. მახარაძე, კო-
ნცერტმანისტერია ლ. ნანიშვილი.

მათი რეპერტუარი მოიცავს როგორც
ფოლკლორის ნიმუშებს, ისე რიგი კომ-
პოზიტორების ნაწარმოებებს.

ახლახან „იავნანამ“ პოლონეთის სახა-
ლხო რესპუბლიკაში იმოგზაურა. თავისი
ხელოვნება გააცნო ლუბლიანას, კრაკო-
ვისა და უეშოვსის საზოგადოებრიობას.
მას შეხვედრები გაუმართეს კულტურის
ცალკეულ კერებში. ამასთან გოგონებს
გამოსვლა მოუხდათ ქვეყნის ისტორიულ
ტაძრებში. მათი შესრულებით მსმენელ-
თა აღტაცება გამოიწვია ქართულმა ხა-
ლხურმა საგალობლებმა.


გულგარეული ჟურნალის ფურცლებზე

ჟურნალმა „ბოლგარო - სოვეტსკა
დრუჟბა“ წლებიდან მუშაობდა ნომე-
რში გამოაქვეყნა ემილია გერგოვას წე-
რილი „ბათუმში ერთი მშვენიერი ქალა-
ქი“, რომელიც ილუსტრირებულია ფე-
რადი ფოტოსურათებით.

თვით წერილი მკითხველებს მოუთხ-
რობს იმაზე, თუ რაოდენ კოლორიტუ-
ლია ჩვენი ქალაქის პეიზაჟები და რაო-
დენ სტუმართმოყვარეა არიან ბათუ-
მელები. ვრცელი ადგილი ეთმობა შეხ-
ვედრებს ხელოვნების ოსტატებსა და
ცალკეული დაწესებულებების ხელმძღ-

ვანელებთან. დასახელებულია ისეთი ღი-
რსშესანიშნაობანი, როგორიცაა დუბო-
ფინარიუმი, აკვარიუმი, ბოტანიკური ბა-
ღი, საზღვაო ნავსადგური, სადაც მშ-ზე
მეტეი სახელმწიფოს გემები უშვებენ
ლუწას.

ე. გერგოვა იხსენებს საერთაშორისო
კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი
მოღვაწის, ბულგარელი ხალხის საამაყო
შვილის გიორგი დიმიტროვის ჩამოსვლას
აქარაში 1934 წელს და მის სიტყვებს,
აქ რომ წარმოთქვა: დღეს შავი ზღვის ხი-
ვრცე აშორებს აქარასა და ბულგარეთს,
მაგრამ დადგება დრო, როდესაც იგი
მეგობრობის ხილად გადაიქცევა ჩვენს
ორ მოძმე ხალხს შორის.



ქუთაისელთა გასტროლები

ბათუმში გასტროლები დამთავრა ქუ-
თაისის ლაღო მესხიშვილის სახელობის
სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა. ბო-
ლო სპექტაკლად სტუმრებმა წარმოად-
გინეს ნ. დუმბაძის „მარადისობის კანო-
ნი“, მაყურებელმა გულითადად მიიღო
დადგმა, სტუმრებს ყვავილები მიართ-
ვეს. კოლექტივს მიესალმა საქართვე-
ლოს თეატრალური საზოგადოების აქა-
რის განყოფილების პრეზიდენტის თავმ-
ჯდომარე, დრამატურგი ა. ჩხაიძე.

— თქვენმა ყურადღებამ, ესოდენმა
მხარდაჭერამ, — თქვა ქუთაისის სახელ-

მწიფო თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ჭავჭავაძემ, — ცხადია, სტიმულით აგვავსო. ბათუმელთა კეთილი განწყობილება, შეუნელებელი ინტერესი, აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პრესის უზრაღლება — ყველაფერი ეს მაღლიერების გრძნობით გვავსებს და დაუვიწყარი დარჩება ჩვენთვის, მოგვიწოდებს, კიდევ უფრო განვამტკიცოთ შემოქმედებითი კონტაქტები.

ბათუმში გამართული გასტროლების შემდეგ ქუთაისის თეატრი თბილისში გაემგზავრა და დედაქალაქის მაყურებლებს უჩვენა თავისი საუკეთესო დადგმები — „სურათები იმერეთის ცხოვრებიდან“, „მეცამეტე თავმჯდომარე“ და „ვალი“.

* * *

ბათუმში ქუთაისელთა გასტროლების პარალელურად, ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრი სექტაკლებს მართავდა ქუთაისში, ლ. მეხნიშვილის სახელობის თეატრის შენობაში.

ქუთაისელ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია სტუმრების სექტაკლებმა — ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“, გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექიამ“, ბ. ლავრენიის „რღვევამ“ და სხვ.

პოლონელი მართვალლოზი პედინსტიტუზი

შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ინიციატივით ეწვია ცნობილი პოლონელი ქართველოლოგი, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილების გამგე, პროფესორი იან ბრაუნი.

საქტო დარბაზში იან ბრაუნი შეხვ-

და ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

შეხვედრა გახსნა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგემ, პროფესორმა შ. ნიჟარაძემ.

იან ბრაუნმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „ქართველურ და ბასკური ენების ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი“.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. სტუდენტებთან ერთად მასში მონაწილეობდნენ პროფესორები კ. კრელიშვილი, გ. კაჭარავა, დოცენტები ვ. სიჭინავა, ლ. აბაშიძე, უფროსი მასწავლებელი ი. მუჟაანაძე.

დირიჟორის პულტთანაა ბ. აზმაიფარაშვილი

სულ უფრო მრავლდება აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსმენელთა წრე. ორკესტრმა კონცერტო გამართა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის სახელობის კულტურის სახლში; ამჯერად ორკესტრს ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, აღიარებული დირიჟორი გივი აზმაიფარაშვილი.

ბათუმში სტუმარმა აღგვაფრთოვნა ცალკეულ ნაწარმოებების შინაარსსა და ნიუანსებში ღრმა წვდომით. როგორც იტყვიან, ხელში აიყვანა ანსამბლი, მაქსიმალურად გამოავლინა თავისი პოტენციური შესაძლებლობები.

დარბაზს საამოდ მოეფინა ო. გორდელის „ცეკვა ქართული“ და „საკონცერტო ვალსი“, ჯ. როსინის ოპერის „სევილიელი დალაქის“ უვერტიურა, მ. გლინკას „ვალსი-ფანტაზია“, ო. ტაქტაჩიშვილის რიგი ქმნილებები, უ. ბიწეს „კარმენის“ შესავალი და მეოთხე მოქმედების ანტრაქტი. შთამბეჭდავად იმდერა არიები საკავშირო ფესტივალის ლურჯატმა ნ. ჭვარშიშვილმა.

აჭარის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა მხატვარ სიმონ ართმელაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

გამოფენა გახსნა აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვლ. შარაშიძემ.

სიტყვით გამოვიდნენ ხულოს სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ე. აბულაძე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ნიჟარაძე, პედაგოგი შ. აბულაძე, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ჯანბერიძე.

ს. ართმელაძემ შეკრებილთ აღუთქვა, რომ ეცდება კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოაჩინოს სოფლის მშრომელთა ღირსეული საქმეები.

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ ამხანაგები ნ. გუგუნავა, დ. მანჭვალაძე, გ. ჩიგოგიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი მ. ცანავა, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. კაკალაძე, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ტაქიძე, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ცეცხლაძე, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ბ. მახარაძე.



სოფლი

მხატვარი სიმონ ართმელაძე

«ქორიოსი» 1980 წლის ნომრების შინაარსი

მოწინავე წარღვა

მრავალშემიერ! — № 1.

შემოდგომის დღეები აჭარაში — № 6.

კოვია

გვარიშვილი ნანა — ლექსები, № 5.

დავითაძე ემენ — ლექსები, № 6.

დუმბაძე ნათელა — ლექსები, № 4.

ვარშანიძე მამია — ლექსები, № 3.

ზოიძე შოთა — ლექსები, № 1.

თედორაძე დავით — ლექსები, № 1.

თევზაძე ბადრი — ლექსები, № 6.

იოსელიანი შალვა — ჩემო მიწავ,
ლექსი, № 3.

ლორთქიფანიძე ანზორ — ლექსები,
№ 5.

მელია იაკობ — ლექსები, № 3.

ოკუჯავა ბულატ — ვწერ ისტორიულ
რომანს, ლექსი თარგმან. ო. ჭილაძემ, № 1.

რუგოშელი არჩილ — ლექსები, № 4.

პასკო ვლადიმერ — ფრესკა, ლექსი,
№ 6.

ტაბიძე გალაკტიონ — აჭარელი მფრი-
ნავი, ლექსი, № 3.

ქათამაძე ჯემალ — მზე და აბრილი,
ლექსი, № 2. წითელი თოვლი, ღირი-
კული პოემის ნაწყვეტი, № 3.

ღლონტი ვახტანგ — ლექსები № 6.

ღლონტი ომზირ — ლექსები, № 5.

ხაბაზი ამირან — ლექსები, № 5.

ხუროშე დავით — ეს ორი თვეა, ლე-
ქსი, № 5.

ჭაღალონია ნოდარ — ლექსები, № 3.

ჯაყელი ჯემალ — დეპეშა, ლექსი № 2.

შელიშვილი ხახან — ლექსები, № 5.

პროზა

ამირეჯიბი ჭაბუა — ქველთობა, ახალი
რომანის ფრაგმენტი, № 1.

ასანიშვილი შოთა — მხატვრები, მოთ-
ხრობა, № 5.

ვარშანიძე მამია — ამბავი უჩამებელი
დედისა, დოკუმენტური მოთხრობა, № 6.

ინანიშვილი რეზო — ძველებური ელე-
გია, მოთხრობა, № 1.

მარღანიძე დადო — იმ შორეულ წლე-
ბში, მოთხრობა, № 4.

მოდებაძე ნოდარ — თეა, ახალი რო-
მანის თავები, № 3, 5.

შდენტი სულიკო, ჩხეიძე რეზო —
რაიკომის მდივანი, კინოსცენარის ფრაგ-
მენტები, № 2, 4, 5.

სანიკიძე ლევან — ხმალიც და ჯვარიც,
ამონარიდი „უქარქაშო ხმლების“ IV წი-
გნიდან, № 5.

გაზაფხულის სიმღერები

აკობია-ძაძამია შოთა, ანთაძე ცისანა, გი-
გინეიშვილი დავარ, დუმბაძე ნათელა,
ვარაზაშვილი ნონა, მიქელაიშვილი მამია,
მუავია ქსენია, პაპიაშვილი თამარ, შარა-
შიძე ნარგიზა, ცხვედიანი ნანული, ხაჭი-
შვილი შუშუნა — ლექსები, № 2.

ჯეჯილი

გათენაძე ბექირ — დედაენის გაზაფ-
ხული, ლექსი, № 4.

სიმონია ვასილ — გიას ნატვრა, ლექსი,
№ 4.

გუდიაშვილი ლადო — შენ ჭეხარ იწე-
დი იმ ლამეს, მერი, № 2, პარიზი... პა-
რიზი... № 4.

მალაზონია ნესტორ — ცხრა მაისი
თენდებოდა, № 3, ქორწილში რომ არ
დაეპატიე, № 5.

მეგრელიძე იოსებ — ლადო კოტეტი-
შვილი, № 6.

ახალი თარგმანები

გენინი სერგეი — ლექსები, თარგმნა
გიორგი სალუქვაძემ, № 1.

ტელნიუკი სტანისლავ — კავკასიის სა-
ნაპიროზე, ლექსი, თარგმნა გრიგოლ სი-
ნაბულოძემ, № 2.

შექსპირი უილიამ — ჰენრი მერვე,
პროლოგი, თარგმნა თამუნა ჭაფარიძემ.
№ 5.

ნარკვევები

ახვლედიანი ვახტანგ — მწვანე შექის
ნათელი, № 4.

ბერიძე ნუგზარ — პირველი ლაურეატი
აქარიდან, № 1.

ბეჭირიშვილი იოსებ — განთიადი მთე-
ბში, № 6.

გორგაძე რეზო — ჩემი სოფელი ხი-
ნძიბი, № 5.

კობალაძე მუხრან — იბოვა... საკუ-
თარი საფლავი, № 3.

მოისწრაფიშვილი გიორგი, გორგილაძე
მიხეილ — საუკუნე და კიდევ ოთხი წე-
ლი, № 2.

ჭუათაძე გენრიეტა — ღერსუნ
კომპანის ოქროს ვარსკვლავი, № 1.

ჭაყელი სერგო — უკვდავება, № 3.

კრინტიკა და კუპალიცისტიკა

არველაძე სიმონ — იყო და მარად
იქნება, № 6.

ბაბლოვანი ცისანა — სიყვითის ქომაგი,
№ 4.

გაჩეჩილაძე გიორგი — თვალსაზრისი
ქართული პუბლიცისტიკის შესახებ, № 6.
ვარშანიძე მამია — ელადის ყვავილე-
ბი, № 2.

ზოიძე შოთა — „ზეკარის“ სივრცე,
№ 4.

თვარაძე რევაზ — კრიტიკული მონო-
ლოგი ციტატებითურთ, № 1.

კახიძე ნოდარ — ძველი გზები და ხი-
დები აჭარაში, № 3.

მშვიდლობაძე მიხეილ — „შუამთობა“,
„კოლხობა“, „ტბელობა“, № 1.

ნაცვლიშვილი პავლე — საინტერესო
ნაშრომი, № 4.

რურუა ილია — სიტყვა ბათუმელ
ექიმებზე, № 5.

სურმანიძე რამაზ — „კუნძულ სახა-
ლის“ ქართველები, № 3.

ფანჯიძე თეიმურაზ — ეპიკანი, თა-
ნამედროვეობა, პოლიტიკა, № 3.

წერილები

კაიკაციშვილი გულოლა — „შენგან
ანთებული ენეიდილით“, № 3.

კაკაურიძე სერგო, კობალაძე დურსუნ
— დიდი სამზადისი, № 5.

კობახიძე დავით — ბათუმის არქიტექ-
ტურის მუზეუმი, № 5.

მახარაძე ფილიპე — საგუშაგო № 27,
№ 2.

მგელაძე ნუგზარ — საზოგადოებრივი
ყოფის ისტორიიდან ზემო აჭარაში, № 6.

მეგრელიძე იოსებ — ლაზური ხალ-
ხური სიმღერა, № 2.

მოსიძე იური — სახელოვანი ქალები,
№ 2.

მშვიდლობაძე მიხეილ — „სალამს გით-
ვლიან ჩვენი კომპაგმირელები“, № 3.
აჭარის რევოლუციურ მოძრაობაზე წერ-
და, № 6.

ნაკაშიძე ჭემალ — ჩვენი წარმატებე-
ბის საწინდარი, № 2.

სურგულაძე აბელ — ლენინიანას ფუ-
რცლები, № 2.

სურმანიძე რამაზ — რესპუბლიკის
მთავარი ქიორუგი, № 6.

ჩხაიძე ალექსანდრე — საქართველო
თან გვახლა ყველგან, № 3.

ცერცვაძე იახონ — ისინი ყირიმში
იჭრდოდნენ, № 3.

ჭანტურია ვოლტერ — რა შვენიერი
ზღვა გვაქვს, აჰარა, № 6.

ხალვაში ფრიდონ — ერთი ლექსის ბი-
ოგრაფია, № 3.

ხელოვნება

ზამბახიძე ანზორ — ისტორიის ფურ-
ცლები, № 3.

ლორია პარმენ — ხელოვნების მსა-
ხურნი, № 6.

ზინარულიძე იური — მარიამწმინდის
ერთი ფრესკული სახე, № 5.

შარაშიძე ლადო — მშვენიერების სამ-
ყაროში, № 4.

ზინიყაძე მურად — თბილისში, ახმე-
ტელთან, № 6.

ხორავა ფლორა — „გორდა“ ლენი-
ნური კომკავშირის პრემიის ლაურეატი,
№ 3.

ჯაფარიძე ნუგზარ — დამითმე წუთი
სალაპარაკოდ, № 1.

სიყვარულს უშენებია

ბეჭირიშვილი იოსებ — აცამებების ოჯა-
ნი, № 5.

მშვიდლობაძე მიხეილ — შავი ზღვა მე-
ვობრობის ზღვაა, № 4.

არდავნიწყება გომვარისა

ლიასამიძე ავთანდილ, ბეჭირიშვილი
იოსებ — „იყავ საუკუნოდ ხსენებული“,
№ 3.

ხურმანიძე რამაზ — ზაქარია ჭიჭინა-
ძის უკანასკნელი დღეები, № 5.

მედუზა

გამრეკელი გივი — მოჰდრაკე ილიმე-
ბა, № 2, 4.

კასრაძე ქართლოს — ვინ რა თქვა
ქოროხზე, № 5.

მაღაზონია ნესტორ — საახალწლოდ
ნათქვამი, № 1.

ჯაფარიძე ნუგზარ — საღაღობო, № 2,
საღაღობოდ ბათუმის თეატრის მსახიო-
ბებს, № 4.

რას მოგვითხრობენ ბოკონიშები

ლიასამიძე გუგული — მამაბაბურო გე-
ნახო, № 6.

ზინარულიძე იური — ქოროხი, № 1,
შავი ზღვა, № 2, კახაბერი, № 3, სიმონე-
თი, № 4.

ხერხეულიძე იური — გონია, № 5.

ხსოვნა გულისა

სამსონია ალექსანდრე — კაცად შერჩა
ბოლომდე, № 6.

შარაშიძე ლადო — დიდი ხელოვანი,
№ 5.

სკორტი

ბინიაშვილი მიხეილ — ქართველი ოლ-
იპიელები, № 4.

ქაფჯარაძე ლევან — ბათუმის „დინამო“,
პრობლემები, ამოცანები, № 1, გამარჯვე-
ბა, „დინამო“, № 2.

ბახულ ორ თვეში

„ქოროხი“, № 1, 2, 3, 4, 5, 6.


რ ე ლ ა ქ ე ტ ი ნ ს ა ბ ა ნ

„ქოროხის“ ეს ნომერი უკვე იბეჭდებოდა, როცა აკადემიკოს მამია კომახიძის
გარდაცვალების ცნობა მივიღეთ.

სამწუხაროდ, უურნალის ამ ნომერში დაბეჭდილი წერილი — „რესპუბლი-
კის მთავარი ქირურგი“ — გამოხატონოვარი წერილი აღმოჩნდა...

**Литературно-художественный
и общественно-политический журнал
“Ч О Р О Х И”**

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
индекс 76118



რედაქციის მისამართი:
ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.
ტელეფონი — 3-33-71.
საფოსტო ინდექსი
384516

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი, გიორგი ბაჩიჩილაძე, ზურაბ გორგილაძე, შამიკა
შარვაშიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შოთა ჯოჩია, დავით თედორაძე,
იოსებ ნონუშვილი, გიორგი სალუშვაძე, ჯემალ ქათუაშვილი,
ალექსანდრე ჩხაიძე, ფრიდონ ხალვაში, დავით ხახუტაიშვილი,
ჯემალ ჯაფელი.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის პოლიგრაფიული
საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20. ფასი 40 კპ.



2-83/49

At your request 98 p. 28.
And in a general way

